# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, № 12 (2791) გამოცემის მე-60 წელი, 1991 22 მარტი ფასი 40 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა


## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესია მუშაობას განაგრძობს. 20 მარტს გაიმართა მისი მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.

დეპუტატებმა ცვლილებანი და დამატებანი შეიტანეს საქართველოს რესპუბლიკის კანონში რეფერენდუმის შესახებ, განიხილეს ზოგიერთი საკითხი, რომლებიც უკავშირდება 1991 წლის 31 მარტს საერთო-რესპუბლიკური რეფერენდუმის მოწყობას, და მიიღეს შესაბამისი დადგენილება. კერძოდ, გადაწყვეტილია, ჯერ კიდევ 31 მარტამდე რეფერენდუმის საკითხზე ხმის მიცემის ნება დართონ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზისა გამო ამ დღეს არ იქნებიან რესპუბლიკაში. რეფერენდუმის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაევალა უზრუნველყოს ფარული კენჭისყრა და გამორიცხოს იმის ყოველგვარი შესაძლებლობა, რომ ერთი და იგივე პირმა მონაწილეობა მიიღოს ერთზე მეტ საარჩევნო უბანში, ამასთან გაითვალისწინოს ამას წინათ საერთო-საკავშირო რეფერენდუმის დროს დაშვებული უხეში დარღვევები.

სესიამ მიიღო დადგენილება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების № 669 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში დეპუტატის არჩევნების შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის რეფერენდუმის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხზე გამოვიდნენ უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანი გიორგი გულბანი და უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის კომისიის თავმჯდომარე გივი თაქთაქიშვილი. ამ საკითხის განხილვის დროს დეპუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით უზენაესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი კანონი.

შემდეგ სიტყვა მიეცა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს ჯონი ხეცურიანს, რომელმაც დეპუტატებს განსახილველად წარუდგინა ნორმატიული აქტების პროექტების მთელი პაკეტი. განიხილეს და მიიღეს: უზენაესი საბჭოს დადგენილებები მოსამართლეთა და სასამართლოების მსაჯულთა ფიცის შესახებ, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციის დებულების დამტკიცების შესახებ, მოსამართლეთა კონფერენციის მოწვევისა და ჩატარების წესის შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევნების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის შესახებ; კანონი საქართველოს რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებისა და გაწვევის წესის შესახებ, დადგენილებანი მსაჯულთა მიერ სასამართლო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოთა მოსამართლეებისათვის საკვალიფიკაციო კლასების დაწესების შესახებ. პირველი წაკითხვით მიღებულია კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლისსამართლებრივ-საპროცესო კოდექსსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ. დეპუტატებმა აგრეთვე განიხილეს და მიიღეს კანონი სასჯელის უმაღლესი ღონისძიების — ზოგიერთი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

უზენაესი საბჭოს მანდატებისა და დეპუტატის ეთიკის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ბიძინა დანგაძის წარდგინებით სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეწყდეს, კანონის თანახმად, უფლებამოსილებანი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებისა — გურამ ქაშაკაშვილისა, რომელიც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობას უთავსებდა სადეპუტატო საქმიანობას, და გივი გუმბარიძისა, რომელიც პრაქტიკულად თვითონ ჩამოსცილდა დეპუტატის მოვალეობათა შესრულებას.

სესიაზე შიდა ქართლში შექმნილი სიტუაციის გამო განცხადება გააკეთა დეპუტატმა ამირან კალაძემ. ამავე პრობლემას უკავშირდება განცხადება, რომელიც უზენაესი საბჭოს წევრთა ჯგუფის სახელით გააკეთა დეპუტატმა ნოდარ ნათაძემ. გაიმართა აზრთა გაზიარება, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია, დეპუტატები თამაზ გამყრელიძე, ლოვარდ ტუხაშვილი, მზექალა შანიძე, რობერტ პეტრიაშვილი, აპოლონ სილაგაძე, ალექსანდრე შუშანაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბაქარ გიგინეიშვილი და სხვები. გაითვალისწინეს რა შიდა ქართლში შექმნილი უაღრესად დაძაბული სიტუაცია და ამაში ცენტრის უხამსი როლი, დეპუტატებმა გადაწყვიტეს საპროტესტო ნოტა გაუგზავნონ სსრ კავშირის მთავრობას და მიიღონ მიმართვა მსოფლიოს საზოგადოებრიობისადმი. სესიის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ძმათამკვლელი კონფლიქტის მსხვერპლთა ხსოვნას.

დეპუტატებმა განიხილეს უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ნუგზარ მოლოდინაშვილის მიერ წარმოდგენილი პროექტი კანონისა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მთავრობის შენობათა წინ პოლიტიკური აქციების ორგანიზაციისა და მოწყობის დადგენილი წესის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. სესიამ მიიღო ეს კანონი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თენგიზ სიგუას წარდგინებით უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის გაუქმების შესახებ. მიღებულია გადაწყვეტილებანი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეების მოვალეობისაგან ბეგლარ მახარაშვილისა და ოთარ მელქაძის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრის მოვალეობისაგან ლუდვიგ ღურწკაიას განთავისუფლების შესახებ.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სახელმწიფო რეზერვების მინისტრად დაინიშნა იგორ ჩხეიძე.

სესიაზე გამოვიდა ბელორუსიის სახალხო ფრონტის წარმომადგენელი ევგენი ნოვიკოვი.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

## მოლოცვა საფრანგეთიდან

საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა გამგეობის ინიციატივით 1990 წლის 18 ნოემბერს პარიზის ქართული ეკლესიის ბინაში გაიმართა აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავი ლიტერატურული დღესასწაული, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ ბატონმა გიორგი წერეთელმა. „ალბათ ზედმეტია გითხრათ, რომ ამჟამად, როგორც არასოდეს, საჭიროა მთელი ქართველობის ერთად შემოკრება — შემჭიდროვება, განურჩევლად პარტიულობისა, სარწმუნოებისა და სოციალური მდგომარეობისა; ხოლო ჩვენს წინამძღოლ-ხელმძღვანელებს მართებთ დიდი სიფრთხილე, გონიერება, წინდახედულობა, უშიშობასა და სიმტკიცესთან ერთად, რასაკვირველია", აღნიშნა მან. — მანვე დამსწრე საზოგადოებას გააცნო მიმართვის ტექსტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიასადმი.

აქვე გთავაზობთ ამ მიმართვას:

„საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ზვიად გამსახურდიას.

ბატონო თავმჯდომარე,

ჩვენ, პარიზში მცხოვრები ქართველები, რომლებიც დღეს აქ შევიკრიბეთ ჩვენი დიდებული პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავის საზეიმებლად, — დიდი კმაყოფილებით აღვიქვამთ საქართველოს უმაღლესი საბჭოს უკანასკნელ არჩევნებში, თქვენი მეთაურობით „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" პოლიტიკური ფორმაციის ბრწყინვალე გამარჯვებას და, 14 ნოემბერს, საქართველოს რესპუბლიკის ამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, თავმჯდომარედ თქვენს თითქმის ერთხმად არჩევას. გესალმებით და გილოცავთ, როგორც თქვენ პირადად, ისე თქვენს თანამებრძოლებს და სასოებით შევსთხოვთ უფალს, რომ მან თქვენ შეგაძლებინოთ იმ დიდი მისიის ხორცშესხმა, რომელსაც ქართველი ხალხი თქვენ გაკისრებთ.

გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!

დიდება ქართველ ერს!"

პარიზი, ჟურნალი „გუშაგი" № 23.

## ვიზიტად ამერიკაში

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში გაიმართა პრეს-კონფერენცია. ქართველ, საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ აკაკი ასათიანმა, საგარეო ურთიერთობათა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ თედო პაატაშვილმა, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ და საგარეო ურთიერთობათა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მერაბ ურიდიამ.

**აკაკი ასათიანი:** ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენ ვიზიტს, ერთი შეხედვით, მარტივი, მაგრამ მრავალგვარი მიზანი ჰქონდა. პირველი — ამბავი ჩაგვეტანა საქართველოს შესახებ, რადგან ჩვენ, ფაქტიურად, ინფორმაციულ ბლოკადაში ვართ. დეზინფორმაციის უწყვეტი ნაკადი კი ვრცელდება კრემლის, და სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და რადიო-სადგურების მიერ. ისინი აქამდე თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლებად გვევლინებოდნენ, მაგრამ როგორც კი ჩვენთან თავისუფლებისა და დემოკრატიის საკითხი რეალურად დადგა, ტენდენციურად აშუქებენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს.

მეორე მიზანი, რომელიც ჩვენს დელეგაციას ჰქონდა, იყო კონტაქტების დამყარება ოფიციალურ წრეებთან. გვსურდა ჩვენთან გავრცელებული აზრის სისწორის შემოწმება, რომ თითქოს ამერიკას ხელს არ აძლევს საბჭოთა კავშირის დაშლა, ისინი ამ პროცესში არ ჩაერევიან.

ვგონებ, ორივე მიზანს მივაღწიეთ. სამუშაო ბევრი იყო. ამიტომაც, დიდხანს გაგრძელდა ვიზიტი. ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშაობისას შევითავსეთ ელჩის, ინფორმატორის, კორესპონდენტის ფუნქციები. დღეში ოთხი-ხუთი შეხვედრა გვქონდა. კავშირი დავამყარეთ ამერიკის კონგრესთან, პარლამენტთან. ბევრი სენატორი გავიცანით. განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა დავამყარეთ მემარჯვენე ფრთასთან — რესპუბლიკელებთან. ისინი გაცხადებულად მხარს უჭერენ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, კერძოდ, ბალტიისპირელებსა და ჩვენ, მაგრამ ნაკლებად იციან, რა ხდება საქართველოში.

მათ მოსწონთ ჩვენი პოზიცია, განსაკუთრებით ის გზა, რომლითაც ჩვენ მივდივართ, მათთვის მისაღებია ის მსოფლმხედველობა, რომლის დამკვიდრებასაც ჩვენ ვაპირებთ საქართველოში.

ხულ მალე, ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი, გიორგი ხოშტარია გაემგზავრება ამერიკაში. ზაფხულში ჩვენთან ჩამოვა კონგრესმენთა ჯგუფი... ბატონი ზვიად გამსახურდია ოფიციალურ მიწვევას მიიღებს კონგრესისაგან. ალბათ, შედგება შეხვედრა უმაღლეს დონეზეც.



**თედო პაატაშვილი:** ამ სამუშაო ვიზიტისას აუცილებელი იყო ჩვენი პოლიტიკური პოზიციის წარმოჩენა. ალბათ, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ვაშინგტონში შევხვდით ყველა იმ სახელმწიფო ინსტიტუტისა და დაწესებულების წარმომადგენელს, რომელთაც აინტერესებთ აღმოსავლეთ ევროპა და კერძოდ, საბჭოთა კავშირი. სამწუხაროდ, ძალზე მცირე და არაობიექტური ინფორმაცია აქვთ საქართველოს შესახებ.

ამერიკაში განსაკუთრებით აინტერესებდათ ჩვენი დღევანდელი პოლიტიკა, ცენტრთან დამოკიდებულება, რეფერენდუმის საკითხი. ყველა ამ პრობლემის მიმართ რთული, არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. სრულიად განსხვავებული აზრი აქვთ კონგრესს, სენატორებსა და სახელმწიფო დეპარტამენტს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტისას დავრწმუნდით, რომ მსოფლიოს პოლიტიკური ცენტრი ვაშინგტონია. აქ შეიძლება შეხვდე ნებისმიერი რანგის პოლიტიკურ მოღვაწეს ნებისმიერი ქვეყნიდან. ამიტომაც იქ აუცილებელია საქართველოს წარმომადგენლის ყოფნა. აუცილებელია ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენლობის არსებობა.

აღსანიშნავია, რომ ცნობილმა სოვეტოლოგმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ წამოაყენა იდეა ინსტიტუტების შექმნისა ამერიკაში, და პარალელურად რესპუბლიკებში, რათა დაიწყოს დიპლომატიურ ურთიერთობათა პროცესი დღევანდელი რეალური სიტუაციიდან გამომდინარე.

**თამაზ გამყრელიძე:** სენატში აღგვითქვეს, რომ იქნება მოსმენა საქართველოს საკითხისა, ისევე როგორც ბალტიისპირეთის. ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკაში ბალტიისპირეთის რანგში აჰყავთ საქართველო. მოსმენა გულისხმობს ფართო მსჯელობებს, ამა თუ იმ რესპუბლიკის მდგომარეობის და პოლიტიკური სტატუსის შესახებ. სენატორებთან შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ თვალსაზრისითაც. ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში აშკარად გამოიკვეთა, რომ მთავრობა აქტიურად ვერ ჩაერევა აქ მიმდინარე პროცესებში, რადგან არ შეიძლება მათ დაბრალდეს საბჭოთა კავშირის დაშლა. მაგრამ, როგორც ეტყობა, სენატის მხრიდან ადმინისტრაციაზე დაწოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო და ჩვენს თვალწინ ხელისუფლებამ შეიცვალა პოზიცია და წამოაყენა ახალი დოქტრინა რესპუბლიკებთან პარალელური ურთიერთობებისა.

**მერაბ ურიდია:** ამ ვიზიტმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ბალტიისპირეთს ჩვენზე მომგებიანი მდგომარეობა, განსაკუთრებული სტატუსი აქვს ამერიკაში. ამის დამადასტურებლად კმარა თუნდაც ერთი კრებული, რომლის სათაურია: „არჩევნები ბალტიის სახელმწიფოებსა და საბჭოთა რესპუბლიკებში".

თუმცა, როცა ჩვენ ვაცხადებდით, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიას ვაკონტროლებთ, გარდა საბჭოთა ჯარის ნაწილებისა, ეს ცვლიდა დამოკიდებულებას ჩვენს მიმართ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარადიული ოცნება



გვინდა თუ არა დამოუკიდებლობა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა?

ამ შეკითხვამ შესაძლოა კიდეც შეურაცხჰყოს ქართველი ადამიანის გრძნობა-გონება.

ეს ხომ ყველა ქართველის საუკუნოვანი ოცნებაა, ყველა ჩვენგანის სანუკვარი ოცნება.

დამოუკიდებლობისათვის ზრუნვაში კი, აგრეთვე კარგად უნდა გავიხსენოთ ისიც, თუ რატომ და რის გამო დავკარგეთ იგი ჯერ კიდევ 200 წლის წინათ.

და მიუხედავად იმისა, რომ დღეს სულ სხვა საუკუნეა, სულ სხვა საერთაშორისო რეალობა, მაინც სულით და გულით ვისურვოთ:

დამოუკიდებლობა უშიშროების გარანტიებით.

დამოუკიდებლობა ეკონომიკური სიძლიერით.

დამოუკიდებლობა — ქვეყნის შიგნით თუნდაც,

ქართველთა ერთსულოვნებით და თანხმობით.

დამოუკიდებლობა დემოკრატიული — მხოლოდ დემოკრატიული ცივილიზებული ქვეყნების დონეზე.

დიახ, გვინდა, გვინდა ახეთი დამოუკიდებლობა.

ირაკლი აბაშიძე

# სახლი საძირკველზე შენდება

ძნელია გონიერმა კაცმა წარმოიდგინოს უფრო დიდი და ალვირახსნილი პოლიტიკური სივერაგე, ვიდრე საბჭოთა იმპერიაში შემავალ ხალხებს ე. წ. განახლებული ფედერაცია უმზადებს.

ცენტრი აშკარად, დღისით-მზისით, ცდილობს გამოასწოროს 1922 წლის კაბალური, ცალმხრივი ხელშეკრულების დადების დროს დაშვებული „შეცდომები" და „თავისუფალ ხალხთა მძლე კავშირი ძმური" უფრო მტკიცედ შეკრას, შეანივთოს, შეადუღაბოს, შეადუღაბოს ისე, რომ ვერასოდეს ვერავინ შესძლოს მისი კედლებიდან თავის დაღწევა!

მე რომ მკითხონ, ვუპასუხებდი, რომ მომავალი ფედერაციის სიახლე სწორედ ამაში გამოიხატება, თუმცა პირიქით კი გვიჩიჩინებენ, პირში ფსევდოდემოკრატიულ ლოზუნგებს გვჩრიან, ეროვნულ სუვერენიტეტზე ლაპარაკით თვალს გვიბამენ და უსირცხვილოდ გვპირდებიან, უნიტარული საბჭოთა იმპერია, უკეთუ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელს მოაწერთ, სუვერენულ სახელმწიფოთა ფედერაციად გადაიქცევა და მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სისხლით მორწყულ მიწაზე ცხვარი და მგელი ერთად მოსძოვსო.

ამავე დროს საკავშირო პრესის ფურცლებზე და რადიო-ტელევიზიაში საშინელი ისტერიაა ატეხილი, ეს ისტერია თვით პრეზიდენტ გორბაჩოვსაც კი გადაედო, როცა განაცხადა, რომ ყოფილი იმპერიის დანაწილება მის შემადგენელ ნაწილებად მსოფლიო მნიშვნელობის დესტაბილიზაციას, კატასტროფას გამოიწვევს, ვინაიდან საბჭოთა კავშირი ცივილიზაციის საყრდენი ბურჯია და უკეთუ ის სახელმწიფოებრივ მონოლითურობას დაჰკარგავს კაცობრიობას წარღვნაზე უარესი უბედურება დაატყდებაო!

ლობეებიდან გამოძვრნენ ათასი ჯურის მოპოლიტიკოსო ელემენტები, რომლებიც თავს, არც მეტი არც ნაკლები, ინტერნაციონალისტებს უწოდებენ, სულ ვილაცის ინტერნაციონალური ვალის გადახდის ჯავრი აწუხებთ და დაშლის პირას მისული „დერჟავის" გადასარჩენად შოვინისტური ლაშქრობა გააჩაღეს. ისინი ცრემლებს ალვარლვარებენ, მკერდში მჯიღს იცემენ, გულს უჩუყებენ ხალხებს, რომ „დერჟავას," „ჩვენს სამშობლოს" ათასწლოვანი ისტორია აქვს (ხომ არ გახსენდებათ „ათასწლოვანი რაიხი?") იგი ჩვენი მაშვრალი მამა-პაპის თავდადებული შრომითა და მეომრული შემართებით იქმნებოდა და თუ დღეს არ მოვუვლით, ნაციონალისტ სეპარატისტებს დავაგლეჯინებთ და უცვლელი სახით გეოგრაფიულ საზღვრებში არ შევინარჩუნებთ? უდიდეს ბოროტებას ჩავიდენთ და ამას არ გვაპატიებს შთამომავლობა!

ეს ფრაზეოლოგია გარკვეულ აზრს მოკლებული იქნებ არც იყოს, საქმე რომ რომელიმე ეროვნულ სახელმწიფოს, ვთქვათ, გერმანიას, საფრანგეთს ან იტალიას შეეხებოდეს, მაგრამ საბჭოთა კავშირი ხომ ეროვნული სახელმწიფო არ არის, იგი რუსეთის მიერ სხვადასხვა დროს დაპყრობილი; ანდა უკანონოდ შემოერთებული ეროვნული სახელმწიფოების კონგლომერატია, რომლის დაშლას შემადგენელ ნაწილებად, დამონებული ხალხების გათავისუფლებას, მათ მიერ თავიანთი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას სწორედ ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს!

იმპერიის მესვეურთ რატომღაც ავიწყდებათ, რომ საუკუნის მიწურული, ოთხმოცდაათიანი წლები, შორსაა იმ შავ-ბნელი ოციანი წლებისაგან, როდესაც ხალხის სიყრუისა და სიბრმავის გამო, შედარებით ადვილად ხერხდებოდა პოლიტიკური დემაგოგიის დაუსჯელი პარპაში, შავის თეთრად გამოცხადება!

ეს, რასაკვირველია, ასეა, მაგრამ ქვეყნის მესვეურები, ვის ხელშიაც თავი მოიყარა ქვეყნის მთელმა ძალაუფლებამ, მაინც ჯიუტად ცდილობენ ნაცადი ხერხით ერებს თვალებში ნაცარი შეაყარონ და ეროვნული სუვერენიტეტის ის ნატამალიც კი წაართვან, რომელიც მათ აქამდე ჰქონდათ.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში შექმნილი „კავშირი" რამდენიმე ფედერაციისაგან და კავშირში უშუალოდ შემავალი რესპუბლიკებისაგან შედგებოდა. საქართველო არ იყო იმ მოკავშირე რესპუბლიკათა შორის, თუმცა ისიც მოკავშირე რესპუბლიკად ითვლებოდა. აზერბაიჯანთან და სომხეთთან, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებთან, ერთად ის შეადგენდა ამიერკავკასიის ფედერაციას. შემდგომი კონსტიტუციის მიღებამდე ცოტა ადრე, ეს შუალედური ფედერაცია, როგორც ცნობილია, დაიშალა და საქართველო, ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა, უშუალოდ შევიდა საბჭოთა კავშირში.

ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ საქართველოში საბჭოთა რუსეთის არმიების მიერ მისი ოკუპაციის, ანექსიისა და ძალად გასაბჭოების შემდეგ, ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ, მიუხედავად მისი მცირე ტერიტორიისა, საბჭოთა რუსეთის მიერ მის ზურგსუკან ხელმოწერილმა ბრესტის ზავმა კიდევ უფრო რომ შეამცირა, შეიქმნა სამი ეროვნულ-ადმინისტრაციული ავტონომია: აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შუა ქართლის ტერიტორიაზე.

რაკი ეს ავტონომიური წარმონაქმნები საქართველოს სს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს შეადგენდნენ, რასაკვირველია, ისინი რესპუბლიკის მთავრობას ექვემდებარებოდნენ და რესპუბლიკის გარეთ ამავე რესპუბლიკის სახელით გადიოდნენ.

დღევანდელი პოლიტიკური ტერმინი რომ ვიხმაროთ, საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იურიდიული სუბიექტი, როგორც ათასი და მეტი წლის წინათ, მხოლოდ და მარტოოდენ სრულიად საქართველო იყო.

ამ შინაპოლიტიკურ მდგომარეობას ურიგდებოდა უკლებლივ ყველას მიერ შვიდგზის ანათემას გადაცემული საბჭოთა იმპერიის ავტორიტარული პოლიტიკური სისტემა, მას სცნობდა 1922 წელს დადებული კაბალური ხელშეკრულებაც კი.

მაშასადამე, როგორია დასკვნა?

მართალია, რუსული კომუნისტური იმპერიის ქუსლქვეშ, მაგრამ გასაბჭოებული საქართველო მაინც ინარჩუნებდა თავის ტერიტორიულ მთლიანობას და თავისი კანონების შინაგან უზენაესობას ამ ტერიტორიაზე. მის ისტორიულ მიწა-წყალზე მცხოვრებ არც ერთ სხვა ერს თავში აზრადაც არ მოუვიდოდა, მისთვის ტერიტორიული პრეტენზიები წაეყენებინა და მისი სასიცოცხლო სივრცის ხარჯზე თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი შეექმნა!

ყოველივე ეს გარანტირებული იყო სსრ კავშირის და საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციებით.

ეს გახლდათ სწორედ უპირველესი ნიშანი საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა, რომელიც, მართალია, ცენტრის მიერ ყოველნაირად ირღვეოდა, მაგრამ მისი ტერიტორიული მთლიანობა, რაც ჯერ ბრესტის ზავს, ხოლო შემდეგ ზაკრაიკომის თვითნებობას გადაურჩა, ხელუხლებლად შენარჩუნებული იყო.

ტერიტორიული მთლიანობა! აი, ერთადერთი რამ, რაც ოდითგანვე თავის მშობლიურ მიწა-წყალზე მცხოვრებ ქართველ ერს გააჩნდა, თუ შეიძლება ითქვას, 1922 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულებამ, რესპუბლიკებს შორის დადებულმა ფიქტიურმა შეთანხმებამ, რაიმე მოგვცაო, მოგვცა აი, ეს, რაც მომავალში სამუდამოდ დაკანონებული და შეურყეველი გვეგონა.

გაიარეს ათწლეულებმა, დაიწყო ე. წ. პერესტროიკა, გლასნოსტი და ე. წ. დემოკრატიული გარდაქმნები. მოკავშირე რესპუბლიკებს, იურიდიულ სუბიექტებს, სუვერენულ სახელმწიფოებს, რომელთაც აქვთ თავ-თავისი სახელმწიფო გერბი, ჰიმნი და ალამი, თვით საგარეო საქმეთა სამინისტროც კი, და რომელთა საერთო რიცხვი ბოლო დროს 15-ია, სრულ სუვერენიტეტს დაპირდნენ. ამ სუვერენულმა სახელმწიფოებმა, ვითომ დემოკრატიულ საწყისებზე, ახალი ფედერაცია უნდა შექმნან, აქამდე კი ხელი მოაწერონ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას და როდესაც ეს სამართლიანი ისტორიული აქცია განხორციელდება, თურმე საქმე გვექნება არა უნიტარულ სახელმწიფოსთან, როგორიც კო-



მუნისტური რუსეთის იმპერია გუშინ, 1922 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულების თანახმად იყო, არამედ თავისუფალ ერთა უნიკალურ შეკავშირებასთან, განახლებულ სსრ კავშირთან!

განახლებული სსრ კავშირის შესაქმნელად სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის წინამორბედი გახლდათ ამას წინათ ჩატარებული საკავშირო რეფერენდუმი, რომელში მონაწილეობისგანაც მთელმა რიგმა „მოკავშირე რესპუბლიკებმა", მათ შორის საქართველომაც, თავი შეიკავეს.

თავი კი შეიკავეს, მაგრამ საქმე ამით როდი დამთავრებულა. არ სურს მოკავშირე რესპუბლიკას, ამ შემთხვევაში საქართველოს, საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობის მიღება? ნუ სურს, მაგაზე დავიდგა დარდი! სამაგიეროდ, ეს სურს მის ერთ-ერთ ავტონომიურ წარმონაქმნს — აფხაზეთის ასს რესპუბლიკას! მერე რა, თუ იქ მოსახლეობის 44 პროცენტი ქართველია, ხოლო აფხაზთა რიცხვი 17-18 პროცენტს არ აღემატება!

არ სურს მთელს? სურს მის ნაწილს! საკითხავია, არ ირღვევა ამით იმ მთელის მთლიანობა? ვლვაროთ და ვლვაროთ უბრალო სისხლი და ის ერი, ვისაც თავისი მრავალრიცხოვნობისა და სახელმწიფოში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო შინაურ მტრისაგან თავის დაცვა არ სჭირდება, ამის საფუძველზე ყველაზე უფრო ჰუმანურ ერად გამოვაცხადოთ?

მაშ, დარჩეს ერთაშორის სანძრებში გახვეული საბჭოთა კავშირი, „დერჟავა", დარჩეს თავის გეოგრაფიულ საზღვრებში, დარჩეს უპირველეს ყოვლისა, თავისი საკუთარი ხალხების დამსჯელ ამალად და არაფერი ვილონოთ შვილისა და შვილიშვილის ამ ჯოჯოხეთიდან გამოსახსნელად?

რა უფრო ძვირფასია კაცობრიობისათვის, უბოროტესი „დერჟავის" ბედი, რომელიც მავანთა და მავანთა დაუკითხავად უკვე გადაწყვიტა ისტორიამ, თუ ბედი ხალხებისა, რომლებიც ამ ცეცხლმოკიდებულ მიწაზე ცხოვრობენ?

საქართველოსათვის, სხვებზე რომ არაფერი ვთქვა, არსებობს ერთადერთი ხსნა, ერთადერთი გამოსავალი: როგორმე, რაღაც სახწაულით გამოსვლა ე. წ. კავშირიდან თუ ფედერაციიდან და სრული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, რასაც 31 მარტის რეფერენდუმში მხარი უნდა დაუჭიროს ყოველმა გონიერმა ქართველმა და არაქართველმა, ქართული მიწის ერთგულმა შვილმა!

ბრძოლა „სუვერენულ სახელმწიფოთა" კავშირის თუ ფედერაციის შესაქმნელად, რასაც პრეზიდენტი გორბაჩოვი გვპირდება, სხვა არა არის რა, თუ არა სახლის აშენების სახურავიდან დაწყება. იმისათვის, რომ შექმნა ამ ყაიდის ფედერაცია, თუ მისი შექმნა შენი სულიერი მოთხოვნილებაა და გულწრფელად გსურს, როგორც ყოველგვარი მშენებლობის დროს, საჭიროა, ჯერ საშენი მასალა მოამზადო.

რა არის მასალა, რითაც შეიძლება „სუვერენულ სახელმწიფოთა ფედერაცია" აშენდეს? თვით ამ „სუვერენული სახელმწიფოების" არსებობა! რომ არა გვაქვს ჯერ ეს მასალა, რით ვაპირებთ იმ გრანდიოზული შენობის აგებას, „სუვერენულ სახელმწიფოთა ფედერაცია" რომ უნდა დაერქვას?

მაგრამ სუვერენულ სახელმწიფოთა ნებაყოფლობით კავშირს რომ სხვა სახელი ეწოდება? სრულიად სხვა, არა „ფედერაცია!" გავნათლდით ოციანი წლების შემდეგ, პოლიტიკისა და სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში ჩვენც, „ტუზემცებსაც", რაღაც გაგვეგება!

ზნეობრივად სრულფასოვანმა მთავრობამ არ უნდა იკადროს, არც კი უნდა სცადოს თავისი ქვეშევრდომი ხალხის მოტყუება. ეს დიდი და უპატიებელი ცოდვაა! მით უფრო ისეთი მრავალტანჯული ხალხისა, როგორიც ჩვენ, ბრესტიდან წყნარ ოკეანემდე გადაჭიმულ უზარმაზარ იმპერიაში გამომწყვდეული ერები ვართ!

აბა, ვის და სად სმენია, შევიდეს თუ არა ესა თუ ის ერი ამა თუ იმ სახელმწიფოს, თუნდაც ფედერაციის, შემადგენლობაში, არა თვით ამ ერმა, არამედ სხვამ, სხვა ერებმა გადაწყვიტონ?

თუ იმპერიის მესვეურთ საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხებისათვის მართლა სიკეთე სურდათ და მორიგ პოლიტიკურ თვალთმაქცობას არ მიმართავდნენ, განა სწორედ პირიქით არ უნდა მოქცეულიყვნენ? საკავშირო რეფერენდუმი კი არ უნდა გაემართათ და სახლის აშენებას სახურავიდან კი არ უნდა შესდგომოდნენ, არამედ თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკაში, „სუვერენულ სახელმწიფოში" ცალ-ცალკე უნდა მოეწყოთ ასეთი რეფერენდუმები და „დერჟავის" ყოფნა-არყოფნა მისი შემადგენელი ერების ნება-სურვილზე დაეფუძნებინათ.

მაგრამ ვაი, რომ ახე მხოლოდ ის პოლიტიკოსები იქცევიან, ვისაც გზასა და კვალს სიმართლე უნათებთ!

თანამემამულენო, სამშობლო საფრთხეშია, არა „დერჟავა", არამედ სამშობლო, რომელიც მართლაც ჩვენი მამა-პაპის სისხლითა და ოფლით არის მორწყული! გადამთიელი დამპყრობელი მშობლიურ მიწას, სამემკვიდრეო ეზო-კარს გვედავება, შენი კი არა, ჩემიაო და ათას ხრიკს გვიწყობს. რა ვქნათ, ვისხდეთ ასე გულხელდაკრეფილი? გაგვითენდა ერთ-ერთი უსასტიკესი დღე, მრავალ ჭირსა და ვაებაში გამოვლილ საქართველოს ოდესმე რომ გასთენებია! დღეს ჩვენ მხოლოდ ერთი რამ მოგვეთხოვება:

**მარტის 31-ს უკლებლივ ყველა მივიდეთ იქ, სადაც საარჩევნო ყუთი დგას და ერთადერთ კითხვას, აღდგეს თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დეკლარაციის მიხედვით, ერთადერთი სიტყვით — „დიახ!" — ვუპასუხოთ!**

რევაზ ჯაფარიძე

რევაზ თვარაძე

# რას სჩადიხართ, ბატონებო?!

## ერთი უაზრო ექსპერიმენტის თაობაზე, ანუ წინასაინფარქტო მდგომარეობიდან — ინფარქტისაკენ

ქართველებს აგრე გვჩვევია: ძირისძირამდე გაუაზრებლად, ნაჩქარევად, მაიმარად გადავწყვეტთ რაიმე საკითხს და შემდეგ უზარმაზარი დრო — თვეები, წლები, შესაძლოა საუკუნეებიც — უსაზმნოდ იფლანგება ამ ნაჩქარევი გადაწყვეტილების გამოისობით აღძრულ უკუღმართ შედეგთა როგორმე ასაცილებლად თუ დასაძლევად. ყველაზე ტიპიური, ყველაზე ბედითი მაგალითი: ძალიან დიდი ხნის წინათ რომელიღაც ქართველმა პოლიტიკოსმა ნაჩქარევად დაასკვნა — საქართველოს ურუსეთოდ არ გაეძლებაო, და აგერ საუკუნეების მანძილზე მაჯლაჯუნასავით გვხუთავს ამ ნაჩქარევი გადაწყვეტილების შედეგად თავს დატეხილი არსმენილი უბედურება.

მაგრამ, ცნობილი ნათქვამის არ იყოს, ერთადერთი დასკვნა, რაც ჩვენი ისტორიიდან ქართველებმა გავაკეთეთ, ის არის, რომ არავითარი დასკვნა არ გაგვიკეთებია. ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კვლავაც და კვლავაც ნაჩქარევია ხოლმე, რიგიანად გაუაზრებელი. და ესეც არის მიზეზი იმისა, რომ რამდენი ხანია ვერა და ვერ ავაწყეთ ჩვენი ცხოვრება ისე, ცივილიზებულ ერს როგორც ეკადრება.

ძალიან მაღალი ნოტით დავიწყე ეს წერილი და იმ საკითხზე როცა გადავალ, რომლის გამოც დავიწყე, მკითხველმა შესაძლოა იფიქროს — ასეთ მარტივ საკითხს მსგავსი მაღალფარდოვანი შესავალი რად სჭირდებოდაო! ოღონდ ჩემი მიზანიც ის არის. მკითხველს დავანახო, რომ სულაც არ გახლავთ ეს საკითხი მარტივი და იოლად, ნაჩქარევად გადასაწყვეტი.

საკითხი შემდეგია: როგორ უნდა ტარდებოდეს მისაღები გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ეს საკითხი კარგა ხანია აწუხებს ჩვენს საზოგადოებას, რამეთუ ყველას კარგად მოეხსენება, რარიგ სავალალო დონეზეა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლებში და რაოდენ არასრულყოფილია უმაღლეს სასწავლებლებლებში მისაღები გამოცდები. ამასთან, ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს საკითხი მძაფრი სოციალური შინაარსითაც დაიტვირთა: მისაღებ გამოცდებზე წყდება აურაცხელი ახალგაზრდის ცხოვრებისეული ბედი და, ამდენად, ქვეყნის მომავლის ბედიც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უკვე სერიოზულ ეროვნულ პრობლემატიკამდეც მივდივართ ნება-უნებურად.

ეს საკითხი კვლავ ჯიქურ დააყენა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა კორნელი დანელიამ (იხილეთ მისი წერილი „ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის ორგანიზაციის პრობლემა“, გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 25 ოქტომბერი, 1990).

წერილმა ერთგვარი შოკი გამოიწვია როგორც სპეციალისტთა შორის, ისე ფართო საზოგადოებაში. იმდენად ძლიერი შოკი, რომ ერთხანს საპასუხო რეაქციაც ვერ გამოვლინდა. მერე და მერე თანდათანობით გონს მოეგნ: ხსენებულ წერილში გამოთქმული მოსაზრებები განათლების სამინისტროში გამართულ თათბირზეც განიხილეს, პრესაშიც გამოჩნდა რამდენიმე სტატია.

ოღონდ ამასობაში, სხვათაგან განსხვავებით, თბილისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ შესაშური ოპერატიულობა გამოიჩინა: ვიდრე სპეციალისტები და დაინტერესებული პირნი თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ, ვიდრე განათლების სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა საქმეში გაერკვეოდა, ერთი სიტყვით, ვიდრე საზოგადოებრივი აზრი ჩამოყალიბდებოდა, უნივერსიტეტის რექტორატმა 1990 წლის ნოემბერშივე მიიღო ფიცხელი გადაწყვეტილება — გამოცდები ისე ჩატარდება, როგორც პროფესორ კორნელი დანელიას წერილში არისო მითითებული. რექტორატის ეს გადაწყვეტილებაც „ახალგაზრდა ივერიელში“ დაიბეჭდა.

კარგი, მაგრამ ხომ შესაძლოა პროფესორ კორნელი დანელიას მოსაზრებები, მის მიერ შემოთავაზებული მოდელი სადავო ან სულაც მიუღებელი აღმოჩნდეს? მაშინ როგორ მოვიქცეთ? როგორ და კვლავინდებურად, ქართველურად: ნაჩქარევი, რიგიანად გაუაზრებელი გადაწყვეტილების ამოქმედების შედეგად წლების განმავლობაში ვტანჯოთ ათასობით და ათასობით აბიტურიენტიც, მათი მშობლებიც, მათი სვეგამწარებული გამომცდელებიც, ვიდრე ბოლოს ხელახლა არ მოგვიხდება თქმა: დიახ, ბატონო, ბოდიშს კი ვიხდით, მაგრამ შევმცდარვართ, ის გადაწყვეტილება ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი არ ყოფილაო.

ვინაიდან სწორედ იმის დასაბუთება მაქვს განზრახული, რომ პროფესორ კორნელი დანელიას მიერ შემოთავაზებული მოდელი მისაღები გამოცდებისა (უფრო ზუსტად: ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის ორგანიზაციისა), მეტი რომ არ ვთქვათ, ფრიად და ფრიად სადავოა, ხოლო უნივერსიტეტის რექტორატის გადაწყვეტილება — ნაჩქარევი, აუცილებელია მკითხველებს შევახსენო, თუ როგორია ეს მოდელი.

მომაქვს ამონაწერი პროფ. კ. დანელიას ზემოხსენებული სტატიიდან:

„აბიტურიენტებს ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე საწერად უნდა მიეცეს ხუთი საკითხი, სამი — ლიტერატურიდან (თითო ქართული მწერლობის თითო პერიოდიდან). ერთი გრამატიკიდან (წინადადების გარჩევა) და ერთიც თავისუფალი მსჯელობისათვის...

პირველ საკითხზე პასუხმა უნდა გამოავლინოს აბიტურიენტის მიერ ლიტერატურული მასალის ცოდნა (ვთქვათ, „ვეფხისტყაოსნიდან“ შინაარსი: „ლომ-ვეფხვის დახოცვის ეპიზოდი,“ „ავთანდილის შებრძოლება მეკობრეებთან“, „სამთა თათბირი და ქაჯეთის ციხის აღება,“ ან „ოთარაანთ ქვრივიდან:“ „ორი თვალი,“ „ხუთი ქისა“, „გიორგის სიკვდილი,“ „და-ძმის საუბარი სიდჩატეხილობაზე“ და სხვ.

მეორე საკითხმა უნდა გამოავლინოს აბიტურიენტის აზროვნების, განსჯის, ლიტერატურული მასალის კრიტიკულად შეფასების უნარი. ვთქვათ, იდეურმხატვრული ანალიზი რომელიმე ლექსის ან პოემის თუ მოთხრობის ეპიზოდისა („ვისაც გსურთ“, „რად ჰყვედრი კაცსა...“, დღისა და ღამის, ან თერგისა და მყინვარის შედარება „მგზავრის წერილებიდან“, მწყემსი ქალის და განდეგილის დიალოგი, სანათასა და კვირიას საუბარი „ბახტრიონიდან“.

მესამე საკითხმა უნდა გამოავლინოს აბიტურიენტის მსოფლმხედველობა, მისი ზოგადი ცოდნა სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული კულტურული, კერძოდ, ლიტერატურული მოვლენებისა (ვთქვათ, „ქართული ლიტერატურის განვითარების პერიოდები,“ „ქართული რომანტიზმის სპეციფიკა,“ „სამოციანელთა ესთეტიკური შეხედულება“). ამ ტიპის საკითხები განხილულია სასკოლო კრიტიკულ სახელმძღვანელოებში, ე. წ. გარჩევის წიგნებში.

მეოთხე საკითხი — წინადადების გრამატიკული (სინტაქსური და მორფოლოგიური) გარჩევა — გამოავლენს აბიტურიენტის პრაქტიკულ ცოდნას ქართულ ენაში...

მეხუთე საკითხმა უნდა გამოავლინოს აბიტურიენტის შემოქმედებითი, თავისუფალი მსჯელობის თუ ფანტაზიის უნარი, ვთქვათ, როგორ გესმის ესა თუ ის ანდაზა ან აფორიზმი, როგორ აღვიქვამთ ამა თუ იმ საგანს (ვარდს, თოვლს, ზღვას...) ან მოვლენას (წვიმას, ქარს, ცისარტყელას, უხეშობას, თავაზიანობას...) და ა. შ.“ (ხაზი ყველგან ავტორისაა).

●

კორნელი დანელიას სტატიას პირველი გამოეხმაურა პროფესორი შოთა ძურღაძე („ახალგაზრდა ივერიელი,“ 25 ნოემბერი, 1990). შემდეგ კამათმა გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე გადაინაცვლა რატომღაც. აქ ყურადღება მიიპყრო პრაქტიკოსი მასწავლებლების — ქალბატონ თინა ფანცულაიასა („თბილისი“, ამა წლის 4 თებერვალი) და ქალბატონ თამარ ბურჯანაძის („თბილისი“, ამა წლის 14 თებერვალი) სტატიებმა. ორივე პედაგოგი, შ. ძურღაძისგან განსხვავებით, მიიჩნევდა, რომ პროფ. კ. დანელიას მიერ შემოთავაზებული მოდელი წერითი გამოცდებისა მიუღებელია. ჩემის აზრით, ორივე მათგანი ჩინებულად ასაბუთებდა ამ შეხედულებას. სულ უკანასკნელ ხანს ამავე გაზეთში დაიბეჭდა ნ. ბაბუნაშვილისა და ო. ურიდიას (15 თებერვალი) და გიგი ხორნაულისა და ნათელა ხოშტარიას (5 მარტი) წერილები, რომელთა ავტორები პროფ. კ. დანელიას მიერ შემუშავებული მოდელის გულმხურვალე დამცველებად მოგვევლინენ.

ვიდრე სიტყვას განვაგრძობდე, აქ ჩავურთავ შემდეგს. უკანასკნელად ნახსენებ წერილებს გაზეთ „თბილისის“ რედაქციამ ამგვარი შემაცბუნებელი სტრიქონები წარუმძღვარა: „გაზეთი „თბილისი“ ამ წერილების გამოქვეყნებით წყვეტს პოლემიკას მისაღები გამოცდების თაობაზე მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში,“ ამ საკითხთან დაკავშირებით რედაქციაში შემოსულ წერილებს განათლების სამინისტროს გადავუგზავნითო. აქამდე ასე ვიცოდით, რომ ესა თუ ის ბეჭდვითი ორგანო დისკუსიას თუ წამოიწყებდა ან პოლემიკაში თუ ჩაებმებოდა, მოვალეც იყო რაღაც ლოგიკურ დასასრულამდე, შემაჯამებელ წერტილამდე მიეყვანა ეს დისკუსია თუ პოლემიკა. თუკი საზოგადოებრივი აზრი საბოლოოდ არ ჩამოყალიბდა, ისე რა აზრი აქვს პოლემიკაში გარევას?.. ასეა თუ ისე, მე ისლა დამრჩენოდა, „ლიტერატურული საქართველოსთვის“ მიმემართა, მით უფრო, რომ განსახილველი საკითხის მიმართ ქართველი მწერლები გულგრილნი ვერ დარჩებიან.

ახლა სადისკუსიო საკითხს მივუბრუნდეთ.

ის ავტორები, რომლებიც პროფ. კ. დანელიას მოდელს მიემხრნენ. არ (თუ ვერ) ასაბუთებენ, რატომ არის უეჭველად შესაცვლელი წერითი გამოცდის დღემდე მოქმედი მოდელი — თემა, თხზულება. მთელი მათი მსჯელობა ერთ დაუსაბუთებელ მოსაზრებაზე დაიყვანება: არსებული მოდელი უვარგისია, შესაცვლელი, ხოლო ახალშემოთავაზებული — მოსაწონი და მისაღები. რატომ? ამის ცხადყოფა არ ხდება.

უარესი ის არის, რომ თავად ავტორი ამ ახალი მოდელისა, პროფესორი კორნელი დანელია აგრეთვე ვერ ახერხებს დამაჯერებლად დაგვიმტკიცოს, რატომ არის არსებული მოდელი უარსაყოფი.

მივყვეთ პროფ. კ. დანელიას აზრთა სადინარს.

მისი სტატია ფაქტიურად იმის დეკლარირებით იწყება, რომ საჭიროა „მშობლიური ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე ტრადიციული თემები შეიცვალოს საკითხებით“ (ხაზი ავტორისაა).

რატომ?

დასაბუთების მცდელობა: „დღეს ყველა გრძნობს, რომ მისაღები გამოცდების სტრუქტურა, შინაარსი და ფორმა მნიშვნელოვან ცვლილებებს მოითხოვს.“

გეთანხმებით, მაგრამ მაინცდამაინც წერითი გამოცდის არსებული მოდელი უნდა შეიცვალოს, თუ საერთოდ ყველა გამოცდისა? არ ვიცით.

ამას მოსდევს მოულოდნელი რამ: ბოლო ორ წელს უმაღლეს სასწავლებლებში ყველა დადებითნიშნიანი აბიტურიენტი ჩაირიცხაო, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებმა კონტინგენტმა ყოველწლიურად თუ იმატა, უმძიმესი ეროვნული პრობლემის წინაშე დავდგებითო.

ესეც სწორია. მაგრამ რა კავშირი აქვს ყოველივე ამას წერითი გამოცდის არსებულ მოდელთან? კვლავ არ ვიცით.

და, აი, თითქოს იძებნება ის ხიდი, წერითი გამოცდის პრობლემასთან რომ დაგვაკავშირებს: „ბოლო წლებში განსაკუთრებით ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე მაღალ და უმაღლესქულიანი აბიტურიენტების რიცხვი... დასაშვებ ზღვარს აჭარბებს.“

ავტორი პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ, როგორც ეტყობა, იგულისხმება: საიმისოდ, რათა მისაღებმა კონტინგენტმა ყოველწლიურად არ იმატოს, საჭიროა მაღალი და უმაღლესქულიანი აბიტურიენტების რიცხვი დასაშვებ ზღვარს არ აჭარბებდეს.

იმის თაობაზე, თუ სად გადის ის მისტიური „დასაშვები ზღვარი,“ ავტორი არას გვეუბნება, პირდაპირ იმის გამოძიებაზე გადადის, რა ფაქტორები განაპირობებს ამ სიჭარბეს.

ეს ყოფილა შემდეგი ფაქტორები:

1. „აბიტურიენტთა მომზადების დონე ყოველწლიურად საერთოდ მაღლდება.“

2. ცოდნის შეფასების არსებული კრიტერიუმები მოძველებულია, არასრულყოფილი და არასტაბილური.

3. „შეგნებულად დაშვებული არაობიექტურობა ანუ პროტექციონიზმი.“

გულდასმით თუ ჩავუკვირდებით მთელ ამ მსჯელობას, ვნახავთ, რომ არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება.

ერთი რომ, ყველა დადებითქულიანი აბიტურიენტის ჩარიცხვას თავისთავად არავითარი კავშირი არ აქვს მისაღები გამოცდების სტრუქტურასა, შინაარსსა და ფორმასთან (მით უმეტეს — მაინცდამაინც ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის არსებულ მოდელთან). ეს ფაქტი ერთ რასმე მიანიშნებს მხოლოდ და მხოლოდ: უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობის ელემენტარულ უპრინციპობას.

შემდეგ: მისაღები კონტინგენტის ყოველწლიურად მატებაც აგრეთვე თავისთავად არაფრით არის დაკავშირებული მისაღები გამოცდების სტრუქტურასთან, შინაარსთან და ფორმასთან (მით უმეტეს — მაინცდამაინც ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის არსებულ მოდელთან). ეს ფაქტიც ერთ რასმე მიგვანიშნებს: იმავე უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობისა და განათლების სამინისტროს შეუთანხმებელ, გაუაზრებელ საქმიანობას.

გარდა ამისა, თუკი „აბიტურიენტთა მომზადების დონე ყოველწლიურად საერთოდ მაღლდება“ და ესეც არის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მიზეზი მაღალი და უმაღლესქულიანი აბიტურიენტების რიცხვის ზრდისა, საქმე ჩინებულად ყოფილა და უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომელნი იმის გამო კი არ უნდა იკლავდნენ თავს — ეს რა უბედურება გვჭირს, რამდენი მაღალი და უმაღლესი ნიშანი იწერებაო, არამედ იმაზე უნდა ზრუნავდნენ, რომ მომზადების მაღალი დონის აბიტურიენტთაგან მჯობნის მჯობნები შეარჩიონ როგორმე მისაღები კონტინგენტის რიცხვის გაუზრდელად.

პროფესორ კორნელი დანელიას იმის დამტკიცება რომ მოეხერხებინა (თუნდაც ცდილიყო იმის დამტკიცებას) — უკეთესთაგან უკეთესთა შესარჩევად წერითი გამოცდის მოქმედი მოდელი შეუფერებელიაო, კიდევ იტყოდა კაცი რამეს. მაგრამ პატივცემული პროფესორი ამ საკითხს არ იხილავს, იმას ამჯობინებს, დეკლარაციული ფრაზით შემოიფარგლოს: ცოდნის შეფასების არსებული კრიტერიუმები მოძველებულია, არასრულყოფილი და არასტაბილურიო. მე თუ მკითხავთ, ცოდნის შეფასების ის კრიტერიუმი, რომელსაც პროფესორი კ. დანელია გვთავაზობს, არაფრით უმჯობესი არაა, წერილში გაცილებით უარესია ამჟამად არსებულთან შედარებით! ოღონდ ისეც რომ იყოს, ცოდნის შეფასების არსებული კრიტერიუმები მართლა უვარგისი რომც იყოს, თავისთავად ეს არ გამოდგება წერითი გამოცდის მოქმედი მოდელის უკუსაგდებ არგუმენტად: ცოდნის შეფასების კრიტერიუმები შესაძლოა ისეც შეიცვალოს, რომ წერითი გამოცდის არსებული მოდელი — ტრადიციული თემები — ხელუხლებელი დარჩეს.

აღარაფერს ვიტყვი იმის თაობაზე, რომ მოქმედი მოდელის უკუსაგდებად კიდევ უფრო ნაკლებად გამოდგება ზემოთ წამოყენებულ „არგუმენტთა“ მესამე პუნქტი — „შეგნებულად დაშვებული არაობიექტურობა ანუ პროტექციონიზმი.“ საერთოდ, წერითი გამოცდის მოდელის თაობაზე წამოწყებულ სერიოზულ საუბარში ხსენებული „არგუმენტის“ მოტანა, მეტი რომ არ ვთქვათ, არასერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. კიდევ უფრო არასერიოზულია ამ პროტექციონიზმის წინააღმდეგ მიმართული, ემოციური ხანელებლით უხვად ნაკაზმი ვრცელი ტირადა, რომელიც ზემოხსენებულ სამ „არგუმენტს“ მოსდევს წერილში. ეს ტირადა უბირ მკითხველთათვის გახლავთ გამიზნული, თორემ წერითი გამოცდის არსებული მოდელის საწინააღმდეგო არგუმენტად რომ არ გამოდგება, ეს, უნდა ვიფიქროთ, პროფესორმა კორნელი დანელიამ თქვენზე და ჩემზე უკეთ უწყის.

რაღა გამოვიდა? წერითი გამოცდის არსებული მოდელის წინააღმდეგ ასეთი რიხით დაწყებული და ვრცლად განგრძობილი საუბარი, რომელსაც განსახილველი სტატიის ლამის ნახევარი უჭირავს, ფუჭი და ამაო საუბარი გამოდგა, რამეთუ ფაქტიურად ერთი არგუმენტიც არ წამოუყენებიათ ამ მოდელის ნაკლოვანებათა წარმოსაჩენად. აქედან უნდა მივხვდეთ, თუ რა ფასი აქვს ავტორისეულ დასკვნას, რომლითაც ეს ვრცელი მსჯელობა გვირგვინდება: „აშკარაა, რომ მისაღები გამოცდების ორგანიზაციის სტრუქტურაში ბევრი რამ შესაცვლელია.“

ვერ იქნა და ვერ მოხერხდა იმის ჩვენება, თუ რატომ არის ეს აშკარა. ამას, ეტყობა, თავად ავტორიც გრძნობს და ცოტათი ქვემოთ დამატებით „არგუმენტებს“ იშველიებს:

„ვიმეორებთ, მისაღები გამოცდების ორგანიზაციისა და შინაარსის გარდაქმნა ისე უნდა წარიმართოს, რომ გამოსწორდეს დღემდე მოუშლელი სამი დიდი ნაკლი: ტრაფარეტიზმი ცოდნაში, შპარგალკომანია და მეტასტაზური პროტექციონიზმი“ (ხაზი ავტორისაა).

ბოდიშს კი მოვუხდი პატივცემულ დეკანს, მაგრამ ამას ბლეფი ეწოდება. უბირ მკითხველთა გასაბრიყვებელი ბლეფი. იმიტომ, რომ საუბარი ისე მარჯვედ არის წარმართული, უბირ მკითხველს მართლა აფიქრებინებს — „ცოდნაში ტრაფარეტიზმიც“, „შპარგალკომანიაც“ და „მეტასტაზური პროტექციონიზმიც“ სულ იმ წყეული ტრადიციული თემების ბრალი ყოფილა, წერითი გამოცდის არსებული მოდელი მართლა არაფრად ვარგებულაო! ოღონდ თქვენ და მე იმის უფლებას მაინც ვერავინ წაგვართმევს, რომ კვლავ და კვლავ მოვითხოვოთ თუნდაც ერთი არგუმენტი წერითი გამოცდის არსებული მოდელის — ტრადიციული თემების, თხზულების — უვარგისობის დასამტკიცებლად.

ან იქნებ პროფ. კ. დანელია ამ უკანასკნელ „სამ დიდ ნაკლს“ მართლა არგუმენტებად მიიჩნევს? შევეცადოთ გავუქარწყლოთ ეს შეხედულება.

1. „ტრაფარეტიზმი ცოდნაში“. ჯერ ერთი, როგორც ზემოთ ვნახეთ, პატივცემული პროფესორის ერთი უმთავრესი დებულება გახლდათ, რომ „აბიტურიენტთა მომზადების დონე ყოველწლიურად საერთოდ მაღლდება.“ ეს ორი თვალსაზრისი ერთმანეთს შეესაბამება თუ არა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. გარდა ამისა, თუკი ვინმე ჰგონია, რომ აბიტურიენტთა ცოდნის ტრაფარეტიზმს მისაღები გამოცდის მოდელი განსაზღვრავს უეჭველად და არა სხვა რაიმე ფაქტორი, უნდა დაგვიმტკიცოს კიდეც ეს მოსაზრება.

(დასასრული მე-4-5 გვ.)

(დასასრული)

ამგვარ მტკიცებად სულაც არ გამოდგება სტატიაში ცოტათი ზემოთ წამოყენებული დებულება: „...ერთ-ორ წელიწადში უნდა იცვლებოდეს წერითი გამოცდის კონკრეტული შინაარსი და ფორმა, რომ საპროგრამო თემატიკა არ გახდეს სტერეოტიპული და აბიტურიენტთა შეგნებული ცოდნა არ შეიცვალოს გაუაზრებელი დაზეპირებითა და „დაშპარგალკებით".

არ გამოდგება იმიტომ, რომ ეს მტკიცება თავად საჭიროებს დასაბუთებას, იმის ცხადყოფას, რომ არსებული მოდელი მართლაც იწვევს შეგნებული ცოდნის შეცვლას გაუაზრებელი დაზეპირებითა და „დაშპარგალკებით".

2. „შპარგალკომანიას" რაც შეეხება, ბუნებაში არ არსებობს იმგვარი საგამოცდო თემა (პროფ. ქ. დანელიას მიერ პანაცეად მიჩნეული „საკითხების" ჩათვლით), რომლის „დაშპარგალკება" ვერ მოახერხოს დახელოვნებულმა აბიტურიენტმა თუ მისმა გულშემატკივარმა. აქ მთავარი ის არის ალბათ, ინდიფერენტული, დოყლაპია ან, კიდევ უარესი, უსინდისო გამომცდელები არ ადგენენ თავს აბიტურიენტებს და, გარდა ამისა, ამა თუ იმ საწერი თემის სახელწოდებამ გამოცდამდე არ „გამოჟონოს" ხოლმე საგამოცდო კომისიებიდან. ოღონდ არც ერთს და არც მეორეს საკუთრივ წერითი გამოცდის მოდელთან, მის ავკარგიანობასთან საერთო არაფერი აქვს. ეს მორალის სფერო გახლავთ.

3. ასევე მორალის სფეროს განეკუთვნება „მეტახტაზური პროტექციონიზმის" საკითხიც და თავისთავად ესეც არაფერს გვეუბნება იმის თაობაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია წერითი გამოცდის არსებული მოდელი. ასეთივე უფლებით არსებული მოდელის საწინააღმდეგო არგუმენტად შეგვეძლო დაგვესახა, მაგალითად, დაშინება (აბიტურიენტის მშობელი, რევოლვერით ან დანით შეიარაღებული, მიუვარდება გამომცდელს) ან კიდევ შანტაჟი (იგივე მშობელი გამომცდელს ემუქრება — ქვეყანას გავაგებინებ, საყვარელი რომ გყავს).

როგორც ხედავთ, ისე შემოგვადნა ხელში პროფ. ქ. დანელიას სტატიის ნახევარზე მეტი, ერთი არგუმენტიც ვერ მოიძებნა წერითი გამოცდის არსებული მოდელის უვარგისობის დასამტკიცებლად. არადა, უმთავრესი პათოსი სტატიის ამ ნაწილში არის სწორედ დაუნჯებული, აქ ბრუნავს მძაფრი ემოციური ქარბორბალა, რომელიც, უნდა ვაღიაროთ, მკითხველთა გარკვეულ ნაწილზე უეჭველად მოახდენს ავტორისთვის სასურველ ზემოქმედებას.

და, აი, ამდენი ვაიუშველებელის შემდეგ, როგორც იქნა, მივადექით იმ ერთადერთ არგუმენტს, ერთადერთ საბუთს, რომლის ძალითაც პროფ. ქ. დანელიას წერითი გამოცდის არსებული მოდელი ყოვლად უვარგისად მიუჩნევია. მოზრდილი ციტატის მოხმობა მოგვიწევს:

„ტრადიციულად მშობლიური ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე აბიტურიენტს სამი თემა ეძლევა, რომელთაგან ერთ-ერთს ირჩევს. დამაფიქრებელია ერთი გარემოება: რამდენად სამართლიანია და რაციონალური, რომ სამი დავალებიდან, რომლებიც სავალდებულო პროგრამაში მასალას ემყარება (თავისუფალი თემაც არსებითად პროგრამულია), აბიტურიენტს გადასაწყვეტად მოეთხოვება ერთი. ეს ხომ ნიშნავს იმას, რომ სავალდებულო ცოდნის შემმოწმებელი გამოცდა ტარდება დავალების არჩევითად და არა სავალდებულოდ შესრულების პრინციპით. ეს ცუდია, რადგან თანაბარ შესაძლებლობებს უქმნის სრულიად განსხვავებული მომზადების აბიტურიენტთ: იმას, ვისაც შეეძლო სამივე დავალება შეესრულებინა, და იმას, ვისაც შეეძლო შემთხვევით მხოლოდ ერთი გაეკეთებინა. გამოდის, რომ მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის დღემდე არსებული მოდელი დასაწყისშივე, დავალების მიცემის სტადიაშივე, ლიბერალურია: სამიდან ორი საკითხის არცოდნა საპატიოა, უკეთ, იცი, არ იცი, სულერთია, ცოდნის შეფასებაში ეს არ გამოჩნდება" (ხაზი ავტორისაა).

●

წერითი გამოცდის უნაკლო მოდელი არ არსებობს (გარდა, რაღა თქმა უნდა, პროფ. ქ. დანელიას მიერ შემუშავებული მოდელისა, ოღონდ ამის თაობაზე — ცოტათი ქვემოთ). ამიტომ არასგზით არ მოველოდი, რომ დღემდე მოქმედ მოდელს ერთი, ერთადერთი ნაკლის მეტს ვერ უპოვნიდნენ მისი თავგადაკლული მოწინააღმდეგენი — არსებული, მოქმედი მოდელი ლიბერალური არისო. ეგ კიდევ არაფერი, ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ ამ ერთი, ერთადრეთი არგუმენტის საფუძველზე ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელები ფიცხლად დასხკვნიდნენ: არსებული, მოქმედი მოდელი უვარგისია, უნდა შევცვალოთო.

გაზეთ „თბილისის" 5 მარტის ნომერში დაბეჭდილ წერილში გიგი ხორნაული ამგვარ საგულისხმო ცნობას გვაწვდის:

„გამოცდების წინ ჩატარებულმა სამედიცინო შემოწმებებმა ცხადყო, რომ აბიტურიენტთა ნახევარზე მეტს წინასაინფარქტო მდგომარეობა ჰქონდა."

როგორც ეტყობა, ზოგიერთი უმაღლესი სასწავლების ხელმძღვანელებს გადაუწყვეტიათ: წინასაინფარქტო მდგომარეობა არ კმარა, ინფარქტი, ინფარქტი უნდა დავმართოთო იმ არამზადებს!

სხვაგვარად ვერ ამიხსნია, რამ აიძულა ეს დარბაისელი ხალხი ასე ბაიბურად, საქმეში ჩაუხედავად მიმდგარიყვნენ და არსებული მოდელის შეცვლა გადაეწყვიტათ.

რას სჩადიხართ, ბატონებო?!

კარგად გაითვალისწინეთ კი რამდენ უბედურებას გამოიწვევს არსებული მოდელის აგრე ხელაღებით შეცვლა?

სხვას ყოველსავე რომ დავეხსნათ, რას ეუბნებით იმ ათასობით მომავალ აბიტურიენტს, ვინც წლების განმავლობაში დღემდე მოქმედი მოდელის შესატყვისად ემზადებოდა და ემზადება წლევანდელი თუ საგაისო გამოცდებისთვის? რას ეუბნებით ამ აბიტურიენტთა მშობლებს, ათასობით მანეთი რომ დახარჯეს უკვე რეპეტიტორებთან? იმას ხომ არა — ათასებს სადინარი უნდა შეეცვალოსო? (ბოროტი ენები ამბობენ: მომავალი აბიტურიენტების ერთმა ნაწილმა უკვე იხუვლა და ენათმეცნიერ რეპეტიტორთა კარს მიაწყდაო. ერთობ სიმპტომატური იქნება, თუკი გამართლდა ეს ხმები!).

„თბილისის" იმავე ნომერში, წეღან რომ ვახსენე, არსებული მოდელის შეცვლის თავგამოდებული მომხრე ქალბატონი ნათელა ხოშტარია წერს:

„გაისმის ხმები: რადგან ახალგაზრდები მოუმზადებლები არიან ამგვარი გამოცდისათვის, ისევ ძველი წესით ჩააბარონო. რატომ? რომელი ლოგიკით?"

ქალბატონ ნათელას ვიცნობ, ვითარცა განათლებულსა და გონიერ ადამიანს. ამიტომ ჩემთვის დიდად მოულოდნელი იყო მისი მხრივ უმარტივესი ლოგიკური შეცდომის დაშვება სწორედ იმ ფრაზაში, რომელშიც ლოგიკას მოუხმობს თავადვე.

„რომელი ლოგიკით" და იმ ელემენტარული ლოგიკით, რომ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდაზე აბიტურიენტს მხოლოდ და მხოლოდ ის უნდა მოეთხოვოს, რასაც სწავლობდა და როგორც სწავლობდა სკოლაში. ამ ელემენტარული წესის დარღვევის უფლება არავის აქვს, რაგინდ მაღალი სამეცნიერო თუ თანამდებობრივი რეგალიების მფლობელიც უნდა ბრძანდებოდეს.

●

მივუბრუნდეთ იმ საკითხს, თუ რას წარმოადგენს არსებული მოდელის საწინააღმდეგოდ პროფ. ქ. დანელიას მიერ მიკვლეული ის ერთი, ერთადერთი არგუმენტი — ეს მოდელი ლიბერალური არისო, რამეთუ „თანაბარ შესაძლებლობებს უქმნის სრულიად განსხვავებული მომზადების აბიტურიენტთ; იმას, ვისაც შეეძლო სამივე დავალება შეესრულებინა, და იმასაც, ვისაც შეეძლო შემთხვევით მხოლოდ ერთი გაეკეთებინა".

თუკი სამივე დავალების შემსრულებელი მართლაც ღირსეული პრეტენდენტია და არა საპროგრამო მასალის თუ „გარჩევის წიგნების" ზუთხვით ტვინგამოლაყებული თუთიყუში (როგორნიც, ჩვეულებრივ, მრავლად არიან ხოლმე სწორედ იმათ შორის, ვინც „ყველა საკითხი იცის"). მისი უპირატესობა ნაწერის ხარისხით მაინც თავისთავად გამოვლინდება იმ აბიტურიენტის წინაშე, რომელსაც შემთხვევით მოუხერხებია მხოლოდ ერთი დავალების შესრულება. ხოლო თუ აბიტურიენტი, რომელმაც სამი თემიდან ერთი ან, ვქთვათ, ორი თემა იცის მხოლოდ, თავისი აზროვნების დონით, წერის კულტურით და სულიერი განვითარებით (რაც უეჭველად აირეკლება მის ნაწერში) არაფრით ჩამოუვარდება სამივე თემის კარგად მცოდნეს, მაშინ ნამდვილად აღარ ხამს იმის გამო წუხილი — ამ მშვენივრად მოაზროვნე და წერის მაღალი კულტურის მქონე აბიტურიენტმა რაღაც საკითხები რომ არ იცოდა ან კარგად არ იცოდა, ეს როგორ ვერ დავადგინეთო!

ზემოთ მოგახსენეთ და კვლავ ვიტყვი: საგამოცდო კომისიის უპირველესი საზრუნავი თითოოროლა საკითხის შემთხვევით მცოდნე აბიტურიენტთა მხილება კი არ უნდა იყოს, არც იმის დადგენა, თუ რა არ იციან აბიტურიენტებმა, არამედ უკეთესთაგან უკეთესთა გამორჩევა, მჯობნის მჯობნის გამოვლენა.

დავასკვნათ: პროფესორმა ქ. დანელიამ ფაქტიურად ვერც ერთი მყარი არგუმენტი ვერ წარმოადგინა იმის დასასაბუთებლად, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის არსებული მოდელი უეჭველად შესაცვლელია. არა მგონია ამას თავად ავტორიც არ გრძნობდეს თუ ვერ ხვდებოდეს. მაშინ რატომღა ატყდა ამხელა განგაში, რატომ დაარისხეს ზარები — არიქა, არსებული მოდელი თუ არ შეიცვალა, ჩვენი საზოგადოება ნამდვილად დაიღუპებაო?

მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ პროფ. ქ. დანელიას საკუთარი მოდელი აქვს შემუშავებული და უცილობლობს: ტრადიციული თემები უეჭველად საკითხებით უნდა შეიცვალოსო.

ახლა ვიკითხოთ: იქნებ მართლაც ისეთი საკვირველება რაღაცა მოდელი შექმნა პროფესორმა კორნელი დანელიამ, რომ უიმისობა ჩვენს საზოგადოებას ნამდვილად დაღუპავს?

მკითხველებს ვთხოვ, ნუ დაიზარებენ და კვლავ მიუბრუნდნენ ამ წერილის დასაწყისს, სადაც სიტყვასიტყვით, უცვლელად მაქვს გადმოწერილი პროფ. ქ. დანელიას სტატიის ის ნაწილი, მისი მოდელი რომ არის მოცემული. მკითხველებს იმასაც ვთხოვ, გულდასმით დაუკვირდნენ, რას წარმოადგენს ის მრავალგანსმენილი ხუთი საკითხი.

მეოთხე საკითხს — წინადადების გრამატიკულ გარჩევას — ჯერჯერობით დავეხსნათ (ქ. დანელიას ერთ-ერთმა მხარდამჭერმაც კი აღნიშნა საგაზეთო წერილში, რომ ეს საკითხი ყოვლად ულოგიკოდ და უადგილოდ არის ჩაკვეხებული წმინდა ლიტერატურულ საკითხთა შორის).

ახლა ვნახოთ, რა დანიშნულება აქვს ამ საკითხებს, რა უნდა გამოავლინონ მათ. კვლავ სიტყვასიტყვით ვიწერ პროფ. ქ დანელიას სტატიიდან.

„პირველ საკითხზე პასუხმა უნდა გამოავლინოს აბიტურიენტის მიერ ლიტერატურული მასალის ცოდნა;" „მეორე საკითხმა უნდა გამოავლინოს აბიტურიენტის აზროვნების, განსჯის, ლიტერატურული მასალის კრიტიკულად შეფასების უნარი;" „მესამე საკითხმა უნდა გამოავლინოს აბიტურიენტის მსოფლმხედველობა, მისი ზოგადი ცოდნა სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული კულტურული, კერძოდ, ლიტერატურული მოვლენებისა"; მეხუთე საკითხმა უნდა გამოავლინოს აბიტურიენტის შემოქმედებითი, თავისუფალი მსჯელობის თუ ფანტაზიის უნარი, ვთქვათ, როგორ გვესმის ესა თუ ის ანდაზა ან აფორიზმი, როგორ აღვიქვამთ ამა თუ იმ საგანს ან მოვლენას" (ხაზი ავტორისაა).

ცოტა რამ წარვუმძღვაროთ უმთავრეს სათქმელს.

მესამე საკითხმა აბიტურიენტის მსოფლმხედველობა უნდა გამოავლინოსო, — ბრძანებს პატივცემული დეკანი. იცის კი პატივცემულმა დეკანმა, რას ნიშნავს სიტყვა „მსოფლმხედველობა?" პატივცემულმა დეკანმა, რაღა თქმა უნდა, მშვენივრად იცის, რასაც წერს, ოღონდ მე და თქვენ შესაძლოა დავიწყებული გვქონდეს ამ სიტყვის მეცნიერული მნიშვნელობა, ამიტომ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს" ჩავხედოთ: „მსოფლმხედველობა — შეხედულებათა, წარმოდგენათა სისტემა სამყაროსა და მის კანონზომიერებებზე, ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებზე."

სხვისი რა მოგახსენოთ და მე აგრე მგონია: ამგვარი რამის მოთხოვნა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ყმაწვილებისგან ალბათ მოულოდნელია.

მესამე საკითხი სხვა მხრივაც სცოდავს. გარდა მსოფლმხედველობისა, ამ საკითხმა უნდა გამოავლინოსო აბიტურიენტის „ზოგადი ცოდნა სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული კულტურული, კერძოდ, ლიტერატურული მოვლენებისა."

ხომ არაფერი გენიშნათ, ძვირფასო მკითხველებო? ხომ არ გეცნოთ ის დაუვიწყარი „სოციალურ-პოლიტიკური პროცესები", ათეული და ათეული წლების განმავლობაში რომ ხუთავდნენ ლიტერატურის სწავლების პროცესს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ულმერთოდ რომ აქარწყლებდნენ ნებისმიერი ნაწარმოების ესთეტიკური აღქმის შესაძლებლობას? თურმე ამაოდ გაიხარეს ამ ბოლო წლებში ჩვენმა საუკეთესო პედაგოგებმა, თავისუფლად რომ ამოისუნთქეს და მოსწავლეებს იმაზე გაამახვილებინეს ყურადღება, რაც უმთავრესი და უპირველესია— ნაწარმოების მხატვრულ რაობაზე. განათლების სამინისტროს ირგვლივ შემოკრებილ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა გარჯაც ამაოა, როგორც ეტყობა, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების ძირფესვიანად განახლებაზე რომ მუშაობენ გამალებულნი. აგერ, ბატონო, მისაღები გამოცდები კარზეა მომდგარი, დაინერგება პროფ. ქ. დანელიას მიერ შემუშავებული ეს ხელიხელ საგოგმანები მოდელი და ვაი იმ აბიტურიენტს, მარქსისტული ესთეტიკის სქემებში ვინც ვერ ჩაჰედავს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას" თუ „ოთარაანთ ქვრივს."

გარდა ამისა, წერითი გამოცდის მთელი ეს მოდელი იმგვარად არის კონსტრუირებული, რომ საკუთრივ ლიტერატურისთვის, მწერლობისთვის, მისი სპეციფიკისთვის ადგილი არსად რჩება. ყოველივე ამის უკან დგას მოდელის ავტორი, რომლისთვისაც ლიტერატურის თვითმყოფი ღირებულება ერთობ საეჭვოა. ამნაირი ავტორი, თუკი საშუალება მიეცით, სიამოვნებით დაიყვანს მთელ სიტყვაკაზმულ მწერლობას უსახურ სოციოლოგისტურ სქემებამდე, ხოლო გამომცდელის როლში თუ აღმოჩნდა, გინდ ქართული ლიტერატურა ჩაგიბარებიათ მისთვის და გინდ —, პოლიტეკონომია.

ეს ცალკე საუბრის თემაა, ამჯერად საშუალება არ გვაქვს ამ საკითხს ჩავუღრმავდეთ, ოღონდ, თუკი საჭიროებამ მოიტანა, არც ამის გაკეთება იქნება ძნელი.

მეხუთე საკითხში ყურადღებას იპყრობს „ფანტაზიის უნარი," რომელიც თურმე უნდა გამოავლინოს აბიტურიენტმა. პროფ ქ. დანელიას, რაღა თქმა უნდა, ჩვენზე უკეთ მოეხსენება, რომ ფანტაზიის უნარით აბსოლუტურად ყველა ადამიანი არის დაჯილდოებული!

ვატყობ, სიტყვა გამიგრძელდა, ასე რომ, სჯობს უმთავრეს სათქმელს მივხედოთ.

უმთავრესი სათქმელი შემდეგია: თუ ავიღებთ პირველ სამ საკითხს და კარგად დავუკვირდებით, თუ რა უნდა გამოავლინოს თითოეულმა ამ საკითხთაგან, აღმოჩნდება, რომ ეს სწორედ ის მოთხოვნებია, რასაც დღემდე მოქმედი მოდელი — თემა, თხზულება — გულისხმობს თავის მთლიანობაში. ვერც ერთი რიგიანი თემა ისე ვერ დაიწერება, თუ აბიტურიენტმა არ გამოავლინა ლიტერატურული მასალის ცოდნა (ქ. დანელიას პირველი საკითხი), აზროვნების, განსჯის, ლიტერატურული მასალის კრიტიკული შეფასების უნარი (მეორე საკითხი) და ამა თუ იმ მწერლის, ამა თუ იმ ნაწარმოების შესატყვის ეპოქასთან დაკავშირების უნარი (მესამე საკითხი). ქ. დანელიას მეხუთე საკითხს რაც შეეხება, ეს სწორედ ის არის, რასაც დღესდღეობით თავისუფალი თემა ეწოდება. ამ უკანასკნელ გარემოებას ქალბატონმა თამარ ბურჯანაძემაც მიაპყრო ყურადღება ზემოხსენებულ წერილში.

რაღა გამოდისო, — გაოცდებიან ალბათ მკითხველნი, — თუკი მართლა ასეა (არადა, ნამდვილად ასეა!), რაღა საჭიროა დღესდღეობით პრაქტიკაში არსებული თემის, თხზულების მოთხოვნათა, უაზრო დაქუცმაცება და ცალკეულ საკითხებად დაწიწილაკება?

დიდად შეცდება, ვინც ამას იფიქრებს. საქმეც ის გახლავთ, რომ პატივცემული პროფესორი უაზროდ სულაც არ აქუცმაცებს თემას ცალკეულ საკითხებად. აქ ღრმა აზრია ჩაქსოვილი, ის შეუღეველი აზრი, რომ გამომცდელის უპირველესი საზრუნავია მარჯვედ ჩაუსაფრდეს აბიტურიენტს და იმნაირი ხაფანგები დაუგოს, ეშმაკმა ვერ მოახერხოს იქიდან თავის დაღწევა.

დღემდე მოქმედი წესის მიხედვით აბიტურიენტს სამი თემა ეძლეოდა და მის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, სამთაგან რომელს შეარჩევდა, საწერად. აი, ეს ლიბერალური მოდელი ღუპავდა საქართველოს! მაგრამ საქმეს ჩაუჯდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი და ყოველსავე თავისი ადგილი მიუჩინა. აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე აბიტურიენტს არავითარი არჩევანი აღარ მიეცემა. მომავალი ივანე ჯავახიშვილიც რომ იყოს, მომავალი პავლე ინგოროყვა ან დიმიტრი უზნაძე, ის თუ ვერ გაიხსენა ზუსტად, ოთარაანთ ქვრივის ხუთი ქისიდან თითოეულს რა სახელი ერქვა, მორჩენილია მისი საქმე — პირველი საკითხის უცოდინარობისთვის ხუთი ბალი ჩამოაკლდება ხელად. ამას ისიც თუ დაემატა, რომ, თავისდა ჭირად, მაინცდამაინც ლექსის „ვისაც გსურთ" იდეურ-მხატვრული გაანალიზება ვერ მოახერხა (სხვა ყველაფერი იცის, მაგრამ „ვისაც გსურთ" არ იცის მაინცდამაინც, ან, უბრალოდ, არ მოსწონს ეს ლექსი და კარგად აღარ ისწავლა), აქაც, მეორე საკითხშიც ხუთს თუ არა, ოთხ (გინდაც სამ) ბალს დაკარგავს ის მომავალი ივანე ჯავახიშვილი თუ პავლე ინგოროყვა. სულ ადვილი შესაძლებელია, ბედის ირონია იქამდე მივიდეს, რომ მესამე საკითხსაც ბევრი ვერაფერი მოუხერხოს, რამეთუ არჩევანი არც აქ ეძლევა, სურს თუ არა, „სამოციანელთა ესთეტიკური შეხედულება" უნდა დაწეროს მაინცდამაინც.

ახლა იმას ნუ ბრძანებთ — მეოთხე საკითხში რაღა ღმერთი გაუწყრებაო! მეოთხე საკითხად გრამატიკა გახლავთ წარმოდგენილი, წინადადების გრამატიკული გარჩევა. ეს ის საგანია, უკვე მრავალი წლის მანძილზე რომ აღარ ისწავლება ჩვენს სკოლებში, ან — თითქმის აღარ ისწავლება. ხოდა, მომავალმა დიმიტრი უზნაძემაც ამ უბრალო მიზეზის გამო არ იცის გრამატიკა, უკეთეს შემთხვევაში — ხეირიანად არ იცის, დიდი-დიდი, სამი ან ოთხი დაიმსახუროს. იმდენი ჭკუა არ ეყო არც თვითონ მას, არც მის მშობელს, ენათმეცნიერ რეპეტიტორთან რომ მომზადებულიყო გამოცდისთვის!

ამასობაში მომავალი ივანე ჯავახიშვილების, პავლე ინგოროყვების, დიმიტრი უზნაძეების გვერდით სხედან ყველაფრის იოლად გამზეპირებელი, ენათმეცნიერი რეპეტიტორების მიერ გაწვრთნილი თუთიყუშები და სიცილით იხოცებიან: ეს რანაირი აბიტურიენტია, არც ქისების სახელები ახსოვს, არც „ვისაც გსურთ" იცის ზეპირად, ვერც რთულ ქვეწყობილ წინადადებას არჩევს რთული თანწყობილისგან, ვერც ენიან ვნებითს განასხვავებს ინიანისგან... „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!"

გრამატიკის საკითხი სახუმარო არ გახლავთ. ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნე უკვე, კარგა ხანია ჩვენს სკოლებში გრამატიკა თითქმის აღარ ისწავლება. ეს რეალობაა და ამ რეალობის აგრე ხელაღებით უგულებელყოფა არ ეგების. ბოლოს და ბოლოს მართლა იმგვარად ხომ არ უნდა წავიდეს საქმე, როგორც ქალბატონმა ნათელა ხოშტარიამ დასახა თავის ზემოხსენებულ წერილში:

„თქვენი 30 მოსწავლიდან რამდენს შეუძლია ახალი მოთხოვნებით გამოცდის ჩაბარება, პატივცემულო კოლეგებო? ათს? ხუთს? თუ მხოლოდ ერთს? მაშინ ლოგიკური, ბუნებრივი და სამართლიანია, რომ უმაღლეს სასწავლებელში მოხვდეს მხოლოდ ის ერთი!"

ის ერთიც ვერ მოხვდება, ქალბატონო ნათელა, ენათმეცნიერ რეპეტიტორთან თუ არ მოემზადა საგულდაგულოდ.

გარდა ამისა, დავუკვირდეთ, რა მოტივით შეიტანა პროფ. კ. დანელიამ გრამატიკაში წერითი გამოცდა იმ თავის „საკითხებში:“ „მეოთხე საკითხი — წინადადების გრამატიკული (სინტაქსური და მორფოლოგიური) გარჩევა — გამოავლენს აბიტურიენტის პრაქტიკულ ცოდნას ქართულ ენაში.“

დიახ, ბატონებო, წერითმა გამოცდამ ქართული ენის პრაქტიკული ცოდნა უნდა გამოავლინოს და არა მორფოლოგიისა და სინტაქსის ნიუანსების თვითმიზნური ცოდნა. მორფოლოგიისა და სინტაქსის ის ნიუანსები საერთოდ არავისთვის არ არის საჭირო ქართული ენის მომავალ სპეციალისტთა გარდა. სკოლაში გრამატიკის სწავლების მიზანი ხომ ის უნდა იყოს, რომ ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა შესძინოს მოსწავლეებს. თუკი აბიტურიენტი წიგნიერად წერს, ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები არ მოსდის, პუნქტუაციაც მოგვარებული აქვს, სტილიც გამართული, ერთი სიტყვით, წერის პრაქტიკულ ჩვევას თუკი ფლობს, რა აუცილებლობის ძალით უნდა მოვთხოვოთ მას ზედმიწევნით იცოდეს, ვთქვათ, უშუალო თუ შუალობითი კონტაქტის თეორიული რაობა, რასაც პრაქტიკულად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს სწორმეტყველებისა და მართლწერისათვის?

კიდევ დავაზუსტებ: ზემოხსენებულ რეალურ ვითარებას რომც დავეხსნათ (სკოლებში გრამატიკა ცუდად ისწავლება და ამ უბრალო მიზეზის გამო აბიტურიენტთა დიდმა უმრავლესობამ ახევე ცუდად იცის გრამატიკის საკითხები, იმდენად ცუდად, რომ ამ დიდ უმრავლესობას გრამატიკაში წერითი გამოცდა გამოუვალ მდგომარეობაში მოაქცევს), გამოცდების ეს „გრამატიზაცია“ აბსოლუტურად არაფრის მაქნისია და არავის არაფრად ესაჭიროება სპეციალისტთა ერთი მცირე ჯგუფის გარდა, რომელსაც, როგორც ეტყობა, მოხვენება დაუკარგა უჩვეოდ ვინ იმლერეთას კომპლექსმა.

სხვათა შორის, ალბათ საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ზემოთ ყველგან სწორედ ეს ერთი მცირე ჯგუფი მყავს მხედველობაში. საერთოდ ენათმეცნიერებისადმი ჩემს დამოკიდებულებას რაც შეეხება, მკითხველებს თავს თუ არ შევაწყენ, ერთ ამბავს გავიხსენებდი. ფილოლოგიის ფაკულტეტზე რომ შევედი, ჭირის დღესავით მძაგდა გრამატიკა (იმდროინდელ სკოლაშიც ისევე გვაძულებდნენ ამ საგანს, როგორც დღევანდელ სკოლაში ხდება ეს). მაგრამ, ჩემთვისვე მოულოდნელად, მალე ვიგრძენი და ვიაზრე კიდეც, თურმე რამდენ საინტერესო და თვით პოეტურიც კი ყოფილა მრავალთაგან უსამართლოდ მოძულებული ეს საგანი. ისე რომ, როცა ჩვენი კურსი ლიტერატურის შემსწავლელთა და ენის შემსწავლელთა ჯგუფებად დაიყო, მე ენის სპეციალობა ვარჩიე უყოყმანოდ და დღემდე ბედს ვუმადლი ამის გამო — ერთადერთი, რაც უნივერსიტეტმა ნამდვილად შემძინა, გრამატიკის, საერთოდ, ენათმეცნიერების ცოდნა აღმოჩნდა.

●

წერითი გამოცდის დღემდე მოქმედ მოდელს სრულყოფილი ნამდვილად არ ეთქმის (ამის თაობაზე სხვა დროს ვისაუბროთ გამოწვლილვით), მაგრამ პროფ. კ. დანელიას მიერ შემუშავებული მოდელიც რომ არ არის სრულყოფილი, ამას ამ ახალი მოდელის მომხრენიც აღიარებენ და, ამასთან, იმედს გამოთქვამენ — ახალი წესი თანდათან დაიხვეწება. მე, ჩემი მხრივ, იმას შევეცადე ზემოთ, რომ დამემტკიცებინა — სრულყოფილი კი არა, საერთოდ უვარგისია ეს მოდელი.

კარგი, ვთქვათ, ვერ შევძელი ამის დამტკიცება, ან ჩემი მოსაზრებები არ გაიზიარეს იმათ, „რომელთა ხელმწიფება აქვთ.“ მაშინ დავრჩეთ ამოსავალ წერტილთან და საკითხი ამგვარად დავაყენოთ: არსებობს წერითი გამოცდის დღემდე მოქმედი არასრულყოფილი მოდელი და მის პარალელურად გაჩნდა ახალი ასევე არასრულყოფილი მოდელი. რა აზრი აქვს ერთი არასრულყოფილი მოდელის მეორე არასრულყოფილი მოდლით შეცვლას? აუცილებლად რატომ უნდა ჩატარდეს თავისი მასშტაბით უზარმაზარი, ოღონდ ყოვლად უაზრო ექსპერიმენტი, რომელსაც გაუთვალისწინებელი შედეგებიც უხვად მოჰყვება? რატომ უნდა მიიყვანონ წინაინფარქტულ მდგომარეობამდე!!! მათიცდამაინც ინფარქტამდე აბიტურიენტები? იმთავითვე განწირული ცდისპირები არიან, თუ გასაფატრი პაპიები?

თბილისი დიდი ქალაქია, მაგრამ არც იმდენად დიდ მის ერთ კიდეში იმას ვერ ვგებულობდეთ, მეორე კიდეში რა ხდება. მიიხედმოიხედეთ, ბატონებო, პატივცემულო დეკანებო, პატივცემულო რექტორებო, ყური მიუგდეთ, რა ამბავი ტრიალებს ქალაქში, რა გულისხეთქვა, რა პანიკა, რა თავის კვლა! არადა, ეს კვირტებია მხოლოდ, ნაყოფს რომ მოისთვლით, მაშინ ვნახოთ კიდევ!

ახალი მოდელი სწორედ ის გზა არის, რომელიც ტაძრამდე მიგვიყვანსო, — გვარწმუნებს ამ მოდელის ერთ-ერთი თავგამოდებული მომხრე. ამ „ტაძრამდე მიმყვანი გზის“ თუ „ტაძრისკენ მიმავალი გზის“ მოსმენა თავისთავადაც დიდად საძნელო შეიქნა უკვე, ისე გაცვითეს ეს გამოთქმა ბოლო ხანს. ოღონდ წერითი გამოცდის ახალი მოდელი რომ მიგვიყვანთ, იმ ტაძრისკენ თქვენმა და ჩემმა მტერმა იარა, ბატონო კორნელი!

# კამათი მსახიობის სახლში

მკითხველი პრესის ფურცლებზე გაეცნო ბატონ ლევან ღვინჯილიასა და ბატონ გურამ პეტრიაშვილის პოლემიკას ქართული ენის შესახებ, მაგრამ კამათი ამით არ ამოწურულა. ბატონმა ლევან ღვინჯილიამ „ლიტერატურულ დუელში“ გამოიწვია თავისი ოპონენტი და 14 მარტს 4 საათზე აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში თავი მოიყარა ხალხმა. სცენის ერთ მხარეს ბატონი ლ. ღვინჯილია და მეორე მხარეს ბატონი გ. პეტრიაშვილი ისხდნენ თავიანთი სეკუნდანტებით, ხოლო ცენტრში — წამყვანი ბატონი გიგა ლორთქიფანიძე.

მწერალმა გ. პეტრიაშვილმა თავისი გამოსვლა ამ სიტყვებით დაიწყო: „ჩვენი მიზანია, აქედან გამარჯვებული გავიდეს არა რომელიმე ჩვენგანი, არამედ — ქართული ენა.“

მართალია, ეს ლიტერატურული „დუელი“ უფრო პოლიტიკურ დუელად გადაიქცა, მაგრამ შიგადაშიგ მაინც მოხერხდა ქართული ენის საკითხებზე კამათი. ისიც აღინიშნა, რომ საკუთარი ენის დაცვა არ ნიშნავს სხვა ერებისა და მათი ენების უგულებელყოფას.

მიუხედავად დაძაბულობისა, მოწინააღმდეგეებს შორის საერთო ენა გამოიძებნა.

**ნათია ჩუბინიძე**
112-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

## საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირს, გაზეთებს: „საქართველოს რესპუბლიკა“, „ლიტერატურული საქართველო“, „ცხოვრება“, „მამული“

უკანასკნელ დროს გახშირდა პუბლიკაციები, რომლებშიც რთული ფსიქიატრიული პრობლემები განხილება დილეტანტურად, არაკომპეტენტურად და, არაიშვიათად, ფაქტების უხეში დამახინჯებით. საპასუხო წერილები არ ქვეყნდება და რედაქციათა არქივებში რჩება. შევეჩვიეთ, რომ ჩვენი ჰუმანური პოზიციები უცნობია ფართო საზოგადოებისათვის.

მაგრამ როდესაც ფსიქიატრთა სახელით „მახვილსიტყვაობენ“, ამის მოთმენა არ შეიძლება. დაბეჯითებით ვთხოვთ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს და გაზეთების რედაქციებს, დაიცვან ეთიკისა და ზნეობის წესები, პრესის ფურცლებზე გამოიყენონ პოლიტიკური პაექრობის ცივილიზებული ფორმები, ნუ მიმართავენ ფსიქიატრიული ჟარგონებით ბილწსიტყვაობას, ნუ გაათანაბრებენ ავადმყოფობას დანაშაულთან და ნუ შეურაცხყოფენ სულით დაავადებულებს.

**საქართველოს რესპუბლიკის ფსიქიატრთა საზოგადოება**



ბოლნისის რაიონი. სოფელი ფოლადაური.
თამარის ხიდი. ზურაბ დათუაშვილის. ფოტო

# საკავშირო გამოკითხვის ზიგზაგები

შესაძლოა საჭიროც კი აღარაა იმ მძიმე პოლიტიკური ვითარების შეხსენება, რომელიც ბოლო დროს სუფევს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

როგორც ცნობილია, 28 თებერვალს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს X სესიის მორიგ სხდომაზე, დღის წესრიგის ამოწურვის შემდეგ, დახურულ დარბაზში ვლადისლავ არძინბას ინიციატივით მიიღეს დადგენილება აფხაზეთში საკავშირო რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. ამ დადგენილებამ ქართული დეპუტაციის და მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია.

რეფერენდუმის ჩატარება დაევალა აფხაზეთის ცენტრალურ რესპუბლიკურ საარჩევნო კომისიას, რომელიც მანამდე — 25 იანვარს — შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, სოხუმის № 669 საარჩევნო ოლქში, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნებისათვის (შარშან დეკემბერში გარდაცვლილი დეპუტატის ბორის ადლეიბას ნაცვლად).

აფხაზეთის მთავრობამ მწვანე გზა მისცა საკავშირო რეფერენდუმს. შესაბამისი პროპაგანდისტული კამპანია გაჩაღდა ადგილობრივი პრესითა და ტელევიზიით. ძალიან აქტიურობდა თებერვლის დამლევს შექმნილი პოლიტიკური ბლოკი „სოიუზი“, რომელშიც შევიდა 7 პოლიტიკური მოძრაობა და ორგანიზაცია, მათ შორის „აიდგილარა,“ სომხური ორგანიზაცია „კრუნკი“, სოხუმის ინტერნაციონალისტთა საზოგადოება და სხვ. 14-15 მარტს სოხუმში ვრცელდებოდა ფურცლები რეფერენდუმის მხარდასაჭერად.

15 მარტს გაზეთ „აფხაზეთის ხმაში“ დაიბეჭდა პოლიტიკურ ბლოკ „მრგვალ მაგიდაში“ შემავალი პარტიების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური განყოფილებების განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ტყვარჩელში, გუდაუთაში, ბიჭვინთასა და ზოგიერთ სხვა რეგიონში „განახლებული კავშირის“ მომხრეები მიმართავდნენ რა, აფხაზი ეროვნების ამომრჩეველთა დაშინების მეთოდებს, ემუქრებოდნენ ფიზიკური ანგარიშსწორებითა და გასახლებით. 15-16 მარტს სოხუმში ჩამოვიდნენ თბილისელი, მოსკოველი და უცხოელი ჟურნალისტები. მათი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ აფხაზეთის ცენტრალურმა რესპუბლიკურმა საარჩევნო კომისიამ (თავმჯდომარე ენვერ კაპბა) არჩევნებისათვის და რეფერენდუმისათვის რეგისტრაციაში არ გაატარა გალის რაიონი, სადაც 51000 ამომრჩეველია. 14-15 მარტს გალის რაიონის წარმომადგენლებმა მიმართეს ენვერ კაპბას, ვლადისლავ არძინბასა და სხვა ოფიციალურ პირებს, გაეტარებინათ ისინი რეგისტრაციაში, მაგრამ აფხაზეთის ცენტრალურმა რესპუბლიკურმა საარჩევნო კომისიამ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ გალელებმა ერთი კვირის დაგვიანებით მოიტანეს შესაბამისი საბუთებიო. გალის რაიონის წარმომადგენლებმა უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ დეპეშები გაუგზავნეს მოსკოვში საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, პროკურორს „ვრემიას“ და აგრეთვე ანატოლი ლუკიანოვს. მიუხედავად ამისა, გალის რაიონი რეგისტრაციაში მაინც არ გაატარეს. საჭიროა აღინიშნოს, რომ რეგისტრაციაში გატარება არ ნიშნავდა არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას და საარჩევნო უბნებში მისვლას. მთავარი იყო, რომ 51000 ამომრჩეველი არ გამოეთიშათ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან.

გარდა ამისა, 16 მარტს შევიტყვეთ, რომ დარღვევები მოხდა გაგრაში და ზოგიერთ სხვა რაიონში. ამგვარი ფაქტები გამოცხადდა 16 მარტს სოხუმის ცენტრალურ სტადიონზე გამართულ მიტინგზე.

16 მარტს, საღამოს ტელევიზიით გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს გადაწყვეტილება აფხაზეთის რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის გაუქმების შესახებ. მიუხედავად ამისა, 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმი და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნები აფხაზეთში მაინც ჩატარდა.

17 მარტს, დილით ადრე, აფხაზეთის უზენაეს საბჭოს თავმჯდომარემ ვ. არძინბამ გასცა განკარგულება (№ 10). რომელიც დაუგზავნეს საარჩევნო უბნების თავმჯდომარეებს. განკარგულებაში ნათქვამი იყო, რომ საკავშირო რეფერენდუმი და სახალხო დეპუტატის არჩევნები ტარდება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ინიციატივით და რეფერენდუმის და არჩევნების გაუქმება შეუძლია მხოლოდ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს. კომისიის თავმჯდომარემ ენვერ კაპბამ 18 მარტს ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ თბილისიდან მას არ მიუღია არავითარი ოფიციალური საბუთი მისი კომისიის გაუქმების შესახებ, სატელევიზიო გადაცემა კი ოფიციალური საბუთი არ არისო.

17 მარტს, დილიდან ჟურნალისტები, მეთვალყურეები, რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წევრები გავიდნენ საარჩევნო უბნებში. ჩვენ პირადად დავათვალიერეთ რამდენიმე საარჩევნო უბანი ქალაქ სოხუმში. ორ საარჩევნო უბანში გამოკრული იყო 1990 წლის 25 მარტის(!) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების სიები. № 54 საარჩევნო უბნის წევრებს და თავმჯდომარეს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმაზე, რომ სხვა რაიონებიდან და უბნებიდან მოსულ ამომრჩევლებს უნდა ჰქონოდათ აღრიცხვიდან მოხსნის ბარათი.

მასობრივი ინფორმაციის რესპუბლიკურმა და საკავშირო ორგანოებმა უკვე აცნობეს ფართო საზოგადოებას იმ უხეშ დარღვევებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებში, სწორედ ამიტომაც ქართული საზოგადოება და ადგილობრივი პოლიტიკური ორგანიზაციები მოითხოვენ არჩევნების შედეგების გაუქმებას.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით აფხაზეთის ტერიტორიაზე 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 52,4%, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნებში კი — ამომრჩეველთა 48,9%. ამრიგად, დეპუტატის არჩევნებში კვორუმი არ შედგა და კანონის მიხედვით ხელახლა უნდა ჩატარდეს.

დაბოლოს, ალბათ, მკითხველებს აინტერესებთ, ჩატარდება თუ არა აფხაზეთში 31 მარტის რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. ამ შეკითხვაზე ენვერ კაპბამ თქვა: აუცილებლად ჩატარდება, ყველა პირობას შევუქმნით მოსახლეობას 31 მარტის რეფერენდუმში მონაწილეობისთვისო.

**თენგიზ პაჭკორია**
სოხუმი, 20 მარტი

# ხმალი, ხმალი არ ჩააგო!

## თამაზ წივწივაძე

წერილის სათაურად გატანილი ეს პოეტური სტრიქონი ტარიელ ჭანტურიას კალამს ეკუთვნის! მთელი მისი ცხოვრებაც — არ ვაჭარბებ! — ამ „პოეტური მანიფესტის" ნიშნით მიედინება! საქართველოსათვის ერთხელ მიცემულ პირობას — **მე ვინ ვარ, მაგრამ მინდა იცოდე, თავი შენთვის მაქვს გადადებული!"** — წმინდა მოწამის ერთგულებით მსახურებს!

როგორც პოეტსა და მოქალაქეს, წინ ერთადერთი ხატი — თავისუფალი საქართველოს ხატი უსვენია!

მე ვწუხვარ შენზე,
ვწუხვარ და ვფიქრობ
თურისგებაზე და გადახდაზე...

მამულისათვის შურისმაძიებელი კაცის მოხვეწნება ვინა თქვა! ამიტომაა მისი ლექსის სტრიქონები — ყაჩაღებივით მტერზე რომ მიიწევენ!

შენც ხომ გევალება, ჩანგო,
ეტრატებში თავი ჩარგო.
შენც იქნი სხვებთან ერთად
ხმალი!
ხმალი არ ჩააგო!

ამ მშვენიერი ლექსის თითოეული სტრიქონი ისე აღგზნებულად „გამოიყურება", თითქოს ყოველ მათგანს ტანზე საქართველოს სიყვარული ჰქონდეს არტყმული!

დღისით — თმოგვის მეციხოვნე,
ღამით — ფანასკერტელი ვარ!
ხვალ რომ ქვა ვარ საგორავი
ზეგ — არმაზის კედელი ვარ,
ვისაც სისხლმაც, წვეთწვეთ [illegible],
ის მწვერვალი აათავა:
ლომი ცოტნე,
ლომი დავით
და ბოკვერი — პაატა ვარ!

ეს ყველაფერი [illegible]რგია, მაგრამ სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი პოეტი საბედისწერო შემთხვევისთვისაც უნდა იყოს მზად!

მე — ვიყავი!
მე — ვიქნები!
მე — მარად[illegible] ვმეორდები!
მძევალი ვარ და დღე-დღეზე
თავის მოჭრას ველოდები!

თუ კაცად და პოეტად ვარგიხარ, სიკვდილის მერეც — „გამოადგე მამულს უნდა!"

და ის მოკვეთილი თავიც
უნდა ეტრატებში ჩარგო!
ჩანგო, [illegible], ჩანგო:
ხმალი, ხმალი არ ჩააგო!..

●

...და რაოდენ საწყენია! — ამ სტრიქონების ავტორი, პოეტი ტარიელ ჭანტურია ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში, პუბლიკაციის ავტორის დაუკვირვებლობის გამო, პაციფისტად იქნა გამოცხადებული! თანაც ამ სიტყვის მხოლოდ და მხოლოდ ცუდი გაგებით!..

●

დღევანდელ პერიოდულ პრესას? ნაირფერ საგაზეთო რუბრიკებს გადააწყდებით!

ამ საგაზეთო სტატიას, რომლის სათაურია „**საჭიროა თუ არა პაციფიზმი?**" (რომელიც „ახალგაზრდა ივერიის" ამა წლის 5 მარტის ნომერში დაიბეჭდა), რუბრიკა არ [illegible], მაგრამ თუ საჭირო გახდებოდა, პუბლიკაციის შინაარსიდან გამომდინარე, არც მისი სათაურება იქნებოდა ძნელი! — „პოეტს თავს ესხმიან!.."

თავს, როგორც ყოველთვის, ახლაც, ტარიელ ჭანტურიას ესხმიან! თავდამსხმელი კი ბატონი თენგიზ კუბლაშვილი გახლავთ!

კითხვაც სრული პირდაპირობით არის დასმული — „საჭიროა თუ არა პაციფიზმი?"

ცხადია, აქ პასუხიც ერთმნიშვნელოვანი გახლავთ — პაციფიზმი საჭირო არ არის! მაგრამ რა ვუყოთ მაშინ ჩვენს პირწავარდნილ პაციფისტს — თანაც, ცუდი გაგებით! — ტარიელ ჭანტურიას?!

როგორც „პოეტი-პაციფისტი", ის დღევანდელ საქართველოს შეიძლება მართლაც არაფერში სჭირდებოდეს, მაგრამ მე, მისმა ამდენი ხნის მეგობარმა, როგორ მოვიკვეთო იგი?!

სხვა გზა არ ჩანს!—

უნდა ვახსენო ღმერთი და იქნებ დავამტკიცო, რომ ბატონ თ. კუბლაშვილს იგი შემთხვევით აერია პაციფისტებში, თორემ, ტარიელ ჭანტურია, თავისი ნატურით, **მილიტარისტი** უფრო და ხელიც მუდამ იარაღისკენ გაურბის!..

●

„..ვხარობდი, როგორც მეკობრე
დოვლით..."

ეს ჩვენი პაციფისტი პოეტის, ტარიელ ჭანტურიას სტრიქონია!

მართალია, აქ არავითარ იარაღზე არაა მინიშნება, მაგრამ რაკი მეკობრე თავისთავად ზღვის ყაჩაღს ნიშნავს, რაღაც **იარაღი** მაინც იქნებოდა წელში გაჩრილი!

აბა, ეს მომცრო ტანის კაცი — ტ. ჭანტურია მყავს მხედველობაში, — რომელი ოტელო მყავდა, ყველა გაძალიანებული მგზავრი დეზდემონასავით ხელდახელ მოეხრჩო?!

გაიჭრიალა მომავლის კარმა,
ჩაესო ურჩხულს ხმალი
ვადამდე...

ახე! — ჩემო ძვირფასო ტარიელ, შენც უნდა იმარჯვო და ამ „შეიარაღებული" სალექსო სტრიქონებით მომეხმარო, თორემ მარტო მე შენი დაცვა გამიჭირდება!

საწყალიც მარჯვედაა! —

თუ აქამდე ხელში ხან ხმალი, ხან მშვილდი ეკავა, მერე და მერე „ფიშტოთიც" გამოგვეჭგიმა!

და უცდის უფლის თითის შეხებას
აქაჩგებული ბოლო სასხლეტი...

დაკვირვებული მკითხველი კი მიხვდებოდა, რომ აქ მთლად [illegible]ად გაწყობილ იარაღთან არ უნდა გვქონდეს საქმე! მაგრამ, თუ ძალიან გაჭირდა, გამწარებულმა კაცმა თავი რომ მოიკლას, იმისათვის კი გამოდგება!

არადა, თურმე თავის მოსაკლავიც არაფერი ჭირს! — ეს დალოცვილი, პაციფისტი კი არა, ერთდროულად — ფრანსუა ვიიონივით! — პოეტიც ყოფილა და... ყაჩაღიც!

ისეთ ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო პირობებშიც კი, როგორიც სამზარეულოში სადილობაა, ტანზე იარაღასხმული მჯდარა!

ვხსნი ხანჯლის წვერით
კონსერვის ქილას
და სულ ამაოდ ველი ფათერაკს.

თენგიზ ბატონო, თუ ჩვენ ორივეს ისე გვესმის „პაციფისტის" ცნება, როგორც ამაზე დიდი ხნის წინ შეთანხმდა ცივილიზებული კაცობრიობა — ეს ჩემი მუდმივად „იარაღში ჩამჯდარი" მეგობარი ამ ცნებას მთლად კარგად ვერც კი აკმაყოფილებს...

●

ამიტომ, ნუ გეწყინებათ და, თქვენ ტყუილუბრალოდ ხართ შეწუხებული!

„პაციფისტი... ბალახში თავწარგული ცხვარივით უწყინარია, მისი ასიმილაცია და შეჭმაც იოლია".

გააჩნია, საიდან დავუწყებთ შეჭმას, თენგიზ ბატონო!

ისე, რომ იცოდეთ, ამ ჩემს მეგობარ პოეტს სხეულის ზოგი ნაწილი (მაგალითად. ხერხემალი!) ისეთი მაგარი ჰქონია, მისი შეჭმა ნამდვილად გაჭირდება!

ჩემს დრომასავით ამაყ
ხერხემალს
მონური მოხრა არ ეხერხება...

არ გავს ეს სტრიქონები პაციფისტის ნათქვამს, თენგიზ ბატონო, და მოვეშვათ!

ვატყობ, ისედაც არაა კაცი კაი გუნებაზე და... არაფერი მოგვწონს!

რად მელვიძება ყოველ ხმაურზე
თითქოს დამჭრეს და ველარ
მოვრჩები,
ძილში რად ვხედავ ყვითელ
მაუზერს,
დედაკაცურად ზურგზე
მობჯენილს...

ჩვენი „პაციფისტი-პოეტი" ისე ხშირად ახსენებს მაუზერს, რომ, ეტყობა, თუ ტყვიას ტყვიაში არ აჯენს, ამ იარაღთან მწყრალად მაინც არ უნდა იყოს!

არ უნდა სხვებს გამოუტყდეს, თორემ ამ სტრიქონში — „გამოიგონა პოეტმა ბომბი" — ნამდვილად თავის თავს გულისხმობს!

არადა, ახლად შექმნილ იარაღს დამანგრეველი ძალა ჰქონია!

გამოიგონა პოეტმა ბომბი:
სპობს იგი ქვეყნად ყოველივეს...

კიდევ კარგი, ამ გამოგონებული ბომბის ავტორი „პაციფისტია", თორემ ფეხზე ალარავის დაგვაყენებდა!..

ეგ კი არა, მე მისი ის სტრიქონებიც მახსოვს, ყოვლად „დელიკატური" საქმითაც გადაჭრას ძალისმიერი პოზიციიდან რომ ცდილობს!

აჰა, დამბაჩა და სველი
თოვლი! —
მე შენს მეუღლეს დუელში
ვიწვევ...

თანაც, ნახეთ! ისეა დარწმუნებული თავის უპირატესობაში, რომ ამ კონტექსტში „სველი თოვლი" ირონიულადაც კი ჟღერს! — ვისვრით და ვნახავთ, — ლამაზ ქალბატონს ეუბნება! — მე თუ... შენი ქმარი **მოკვდება** სველ თოვლში!..

●

მე ბოდიშს მოვიხდი ბატონ თ. კუბლაშვილთან, მეტადრე კი ბატონ ტარიელ ჭანტურიასთან, — თავს ნება რომ მივეცი, მის მშვენიერ სტრიქონებს ზედმეტი სილაღით მოვქცეოდი!

არადა, სხვანაირად მე ვერ დავამტკიცებდი, რომ იგი არც ისე „მშვიდობისმოყვარე" პოეტია, პაციფისტად რომ გამოვაცხადოთ! თანაც ამ სიტყვის ცუდი გაგებით!

●

მართლაც უცნაური ამბები ხდება დღეს საქართველოში!

მართალია, ეს წერილი ყველა იმ უცნაურობათა ჩამოსათვლელად არ იწერება, მაგრამ ერთ მათგანზე მაინც მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

საქმე ის გახლავთ, რომ ბატონი თ. კუბლაშვილი საყოველთაო შეიარაღებისაკენ მოუწოდებს ხალხს!

ახლა ვნახოთ, კარგია ეს თუ ცუდი! ანუ: რას წარმოადგენენ **ეს პაციფისტები და ინტერნაციონალისტები!**

ამ გზით, ბოლოს და ბოლოს, იმასაც გავიგებთ, ვინ ყოფილა ეს „ჩვენებური პაციფისტი", ანუ ტარიელ ჭანტურია!

არა, მე კი ვიცი, ვინც არის, მაგრამ ბატონმა თ. კუბლაშვილმაც ხომ უნდა გაარკვიოს?

გაჰერი, ხმალო და მკლავო,
გულო; ნუ შამიშინდები.
სისხლისა ნაგუბარზედა
ფეხო, ნუ გამიცურდები.

„ასეთი ზეპირსიტყვიერების მქონე ერი, არა მგონია, პაციფისტი ან იდეოლოგიით გამოთაყვანებული კომუნისტური ინტერნაციონალისტი იყოს". — ასკვნის ბატონი თ. კუბლაშვილი!

მაშ, ვინ არის პაციფისტი და იდეოლოგიით გამოთაყვანებული კომუნისტური ინტერნაციონალისტი?

მოკლედ, ყველაფერი გასაგებია! —

არ შეიძლება, წინაპრების კარჯა — ქართული დივიზიის შექმნა! — რომ მოვუწოდოთ!!

თანაც ნახეთ, მის „არმიას" რა კეთილშობილური მიზანი დაუსახავს!

საქართველოსთვის იბრძვის
ეს ჩემი დივიზია!
საქართველოსთვის მოკვდეს —
ეს მისი დევიზია!..

თუ სამშობლოსთვის სიკვდილი არ „გვეზარება", ეს თქვენი და ჩემი დევიზიც უნდა იყოს, ბატონო თენგიზ! და თუ ასეა, მაშინ არაფერი გვიშლის ხელს, ამ რაზმში რომ ჩავეწეროთ!

თუმცა, თქვენ... ტარიელ ჭანტურია არ მიგიღებთ! — სათქმელიც ექნება, უფრო „წესიერ" ბიჭებს ვლებულობო!

ამ კუთხით თქვენი დაცვა. — თქვენი წერილის წაკითხვის შემდეგ, — რასაკვირველია, მეც გამიჭირდება!..

●

განვაგრძოთ საუბარი!

ამ დივიზიას და, საერთოდ, ამ ქართველის და ამ თემასთან დაკავშირებით სახალხოდ დასცინის ტარიელ ჭანტურიას იმ ერთი პატარა წერილის გამო, რომელშიც პოეტს თავისი შვილიშვილების ოთახი **უატომო ზონად** გამოუცხადებია!

„მე ჩემს სათქმელს ვიტყვი, — წერს ბატონი თ. კუბლაშვილი, — მაგრამ არა მგონია ბატონ ტარიელს აზრი შევაცვლევინო, ისეა მონუსხული, როგორც თვითონ ამბობს ,ოცდაათი წლის წინ მოსმენილი ნიკოლას გილიენის ლექსით.‥ ლექსმა, უფრო სწორად, მისმა შინაარსმა — მაშინ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო, ბრძანებს ბატონი ტარიელი".

ეს ერთადერთი სიმართლეა მთელს ამ უსამართლო პუბლიკაციაში! — ბატონ თ. კუბლაშვილს კარგად შეუნიშნავს — ტარიელ ჭანტურია მართლაც არაა ის კაცი, ორ შაურად რომ იცვლიდეს აზრებს!..

მაგრამ განვაგრძოთ ციტირება: „რუსულ ენაზე წაკითხულმა ამ ლექსმა მასზე არა მხოლოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, არამედ გადამწყვეტი როლი შეასრულა მისი მსოფლმხედველობის მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებაში — იგი პაციფისტი გახდა და შვილიშვილების საძინებელი ოთახი უატომო ზონად გამოუცხადებია".

აბა, როგორ აჯობებდა, თენგიზ ბატონო? „შვილიშვილების საძინებელი ოთახი" ატომურ პოლიგონად ექცია?!

ანდა, მეტისმეტად „მოკრძალებულ" საყოფაცხოვრებო პირობებში მცხოვრებ პოეტს — ორი ოთახიდან ერთში! — ახალი **სემიპალატინსკი** გაეხსნა?!

რაკი ტარიელ ჭანტურიამ ეს არ გააკეთა, ამისათვის სახელდახელოდ უნდა დავცინოთ?

არადა, თქვენ ასე იქცევით! — „გააკეთეთ იგივე თქვენაც!" — მოგვიწოდებს ჩვენებური პაციფისტი პოეტი"-ო.

ამ კონტექსტში, თენგიზ ბატონო, „ჩვენებური" მხოლოდ **დასაცინად** გაქვთ მოხმობილი! — მართალია, დაცინვა — როცა საჭიროა! — სხვაზე ნაკლებ არც ტარიელ ჭანტურიას ემარჯვება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, თქვენ მოგებული ხართ! — ის ამას არ გაკადრებთ!

ყოველ შემთხვევაში — კიდევ თუ არ გაბრაზდა!..

მით უმეტეს, ამას ვერ ვიზამ მე, რადგან ადამიანის ერთ-ერთი მომხიბვლელი თვისება — ზრდილობა! — არც ერთ პაციფისტ პოეტზე ნაკლებ არა მაქვს განვითარებული!..

სიტყვა რომ არ გავაგრძელო, ტარიელ ჭანტურიამ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების განიარაღება მოითხოვა და, როგორც თქვენ ბრძანებთ, გარდა პაციფისტისა, ინტერნაციონალისტიც გახდა!

ვაი, შენ, ჩემო ტარიელ, ამას რას მოესწარი! — თუ „კომუნისტური ინტერნაციონალისტი" უნდა გამხდარიყავი, როცა გეხვეწებოდნენ, — **კომპარტიის** რიგებში მაინც შესულიყავი!..

●

ერთი სიტყვით, გაიგო თუ არა, ტარიელ ჭანტურია თვითონაც **განიარაღებულია** და ბავშვებიც **განუიარაღებიაო**, მოდგა ბატონი თ. კუბლაშვილი, მაგრამ რას მოდგა! — საწყალ პოეტს, რასაც უნდა, იმას უშვრება!

ცოტა ხნით გამაგრდი, ტარიელ! „ნუ შამიშინდები" და აგერ ვარ მეც!

თუმცა, მე რა უნდა გიშველო. ძმაო! კი მითქვამს — „მახსენე კაცად, როცა დაგჭირდე!" — მაგრამ შენ ისეთი რამ გბრალდება, გალაკტიონისა არ იყოს, ისიც კარგია, „როგორმე ზამთარს თუ გადაურჩი!".

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბატონ ტარიელს მიუტევებელი ცოდვა ბრალდება! — თურმე ის, — ამ რამდენიმე წლის წინათ დაწერილი წერილით! — ხელს უშლის ეროვნული გვარდიის შექმნას!

ვაი, რომ მე ამ ბრალდებას წინ ველარ აღვუდგები! — ბატონმა თენგიზმა, ყოველ შემთხვევისათვის, მეც წინასწარ განმაიარაღა!

„თუ მკითხველს ეჭვი შეეპარება ამ ნათქვამის სისწორეში, მას შეუძლია გადაშალოს ტარიელ ჭანტურიას ზემოთ აღნიშნული წიგნი 529-ე გვერდზე, სადაც ავტორი აცხადებს: უიარაღო საქართველო ბევრად უფრო ძლიერია, ვინემ უმდიდრესი არსენალის პატრონი ზოგიერთი აგრესორი!".

რაღა ვქნა ახლა — ამას ჩემს თავს ვეუბნები! — ძალა რომ დავატანო და კიდევაც **ვალიარებინო** ბატონ ტარიელს — „ჩემო ენავ, ძირში ხარ მოსაჭრელიო" — მის გაფუჭებულ საქმეს მაინც არაფერი ეშველება!

თენგიზ ბატონო, რაკი მკითხველს იმოწმებთ, ბარემ მე მკითხეთ. მე შეიძლება კრიტიკოსად არ ვვარგივარ, თორემ მკითხველად რა მიჭირს!

ამის გარდაც, ჩემი მეგობარი პოეტის ამბავი მე უფრო არ უნდა ვიცოდე?!

ამიტომ მე გეტყვით! — ტარიელ ჭანტურიას „ქართული დივიზია" ამ თხუთმეტი წლის წინათ ჰყავდა **ჩამოყალიბებული!**

არ შეგეშინდეთ! „უკანონო შეიარაღებულ ფორმირებასთან" კი არ გვქონდა საქმე, — ლექსში ჩამოაყალიბა!

არ მითხრათ ახლა — ლექსებში ყველას შეუძლია არმიის ჩამოყალიბებაო! ბატონო თენგიზ, მან ხომ შვილიშვილების საძინებელი ოთახიც ასევე **სიტყვიერად** გამოაცხადა **უატომო ზონად**?

და თუ ეს უკანასკნელი საქციელი ედება მას **ბრალად**, რატომ ჯარს, — პოეტმა დიდ ბრძოლებში გამობრძმედილი დიდი დავითი უსარდლა!

არც ეთიკის ნორმა დაურღვევია! — დიდ წინაპარს (მეფე დავითს!) დიდი წინაპარი (სულხანსაბა!) „მიუგზავნა"!

როცა თავისი შეჭირვებული სამშობლოს მდგომარეობაზე მოუთხრობდა, ეს ღვთისნიერი მოხუცებული ცრემლად იღვრებოდა!

თავისდროინდელი საქართველოს სურათი — ტ. ჭანტურია, რასაკვირველია, დღევანდელ საქართველოს გულისხმობდა, — მართლაც გულისმომკვლელად დაუხატა!

თორი — ხმლის ცემისგან
დაფლეთილი,
ხმალი — თორზე ცემით
გალეული,
ერი — ლატაკი და უქონელი,
ჯარი — დაშლილი და
დაშრეტილი,
დროშა — სამწუხაროდ
ფერშეცვლილი,
პირმშო — ცხრა მთას იქით
გაყიდული,
გული — იმედისთვის
დახურული...
რა დროს ძილია! განჯლრევ,
გაღვიძებ,
რა დროს ძილია, ადე,
გაგვიძეხ!..

ძვირფასო მკითხველო! ხომ არაფრით შეიძლება, ამ სტრიქონების ავტორი „ჩვენებურ პაციფისტად" გამოვაცხადოთ!

მაშინ გამოვა, რომ „ჩვენებური პაციფისტი" — **იარაღის ქლარუნში!** — თვით უცხოელ მილიტარისტსაც კი აღემატება!

თენგიზ ბატონო, რაკი თქვენ ტარიელ ჭანტურიას პოეზიას არ იცნობთ, შეიძლება მე ვერ დაგაჯეროთ, რომ მასში „ძაფი ნერვის არ არის არაპოეტის", მაგრამ „წვეთი სისხლიც" რომ არ არის მასში პაციფისტის — თანაც ცუდი გაგებით! — ამაში კი უნდა მერწმუნოთ!

●

აი, მე უკვე რამდენჯერმე ვახსენე „**პაციფისტი — ცუდი გაგებით**". ახლა უნდა ავხსნა, რას ვგულისხმობ აქ და რა მაქვს მხედველობაში!

მოგეხსენებათ, პაციფიზმი ლათინური სიტყვაა და ქართულად **დამწყნარებელს, დამშოშმინებელს** ნიშნავს.

ამის გარდა, მეორე გაგებაც აქვს, რომელიც ღირსეული კაცისთვის შეურაცხმყოფელია!

ამ ტერმინში ისიც იგულისხმება, რომ ეს „დამშოშმინებელი" კაცი, ხშირად ყოველგვარი ომის წინააღმდეგია, მათ შორის — **ეროვნულ-განმათავისუფლებელის!**

აი, სად არის ბატონ თ. კუბლაშვილის წერილში დამარხული ძაღლის თავი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით უფრო, ეს უხაყვედურო პოეტს, რომელსაც ერთი დღეც არ უცხოვრია საქართველოზე ფიქრის გარეშე, თუ დანაშაული არა, უზნეობა მაინცაა!

მე უნდა ვუთხრა ბატონ თ. კუბლაშვილს, რომ ზემოთ მოტანილი სტრიქონები მეოთხედი საუკუნის წინაა დაწერილი და დაბეჭდილი!

დღეს, რახაკვირველია, იოლია ამეების წერა და, მით უმეტეს, ბეჭდვა!

დღეს ახევე იოლია წარსულის დავიწყება და ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა!

დღეს ახევე გაიოლდა პარტიის ბილეთის დახევაც! — პატრიოტის მომხიბლავი ნიღბის შოვნაც!..

მაშინ ძნელი იყო ეს ყველაფერი! მაშინ, როცა გაზეთებში სიტყვა „საქართველოს" ხმარებაც იკრძალებოდა! ამ სიტყვის ნაცვლად „რესპუბლიკა" უნდა დაგეწერა!

აი, სწორედ მაშინ იწერებოდა ტარიელ ჭანტურიას ეს დიდებული სტრიქონები!

ყველანი აქ ვართ!
აქ არის ყველა!
შეხედე: ცოტნეც
მოვარდა ჩორთით!
— საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
ბიჭებო, სწორდით!..

აი, ამიტომ გითხარით ასე მკვახედ, ბატონო თენგიზ — რაც ამ პოეტის მიმართ დაწერეთ, — უზნეობაა-მეთქი!

აბა, სხვა რა უნდა მეფიქრა კაცზე, ამ დიდებულ სტრიქონებს რომ არაფრად ჩააგდებს!

დიდება მამულს:
ხერთვისს და რუსთავს;
რუსთავს და არმაზს,
არმაზს და ჭყონდიდს...
საქართველოსთვის
ჩვენ ბევრჯერ მოვკვდით,
და როცა მოვკვდით —
ყოველთვის ვცხონდით!..

ვინც საქართველოსთვის სიკვდილს არ აპირებს, ხულის საცხონებლად რაღაც სხვა გზა მაინც უნდა გამონახოს, თენგიზ ბატონო...

●

ერთი რამ გაირკვა!

ტარიელ ჭანტურია მოითხოვს ჩვენი პატარების განიარაღებას, თ. კუბლაშვილი კი — მილიტარიზაციას!

ამასთან, ბატონმა თენგიზმა დაუმალა თავის მკითხველს (თუ ამ „კატეგორიის" ხალხი საერთოდ ჰყავს მას!), რომ ტარიელ ჭანტურია მხოლოდ ბავშვთა განიარაღებას მოითხოვს! — „ბავშვთა საყოველთაო, უშენიშვნო პაციფიზმი აუცილებელია!"

ბატონმა თ. კუბლაშვილმა კი აქედან ასეთი დასკვნა გამოიტანა — ტარიელ ჭანტურია თითქოს ეროვნული გვარდიის შექმნის წინააღმდეგი იყოს!

არადა, ეს თემა, განიარაღებისა და საქართველოს უატომო ზონად გამოცხადების თემა, ახალი არაა პოეტის შემოქმედებაში! — ამას ის ადრეც ქადაგებდა თავის ერთ ლექსში — „მინდა, ჩემო საქართველო უატომო გახდე ზონა!"

და, იცით, რისთვის ქადაგებდა ამას, თენგიზ ბატონო?

იმისათვის, რომ ყველა რუსული რაკეტა და ბომბი გაეტანათ საქართველოდან!

უკეთ განვმარტავთ:

ე. ი. ეს ლექსი, თავის დროზე, საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ დაიწერა!

თქვენ რომ მის პოეზიას იცნობდეთ, ასეთი ლექსი ტარიელ ჭანტურიას ბევრი აქვს!

მაგალითად: „ნეტა, რა ღირს იარაღი?"

ხედავთ, ბატონო თენგიზ! — მე ხომ გითხარით, არ ივარგებს ეგ კაცი პაციფისტად, სულ იარაღისკენ გაურბის თვალი!

აბა, თუ იარაღის ყიდვა არ უნდა, ფასი რაში აინტერესებს?!

თქვენ, ეტყობა, ამ თემაზე დაწერილ ტარიელ ჭანტურიას მხოლოდ ერთ ლექსს იცნობთ — „ზეთისხილის კურკით გატენილი თოფი"! — ალბათ, ამიტომაა, მისი სულ რომ არ გეშინიათ!

ამაში მართალიც ხართ! — კაცს რომ თოფი (გადაპრილიც რომ იყოს!) „ზეთისხილის კურკით" ექნება გატენილი", იმისი რატომ უნდა შეგეშინდეს!..

●

მკითხველთან არ შევთანხმებულვარ, მაგრამ ისედაც მიხვდებოდა, რომ მე სახუმარო ამბავს ყოველთვის სერიოზული საკითხების თხრობით ვამთავრებ!

ახლაც ასე მოვიქცევი.

ბატონი თ. კუბლაშვილი ტარიელ ჭანტურიას შემოქმედებას ახლოს რომ იცნობდეს, ადვილად მიხვდებოდა, რომ პოეტი ამ ტიპის ლექსებში თავისი ოცნების ქვეყანას ქმნის! — სადაც იდილიური ჰარმონიაა მიღწეული, სადაც ომი და სისხლისღვრა სიყვარულით და სათნოებით არის შეცვლილი!

მზე დაკაშკაშებს ჩემს
უტოპიას! —
იქ არც ხმალია,
იქ არც თოფია!
იქ ყველა ყველას მეგობარია,
იქ ყველა კაცი მისანდობია!..

ბატონმა თ. კუბლაშვილმა ძალზე მხოლოდ ერთი რამ იცის, იცის ის, რომ ტარიელ ჭანტურია უკვე განიარაღდა და, ამდენად, მისი მორევა ადვილია!

და ბატონი თენგიზიც შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, ამ „უიარაღო" კაცს დახცინოს, გაექილიკოს, ჭკუა ასწავლოს!..

ახლა მე ვეკითხები ბატონ თენგიზს, იქნებ მას მართლა ჰგონია, რომ ტარიელ ჭანტურიამ თავისი შვილიშვილების საძინებელი ოთახის უატომო ზონად გამოცხადებით ხელი შეუშალა რომელიმე, ასე ვთქვათ, ეროსათვის მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებას?

თუნდაც იმავე ეროვნული გვარდიის შექმნას?!

თუ ასეთი რამ ბატონ თ. კუბლაშვილს მაინც მოეჩვენა, ეს ხშირად მოხდებოდა, რომ იგი ამ „ჩვენებური პაციფისტის" არც პოეზიას იცნობს, არც პუბლიცისტიკას!

თორემ როცა აფხაზეთში კრემლის მიერ ინსპირირებული ტრაგედია დატრიალდა, ტარიელ ჭანტურია გაზეთ „მამულში" წერდა:

„ახლა? ახლა რაღას ელოდება მთავრობა, ახლა მაინც რატომ არ იკითხავს, ვინ შეაიარაღა ავტომატებით ნაძირალების ბანდები. ახლა მაინც რატომ არ მიუჩენენ ორგანიზებულ მკვლელებს ადგილს?

ქართველ ხალხს, ათასწლეულების ჯოჯოხეთგამოვლილს „ომის მოთმინება აქვს! იგი ახლაც დაელოდება მკაცრ განაჩენს, რომელიც ხელისუფლებამ თავზეხელაღებულ მკვლელებს უნდა გამოუტანოს, და თუ მართალი სამართალი არც ახლა აღსრულდება, საქართველო დარწმუნდება, რომ იგი მარტოდაა დარჩენილი, და მაშინ იგი თავად გადაწყვეტს თავის ბედს — ან ერთიანად გაწყდება ყველა ქართველი, ან დაიცავს თავის ქართველობას, თავისუფლებას, შვილებს, მომავალს! — „გაყიდის სამოსელს და იყიდის მახვილს!"

ახლა ეს სტრიქონები, ძვირფასო მკითხველო, უცხოელმა პაციფისტმა რომ შემთხვევით წაიკითხოს, ტარიელ ჭანტურიას „პაციფისტობაზე" ხომ სიცილით მოკვდება!

არ იტყვის, საქართველოში რა იოლად „ნარიგებან" პაციფისტის „საპატიო" სახელსო?!

არადა, ტარიელ ჭანტურიას სტატიების ახალ კრებულს, რომელსაც წელს გამოსცემს „მერანი", სწორედ ასე ჰქვია — „გაყიდე სამოსელი და იყიდე მახვილი!"

ბატონ თ. კუბლაშვილს ეს ყველაფერი რომ სცოდნოდა, აღარ იფიქრებდა — ტარიელ ჭანტურია მტრის პირისპირ დარჩენილი საქართველოს განიარაღებას მოითხოვსო!..

●

არადა, სულ პირიქითაა!

ტარიელ ჭანტურია იმის მომხრეც კია — თუ საქართველოს ინტერესები ამას მოითხოვს! — იარაღი ძალის გამოყენებითაც ჩავიგდოთ ხელში!

„...ქართველობამ დაარღვია კონსტიტუცია, თავს დაესხა მილიციას, გაიტაცა იარაღი და ამ ფაქტმა... მასობრივი ხოცვა-ჟლეტისაგან იხსნა ქართველებიცა და აფხაზებიც — ლალიძგის გალმაგამოლმა რომ სროლა გაჩაღდა, იმ სროლამ აუწერელ სისხლისღვრას გადაგვარჩინა — გამოღმა ქართველები და გაღმა აფხაზები დარწმუნდნენ, რომ უნდა შეჩერებულიყვნენ. ასე რომ, იმ ბიჭებს, იარაღი რომ გაიტაცეს, საყვედური კი არ უნდა ვუთხრათ, ჯილდო უნდა მივცეთ უზარმაზარი კონფლიქტის ჩაქრობისათვის! იმისათვის, რომ კონსტიტუცია დაარღვიეს! საბჭოთა კავშირში დღესდღეობით ის მდგომარეობა არაა, კონსტიტუციის იმედად იდგე და დედა არ გიტირონ!"

ადრე ვთქვი, არ გავს ეს კაცი პაციფისტს-მეთქი და, მოვეშვათ!

ის ფაქტი, თენგიზ ბატონო, მან რომ თავისი შვილიშვილების ოთახში იარაღის შეტანა აკრძალა, შეიძლება სულაც იმ სიფრთხილით იყოს გამოწვეული, — ბავშვებმა ერთმანეთი არ დაასახიჩრონო!

ასეთი შემთხვევაც ხომ ყოფილა!

მოზრდილმა კაცმა კი ეს ფაქტი, ბატონო თენგიზ, იმისათვის არ უნდა გამოიყენოს, რომ დაასკვნას — „საჭირო არ არის ჩვენი ერის ხელოვნურად თავს მოვახვიოთ პაციფიზმი"-ო.

დღევანდელ პირობებში ამის ქადაგება სამშობლოს ღალატს უდრისო!

რადგანო! —

„ქართველმა ხალხმა საკუთარი შეიარაღებული ძალებით უნდა შესძლოს ღვთიური მისია — სამშობლოს დაცვა"-ო!

თენგიზ ბატონო! ცოდვაში ნუ ჩადგებით, — ტარიელ ჭანტურია არასდროს ყოფილა სამშობლოს დაცვის წინააღმდეგი!

წამდაუწუმ რომ იძახის — „გაყიდე სამოსელი და იყიდე მახვილი!" — როგორ გგონიათ, რისთვის უნდა ეს?

მე თქვენ გეტყვით, შეძენილი მახვილით ერთბაშად შვილიშვილებს არ ეფარიკაოს!

ბავშვები ხომ მას კარგა ხნის განიარაღებული ჰყავს!

●

ბატონო თენგიზ, რაკი ქართველები ჯერ თავს არავის დავსხმივართ, ხომ არ გიფიქრიათ, რომ ეს მახვილი შეიძლება პოეტს საქართველოს საზღვრების დასაცავად ჰირდებოდეს?

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ უნდა დადგინდეს, სად გადის ჩვენი საზღვრები?!

„წარმოუდგენლად ძნელია საქართველოს საზღვრების ჩაკეტვა, როცა ეს საზღვრები გადის... ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში! საერთოდაც, შენს საზღვრებს მანამ ვერ ჩაკეტავ, სანამ ეს შენი საზღვრები არ გახდება! ხოლო ის, ვინც ხელს გიშლის, გქონდეს საკუთარი საზღვრები, გინდა ეს თუ არა, არის შენი მტერი!"

მაინც რა ლოგიკა აქვს ამ დალოცვილს — ტყვიას ტყვიაში აჯენს!

ბატონ თენგიზს თუ არ მოსწონს, მიზეზიც აქვს — პაციფისტი ჰგონია!

ეს „ჩვენებური პაციფისტი" კი თავისას არ იშლის. რაღაცნაირად დიდ გულზეა!

„...ჩემი დასკვნა ლოგიკური და უბრალოა: საქართველოს ჰყავს მტერი და არა აქვს იარაღი! მაგრამ მე სულ მახსოვს ბატონ მაგალი თოლუას ნათქვამი ფრაზა: თუ ლილიპუტები მარჯვედ ვიქნებით, უსათუოდ გავკოჭავთ გოლიათსო!

მარჯვედ უნდა ვიყოთ!"

●

ძვირფასო მკითხველო! თუ მარჯვედ იყო ბატონი ტარიელი, ერთი კახური ანეკდოტისა არ იყოს, რაში გამოადგა!

მე რომ არ გამოვჩენოდი, როგორც გამოუსწორებელი პაციფისტი, ბატონ თ. კუბლაშვილს თითქმის „გაკოჭილი" ჰყავდა და... ხელისუფალთ აბარებდა!

მე კიდევ იმდენი მოვახერხე, ამ კაცისგან, ვისაც ეს საშინელი ბრალდება — პაციფისტობა! — ჰქონდა წაყენებული, ლამის ომის გამჩაღებელი გამოვიყვანე!.

ამის შემდეგ კი, სერიოზულად მინდა ვკითხო ბატონ თენგიზს: რატომ ვართმევთ პოეტს ოცნების უფლებას? ანდა რატომ ვუტეხთ მთელ მსოფლიოში სახელს საქართველოს?

პოეტს, რომელიც ოცნებობს უთოფო, უტანკო, უჯალათო მსოფლიოზე, პოეტს, რომელიც ოცნებობს უატომო ზონაზე, რატომ ვეკამათებით და მთელი ქვეყნის გასაგონად რატომ ვუმტკიცებთ, რომ განიარაღება ბოროტებაა, რომ აუცილებელია სისხლისღვრა, კაცისკვლა, ომი, უბედურება?

დასანანია, რომ ომსა და პაციფიზმზე ბატონ თ. კუბლაშვილის ნააზრევი ნასესხებია ლენინის მოძველებული კიდობნიდან!

სულო ცოდვილო, ისიც კი მომეჩვენა, შეიარაღებაზე მისი ასე გაგიჟება რაღაცით „სულელ ჰუსეინას" სიგიჟესაც ჰგავს! იმ ჰუსეინასი, მთელი მსოფლიოს დამარცხება ერთად რომ უნდოდა, რომ დაეცინა, გინდა თუ არა, ამერიკელები საკუთარ სისხლში უნდა ამოვახრჩოო!

ბატონო თენგიზ, ნუ ღელავთ! ჩვენ აუცილებლად გვეყოლება ჩვენი არმია!

ოღონდ... პოეტებსაც მივცეთ იმის უფლება, უიარაღო კაცობრიობაზეც იოცნებონ!

იმაზეც უნდა ვიფიქროთ, ნახევარი მსოფლიო, კრემლისა და სახაროვის წყალობით, ისედაც „პატარა იმპერიას" რომ გვეძახის!

ახლა თუ ამას ქვეყნის მილიტარიზაციის თქვენეული პროპაგანდაც დაემატა, საბოლოოდ განვუმტკიცებთ ჩვენს მტრებსა და მოყვრებს აზრს, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჩვენ სულ სხვა მიზნებისთვის გვჭირდება!

რატომ ვაკეთებთ, ბატონო თენგიზ, ამას?!

ან რა ქვეყანა დაიქცევა იმით, შვილიშვილების საძინებელი ოთახი პოეტმა უატომო ზონად რომ გამოაცხადოს?!

ნუთუ არც ამ ბიბლიურ ფრაზას — „გადავადნოთ ლახვარი ნამგლად!" — გადაურჩებით ხადმე?!

●

ტარიელ ჭანტურია ნეკოდენაზე წიგნის დაწერას გვპირდებაო, — ბრძანებს ბატონი თ. კუბლაშვილი და მერე პოეტს ხომ აქილიკებს და აქილიკებს, ალარც პატარა ნეკოდენას ინდობს!

ალბათ, ჰგონია, პოეტის ხელში ისიც პაციფისტად გაიზრდება!

ბარემ აქვე ვნახოთ, მართლა „განაიარაღა" თუ არა ტარიელ ჭანტურიამ ნეკოდენა!

ნეკოდენა. საქართველო
თუმც ძალიან გიყვარს,
ამისთანა პაწაწინას
ჯარში ვინ წაგიყვანს?!

ცრემლები წაგცდებათ, ამ პატარა ბიჭის პასუხს რომ მოისმენთ: — მზვერავად მაინც წავალ, ჩემი სიპატარავის გამო, ნაკლებად შემამჩნევენო. მერე კი, ბატონ თ. კუბლაშვილის „ჯინაზე" ისე მოვიქცევიო, რომ:

ვერ დამწამებს ვერავინ
ლაჩრობას და დედლობას!
ვეყოლები იმედად
საქართველოს მხედრობას!

თენგიზ ბატონო, ღმერთი არა გწამს?! როგორ შეიძლება, პაციფისტობა (ცუდი გაგებით!) დასწამო პოეტს, რომლის ცეროდენა პერსონაჟსაც კი — სამშობლოს დასაცავად! — თვალი იარაღისკენ გაურბის!...

●

თუ რიგი არ ამერია, ახლა, მგონი, სახუმარო ამბების ჯერი დადგა!

თანაც „ახალი" ამბავი უნდა გითხრათ! თქვენ მართლა ხომ არ გგონიათ, რომ ბატონი თ. კუბლაშვილი ყოველთვის „ტყუა" ტარიელ ჭანტურიასთან?

პაციფისტია, აბა, რაა, ამის დამწერი!

ნახე, რა ღირს იარაღი!
მერე ნახე — ია რა ღირს!
ბევრი ვიცი, ია-იას
ურჩევნია იარაღი...

ვინ გეკითხებათ, ბატონო ტარიელ, რა ღირს იარაღი! თუ ფასი არ მოგწონს, წადი და ია-ია იყიდე!

თქვენ კი დამდგარხართ აქ და გვაზელებთ:

რისთვის მინდა, თუ კაცი ხარ,
რისთვის გვინდა იარაღი!...

ეე, თუ არ დაგეპირდა! ვენაცვალე შენს რეცენზენტს! ხომ გამოგაპენა გაზეთის ფურცლებზე!..

არ მითხრა — რა უნდა დაექლო, „ზეთისხილის კურკით გატენილი თოფი" შესროლაო!

არა, მოკვლით კი არ მოუკლავხარ, მაგრამ ხომ გაგამწარა!—

ამიტომ, — შე მართლა პაციფისტო! — იძახე ახლა, რამდენიც გინდა!

დარჩეს თოფი ღამის დარაჯს!
ჰქონდეს თოფი ღამის დარაჯს!
ქვეყანაზე იყოს მარად
მშვიდობა და ერთობა!
კასრებივით რაკეტები
ჩავაბაროთ როგორც ტარა!
დარჩეს თოფი ღამის დარაჯს—
ჰქონდეს დარაჯს, ხელთოფა!..

ამ შენს გამოგონილ ლექსს რომ ჩაათავებ, ბატონო ტარიელ, მერე შენივე მოგონილი ეს მისამღერიც მოაყოლე:

მისამღერი: ტარა-ტარა,
დარჩეს თოფი ღამის დარაჯს!
ჰქონდეს თოფი ღამის დარაჯს!—
დარაჯს ყველა ენდობა...

ამ ტარა-ტარას ძახებაში, ჩემი ტარო (ტარიელ ჭანტურიას უახლოეს[illegible] ხანდახან ასეც მივმართავთ!), კინაღამ პაციფისტად და „იდეოლოგიით გამოთაყვანებულ კომუნისტურ ინტერნაციონალისტად" გამოგაცხადეს!...

●

თუ რიგი არ ამერია, ახლა, მგონი, სახუმარო ამბების ჯერი დადგა!

უკაცრავად, ძვირფასო მკითხველო, ამ „ჩვენებური პაციფისტის" დაცვამ, მეც კინაღამ გამომითაყვანა, თორემ ახლა ნამდვილად სერიოზული ამბების მოყოლის ჯერია!

...მე მქონდა შემთხვევა, ტარიელ ჭანტურიასთან ერთად შევსწრებოდი, რუსთაველის პროსპექტზე მშობლიური ენის დასაცავად მომავალ გოგო-ბიჭებს, როგორ ჩაებღუჯათ ხელში ტრანსპარანტი ასეთი წარწერით:

საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!

ვერ გეტყვით, ახლაც არის თუ არა, ქალაქ გორის შესასვლელში ვეებერთელა წარწერა —

საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!

არადა, როგორც ჩანს, ბატონ თ. კუბლაშვილისგან განსხვავებით, ქართველი ხალხი თვლის, რომ ტარიელ ჭანტურიას ეს სტრიქონები ეროვნული არმიის შექმნის წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ ერთ არმიად, ერთ მუშტად შეკვრისკენ მოწოდებაა!

მე ვიხდი პერმში შეკერილ
პიჯაკს,
და ცოტნეს გვერდით თამამად
ვწვები!

ჩემმა თაობამ ზეპირად იცის ეს სტრიქონები, როგორც მათთან თანადგომის შეპირება, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად ებრძოდა იმპერიას!

ძვირფასო მკითხველო!

მართლაც რა სამწუხაროდ წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ტარიელ ჭანტურიას ის ზემოთ მოტანილი ფრაზები! — ვერც საზღვრები ჩავკეტეთ, და ვერც შევიარაღდით!

სამაგიეროდ, სხვები შეიარაღდნენ! ისინი კი მოსკოველმა კოლონიზატორებმა შეაიარაღეს!

ამიტომაცაა, ტარიელ ჭანტურია თითქმის შარაზეა გამოსული და მთელი ქვეყნის გასაგონად უყვირის: —

სადაც უნდა ბრძანდებოდეთ —
რომში, ტრიესტში,
კოლონიალისტებო,
წაეთრიეთ შინ!..

ბატონო თენგიზ, პოეტი კაცი ყოველთვის ასე შეფარვით ამბობს სათქმელს!

არადა, თუ ის თქვენნაირ მკითხველსაც გაუწევდა ანგარიშს, მაშინ, ასე ღიად უნდა ეთქვა:

საბჭოთა კოლონიალისტებო, წაეთრიეთ შინ!...

ბატონო თენგიზ, არ იყო გამორიცხული, ამის მთქმელი პოეტისთვის თავიც მოეკვეთათ!

მაგრამ, თუ ბატონ ტარიელს ვერწმუნებით, სამშობლოსთვის სიკვდილი სულაც არაა ძნელი!

და ის მოკვეთილი თავიც
უნდა ეტრატებში ჩარგო!
ჩანგო, დაიხსომე, ჩანგო:
ხმალი, ხმალი არ ჩააგო!

და რამდენ საწყენია, ბატონო თენგიზ, ამ სტრიქონების ავტორი თქვენს საგაზეთო პუბლიკაციაში პაციფისტად რომ გყავთ მონათლული!

არადა, მე თუ მკითხავთ, პაციფისტი კი არა, მამულის მტრებისადმი ავი სიძულვილით აძგრული მისი ყალყზე შემდგარი სტრიქონების შეხერება — ტრამალებში მოთარეშე ქარების გაკოჭვის მცდელობას ჰგავს!..

●

სამწუხაროდ, მე ამას ვერაფრით შევახმენ კაცს, ვისაც ერთადერთ მიზნად პოეტის გაკილვა დაუსახავს!

„პაციფიზმსა და ინტერნაციონალიზმს ეხება ტ. ჭანტურიას მეორე წერილიც — „უიარაღო"-ო!

ამის გაგება უნდოდა კიდევ ბატონ თ. კუბლაშვილს? — იგი ხომ კინაღამ იმაზე მოკვდა სიცილით, პოეტმა თავისი შვილიშვილების საძინებელი ოთახი უატომო ზონად რომ გამოაცხადა!

„ერთი სიტყვით, როგორც არ უნდა იყოს, პაციფისტი და ინტერნაციონალისტი ქართველები მაგრები ვართ!"

აშკარად, დაგვცინის ბატონი თ. კუბლაშვილი და დაცინვის სა-

(დასასრული მე-16 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვიქტორ კახნიაშვილი

# საზაფხულო პრელუდიები

სკოლის ბოლო ზარი სამთვიანი საზაფხულო არდადეგების დაწყებას მოასწავებდა. ივნისი რომ დადგებოდა და თბილისში სიცხეებს დაიჭერდა, ვახტანგს და გივის უკვე სოფლისკენ მიუწევდათ გული. მიუხედავად იმისა, ორივენი კარგად სწავლობდნენ, გაკვეთილების მზადება, დედის ჩიჩინი, მასწავლებლების გაუთავებელი წუწუნი და ერთფეროვნად გატარებული ცხრა თვე წარსულს ბარდებოდა და იწყებოდა ახალი, უზრუნველი ცხოვრება, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ყმაწვილები მატარებლით მგზავრობისას უკვე ისეთ რამეებს აკვირდებოდნენ და ამჩნევდნენ, რაც ადრე მათთვის ბუნდოვანი და გაუგებარი იყო. უძველესი მონასტრების, გამოქვაბულების, ციხეებისა და ნიშების ნახვისას სიამაყით ევსებოდათ გული. სოფელს რომ უახლოვდებოდნენ, უკვე წინასწარ იცოდნენ, შეხვედრისას დარო ბებო ორივეს გულში როგორ ჩაიკრავდა, გადაკოცნიდა, შეაქებდა, რამხელები გაზრდილხართ, თქვე კარგი დედ-მამის შვილებოო. მახარე პაპა კი მხნედ ხელს რომ ჩამოართმევდა და ქალაქის ამბებს გამოკითხავდა, ბოლოს ღიმილით ეტყოდა: თევზი და თუთუნი ხომ ბლომად ჩამოიტანეთო? დეიდა თამარი ციბრუტივით დატრიალდებოდა, დისა და დისწულებისთვის რაიმე რომ ესიამოვნებინა, დეიდაშვილები კი ახალ-ახალ ამბებს დაახვედრებდნენ ხოლმე.

რადგანაც ბავშვობიდანვე შეჩვეული იყვნენ იქაურ გარემოს, ამიტომ უცებ მოინახულებდნენ ნათესავებს, მოივლიდნენ მეზობლებს, მოიკითხავდნენ მეგობრებს და ბუნების წიაღში თავისუფლად დანავარდობდნენ. დედა ხშირად არიგებდა, პატარები კი აღარა ხართ, ახლა ცოტა სხვანაირად უნდა გეჭიროთ თავიო, მაგრამ თანატოლებში გაერეოდნენ თუ არა, მაშინვე ყველაფერი ავიწყდებოდათ. ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდნენ: ხან ჩიტის ბუდეებში კვერცხებს ეძებდნენ, ხან ყანიდან მსუქან მწყერებს წამოაფრენდნენ, ხან მდინარეში მცოცავ კამეჩებს წამოაჯდებოდნენ... როცა ვახტანგს წიგნის კითხვა მოენატრებოდა, ვენახისკენ გასწევდა, დაჯდებოდა ჩრდილში ან ბოლთასა სცემდა და ისე გატაცებით კითხულობდა, ხშირად პურის ჭამაც კი ავიწყდებოდა.

ერთ შუადღისას, მზემ მაგრად რომ დააჭირა, ბიჭები საბანაოდ სალთვისის არხზე წავიდნენ. ზოგი მკლავურით ალმა აჭრას ცდილობდა, რამდენიმე ერთმანეთს ბაყაყურში ეჯიბრებოდა, თითო-ოროლა ყურყუმალაობდა, ხოლო დანარჩენები ქვიშაზე გაწოლილიყვნენ და სიცივისგან კანკალებდნენ.

— ბიჭებო, გოგოები სიმინდებში რაღაც ისე დაფათურობენ, მგონი, გაგრილებას აპირებენ, მოდი, წყალში ჩავუხტეთ და ერთი მაგრა დავაწიოკოთ, — კრეჭით თქვა ნიკომ.

— ჯერ კარგად დაზვერე და შენთანა ვარ! — შეაგულიანა ვანომ.

— კაი ბიჭი ხარ მწიფე ტყემლის ძირასა! შენ აქ იცურაო და მე იქ მარტო ვიყურყუტო? — იუარა ნიკომ.

— დიდი ზვირთიყარია ვინმე კი ხარ აი, ვინც არ გიცნობს, ადე, წავიდეთ, — ხათრი არ გაუტეხა ვაჟომ.

გოგოები მუდამ მყუდრო და მოფარებულ ადგილს ირჩევდნენ ხოლმე საბანაოდ, მაგრამ ბიჭები ყოველთვის აზხამებდნენ. ამჯერადაც ასე მოხდა, ნიკომ და ვანომ სხვებიც შეიამხანაგეს, ჯერ ცოცვით აუყვნენ ნაპირს, მერე, გაღმა გასახვლელად მდინარის გადაცურვისას რაკილა ყველაფერი გამოაშკარავდებოდა, ამიტომ, ეშმაკიც კი ფეხს რომ მოიტეხდა, არხზე ხიდად გადებულ დაუმუშავებელ ჭადარზე ფეხაკრეფით უჩუმრად გავიდნენ და სიმინდებში დაიმალნენ.

გოგოებმა საგულდაგულოდ გაიხადეს, შინაური კაბები გადაიცვეს, ნება-ნება შევიდნენ მდინარეში და ჭყუმპალაობა დაიწყეს.

ბიჭებმაც, პირდაღებულნი ნერწყვებს რომ ყლაპავდნენ, აღარ დააყოვნეს, ჯერ ფორთხვა-ფორთხვით მიუახლოვდნენ, მერე ერთბაშად ყიჟინა დასცეს, ისკუპეს. და ზოგი თავით გადაეშვა, ზოგი კი ფეხებით ჩახტა არხში.

ატუდა წივილ-კივილი, გოგოებმა ნაპირს მიაშურეს, რამდენიმემ მოულოდნელობისგან წყალი ყლაპა, გაიმართა წუწაობა, ვახტანგი უნებლიედ ერთს კაბაზე წაეტანა, ეტყობა, ყაბაჩა უბრალოდ იყო ალარვული ან წულისგან დამდნარი, რომ ანაზდად გაირღვა თუ გაიხა და გოგო-ბიჭი ერთმანეთს პირისპირ შერჩა. ვახტანგმა ველარაფერი აწამა, თავისდა უნებურად წყლიდან ამოსახვლელად ხელი შეაშველა, ციურიმ კი მტრედივით შეიფრთხიალა, ყვედრებით მაყვალივით თვალები შეანათა და რაკილა სტუმარი შერჩა ხელთ, ტანზე ჩემოტმასნილი კაბა ხმისამოუღებლივ შეისწორა და სიმინდებში გაუჩინარდა.

— ვერა ხედავთ, ეს ქალაქელი ტეტიაც რომ აუყოლიებიათ?! — მიაძახა კუდამოძუებულ ყმაწვილებს გაცეცხლებულმა თვალებბრიალა გოგონამ.

— რა სიკვდილი დაგემართათ, ლენცოფა ხომ არ გიჭამიათ, თქვე დახახოცებო, ჰა?! — მარჯვენას იმჯილავდა ხასიათწამხდარი მაყვალა და, წყევლის გარდა, სხვებს რომ ვერაფერი დააკლო, ბიძაშვილს დაემუქრა, დამაცა, დედაშენს თუ ყველაფერი არ ჩავუკაკლოო.

დარცხვენილი ვახტანგი მდინარიდან აღარ ამოსულა, ბიჭების საბანაომდე ცურვით დინებას გაყვა, გალურჯებული და კბილებაკაწკაწებული ქვიშაზე პირდაღმა დაწვა და მზეს მიეფიცხა.

ცოტა ხანში, სიმინდების მხრიდან, გოგონების სიცილ-კისკისი და ნიშნისმოგები გადაძახ-გადმოძახება ისმოდა.

უეცარი თავდასხმით გაწიწმატებული გულუბრყვილო გოგონები და ქირქილ-ქირქილით მიმავალი დაუდგრომელი და მიამიტი ბიჭები აბა მაშინ რას წარმოიდგენდნენ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ტკბილად მოსაგონარი იქნებოდათ სოფლად გატარებული ბავშვობის ის უდარდელი დღეები?

### თაკარა მზე, გადატრუსული მინდორი, ნახირი, ლურჯი მდინარე და შაირობა

ვინც მზის ამოსვლას ფეხზე შეხვდება, ის დღე მისთვის ყველაზე ბარაქიანი იქნებაო, ამხნევებდა ბავშვებს ყოველ საღამოს დეიდა თამარი. ისეთნაირად იტყოდა, მის ნათქვამ სიტყვას მართლაც რომ მაგიური ძალა ჰქონდა. შრომა ყოველდღიურად სხვადასხვაგვარად ნაწილდებოდა: გოგოებს, დედასთან ერთად, ეზოსა და სახლისთვის უნდა მიეხედათ, რადგან ძია მიტო ოჯახური საქმეებისთვის გორში მიემგზავრებოდა, სკოლამდელ ნეო სამუშაოზე იგი გივის უნდა შეეცვალა და ურმით ძნა ეზიდა, მირიანს ბაღ-ვენახის მეთვალყურეობა და ბალახით მომარაგება ევალებოდა, ვახტანგს კი ნახირში წასვლა ერგო.

ქალაქში გამეფებული ხმაურისა, ბუღისა და ავარდნილი მტვერ-ბუქის შემდეგ, არდადეგებზე თუნდაც გადატრუსულ მინდორში სუფთა ჰაერზე ყოფნას განა რამეღა სჯობდა? ვახტანგმა დილაადრიან მსუბუქად წაისაუზმა, მერე თონეში გამომცხვარი პური, კიტრი, ორი თავი ხახვი, რამდენიმე კბილი ნიორი, ქვამარილის კვნიტი ჩანთაში ჩადო და ძროხებს გაედევნა. იისეთი დილა იყო, რომ იტყვიან, კუტსაც კი ფეხს აადგმევინებდა და გარეთ გამოახედებდა. სოფლის ბოლოში თავმოყრილმა საქონელმა ძოვებ-ძოვებით მინდვრისკენ გასწია.

— ერთი ამას დამიხედე, ქალაქელ ბიჭსაც რომ მწყემსობა მონდომებია! — თავისებურად გაკილა ენაკვიმატმა მიხამ.

— ბიჭო, შენა არ გაგიგონია, მასხარას კაცი არ მოუკლავსო? — გამოესარჩლა ვახტანგს მახვილსიტყვაობით არანაკლები გიგა.

თითქმის ერთი ასაკის ათიოდე ბიჭმა მოიყარა თავი. ზოგს ადგომა დაგვიანებოდა და გზადაგზა ილუკმებოდა, ზოგს პირის დაბანვა ვერ მოესწრო და თმაგაწეწილი მთვრალივით მიბანდალებდა.

მზე ამოვიდა. ეტყობოდა, აგვისტოს შეხაფერისი ცხელი დღე იქნებოდა. ბიჭები ხუმრობა-ხუმრობით ნახირს უკან მიჰყვებოდნენ.

შუადღემ რომ მოატანა, სულისშემხუთველად დაცხა. ასეთ პაპანაქებაში სოფლისთვის დამახასიათებელი სურნელება, ათასგვარი მცენარის, სილის, საქონლის სუნით გაჟღენთილი ჰაერი ცხვირში საამოდ გიღიტინებს და რაღაცნაირ სიამოვნებას გგვრის. ამნაირ ხორშაკში საქონელიც და ფრინველიც ითენთება და ჩრდილს ეძებს.

— ეგეთი ხასიათფუჭი და ჩათუქესანი როდემდე უნდა იყო, ერთხელ მაინც მიხედე ნახირსა! — გაჰკივლა ზანტი და ზოზინა სანდრო მიხამ, ძროხებს დაუარა, ზოგი ყვირილით ფეხზე წამოყარა და არხისკენ გარეკა.

— მაგას რაც გინდა ის უთხარი, გამოშვებული ხარივითაა და დედამიწის ზურგზე არაფერი ადარდებს, — მხარი აუბა გიგამ და ჰოო-ჰოოს ძახილით ისიც ნახირს მიჰყვა.

— თქვენი ყველაყიხამა, დიახ, — ჩაიბურტყუნა სანდრომ.

სალთვისის არხი ლურჯად მილივლივებდა და ამ გაგანია სიცხეში თავისებური სიცოცხლე შეჰქონდა. ქათმები ნაპირზე ბუდარაობდნენ, იხვები და ბატები კი მდინარეში ჭელგა-ჭელგად დაცურავდნენ და იქაურობას ყიყინით იკლებდნენ.

ძროხებმა წყალი დალიეს და ხეების ჩრდილში ცოხნა დაიწყეს. ბიჭებმა გულიანად იბანავეს, იწუწავეს, გაგრილდნენ და მათაც ჩრდილს შეაფარეს თავი. ზოგმა მყუდრო ადგილი მოძებნა და თვალის მოხატყუებლად მიწვა.

— ბიჭებო, თქვენი არ ვიცი და ჩემს მუცელში დოლაბანდის დაკვრა და ლეკურის თამაშია გაჩაღებული, მუცლებისთვის პატარა დედაბოძი ხომ არ მიგვეცა? — წამოიძახა მდინარიდან ამოსულმა მიხამ, — აბა უველამ თქვენ-თქვენი ავლადიდება ამოალაგეთ!

კარგი ჩრდილი მოძებნეს, მოხერხებული ადგილი ამოირჩიეს და ჭამას შეუდგნენ.

— ბიჭო, ნამგალა მთვარესავით რომ მილეულხარ, რაღა ე გომიჯი წამოგიღია, გამტკიცული შოთის პური ან ნაზუქი დედაშენმა ვერ გამიმეტა შენთვინა? — გაპამპულავება მოუნდომა ჩაგოდრებულმა, ლორმუცელა სანდრომ გამჭკნარ გოგიას.

— შენმა მზემ, შენ ხომ შემწვარ-მოხრაკულითა და ლავაშ-ლიკანით დამშვენე ჩვენი სუფრა, — ტოლი არ დაუდო გოგიამ.

გემრიელად რომ ისამხრეს, დანაყრდნენ და ცივი წყალიც დააყოლეს, ახლა შაირობის იშტაზე მოვიდნენ.

— მოდი, ქალაქელ სტუმარსაც ვაყურებინოთ, ერთი ხომ ფოცხვერია, მეორე ბაბრი და დღეს მიხა და გიგა დავაჯახოთ ერთმანეთსა, — წაუჩურჩულა გოგიამ ბიჭებს.

ჭაბუკებმა გულიანად გადაიხარხარეს.

მიხამ, მოკრა თუ არა ყური ნათქვამს, მაშინვე არც წაიღო და არც წამოიღო:

— ვის ვეშაირო, ბიჭო, მაგ თავფქვილასა?

— აბა, მოუკრეფავში ნუ გადადიხარ, — ფეხზე წამოიჭრა გიგა, შენზე ნაკლებისა...

— ეგ არის და გორის ციხე! გაიჩარხა საქმე! — სახეზე ღიმი აუთამაშდათ ბიჭებს.

წამოიწყო მიხამ.

მაშინვე მიაგება გიგამ.

დაახეთქა მიხამ.

მიაყარა გიგამ.

— დაბრმავდით, თვალებო, დადექით, ყურებო! — ცმუკავდა გოგია.

— ეგ თაფლია, შაქარი და შარბათი მერე იქნება! — ამშვიდებდა სანდრო.

ხანდახან ისეთი სამსართულიანები ისმოდა, საოცარია, რას არ მოიფიქრებს ხალხის ტვინი და რას არ იტყვის უძვლო ენა, მაგრამ აქ მოხატანი არ არის. ისე კი, იმ პორნოგრაფიაშიც, ლექსიკური მარაგისა და იდიომატიკის თვალსაზრისით, ენათმეცნიერებისთვისაც ბევრი რამ საინტერესო იქნებოდა.

— თუ მიხამ წისქვილი ააბრუნა, მერე, ხომ იცი, მაგის გამჩერებელი აღარავინ არის, — თქვა ერთმა.

— არც ეგრეა საქმე, აბრუს არ იტეხს თორემ, ეტყობა, შემოელია, — არ დაეთანხმა მეორე.

— ეგ ისეთი ათასი თოკიდან გამომძვრალია, რომა...

— ჯერ სადა ხართ! — დაანუგეშა ბიჭები მიხამ.

— არიქა, ბიჭებო, მიხასა თავზე წნელი მოუჭირეთ, ჭკუა არხად გაეპარობ!

ამასობაში გიგამ ძალ-ღონე მოიკრიბა და ერთი შაირი კიდევ ამოშაჭრა:

ცხელ თონიდან შამფურებით
ამოვყრიდი ლავაშებსა,
დღეს კი არა მცალია და
ხვალ მივართმევ მამაშენსა.

მიხას სიჩუმით პირი ჰქონდა დაობებული და უცებ უპასუხა:

ამ ბიჭებთან მართლა მინდა
მოგიხადო ბოდიში,
შენ რომ გოგო გყვარებია,
წუხელ მიწვა ლოგინში.

— ეგრეც არ ვარგა, თავზე რომ კაკალი გადაამტვრიო კაცსა, — აქეზებდნენ ყმაწვილები გიგას.

დაბნეულ და გაბრუებულ გიგას ერთმა რაღაც უკარნახა.

— მაგ არამკითხემოამბეობასა როდის დაიშლი შენა, ჰა?! — მსჯულობა იკისრა სანდრომ.

გიგამ უკან აღარ დაიხია და ტკეპნით თქვა:

ორღობე ამოვიარე,
დავიწყე ოტური,
ლავაშივით გაგაბრტყელებ,
ვერ გიშველის „დოხტური“.

მიხამ არ დააყოვნა და სწრაფად აჯახა:

გორში ხარები ვიყიდე,
ორივე სავარცხელაო,
ერთი ისეთი შამოგცხე,
გაგაციე-გაგაცხელაო.

გიგამ იფიქრა, იფიქრა, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეშიდან გამოვიდა და ბოლოს და ბოლოს ამოღეჭა:

შუადღის მზევ, გადიწვერე,
მოიღრუბლე ცაო,
ვინც მე კიდევ მეშაიროს,
მოუკვდეს დედაო!

ეს უკვე დამარცხებას ნიშნავდა.

გამხიარულებულმა ბიჭებმა ყიჟინა დასცეს და საქონელი საძოვარზე გარეკეს.

მზე რომ ჩავიდა და მოსაღამოვდა, მინდვრიდან საამურმა სიომ დაქროლა და გვარიანად აგრილდა.

გამძღარი საქონელი და მათი მწყემსები მძიმე-მძიმედ შინისკენ ბრუნდებოდნენ.

— ოჰოჰო, შენი ნიშაი რარიგად გაბერილა კოინდრითა და რამხელა ჯიქანს მიათრევს. მაგ ძროხისგანა იცი რამოდენა კოლოტი გამოვიდოდა? — დამშვიდობების ნაცვლად წაილაზღანდარა სანდრომ.

— შენი თვალი მაგის... ტ-ში! — ღამის მშვიდობისას ნაცვლად ხელდახელ მიახალა გოგიამ და იფნის სახრე მოუღერა.

### სიზმარ-ცხადში მომხდარი ამბავი

ქართლისთვის დამახასიათებელი აგვისტოს თბილი და წყნარი დღე იდგა. მზე ჩასვლას აპირებდა და ცას თანდათანობით სილურჯე ეკარგებოდა. ვენახში ბოლთის ცემით გულმოჯერებული წიგნის მოყვარული ვახტანგი ვეებერთელა თუთის ხეს მიდგმულ ქოხთან სამფეხა სკამზე იჯდა და მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ კითხვას ისე გაეტაცნა, თავს ველარ ანებებდა.

უცებ ტოტის ლაწანი და კვნესა შემოესმა. ვახტანგმა წიგნი ქოხში შეიტანა, ტახტზე დადო და იქითკენ გაეშურა, საიდანაც კრუსუნი შოისმოდა. როცა იმ ადგილს მიუახლოვდა, წიწაკისა და ხახვის კვლებში პირქვე დამხობილი ქალიშვილი შერჩა ხელთ, რომელიც სიმწრისგან მიწაზე ფართხალებდა. ამ მოულოდნელი სურათის დამნახავი ჭაბუკი სულ დაიბნა, იფიქრა, ქალაქელ ბიჭს ვიღაც ხომ არ მაპამპულავებსო, იჭვნეულად ირგვლივ მიმოიხედა, ბუჩქებსა და ხეებს სეირის მოყვარულები ხომ არ ამოფარებიანო, მაგრამ ატმის ჩამოტეხილი ტოტი რომ დაინახა, გონს მოეგო და დაუპატიჟებელ სტუმარს მიუახლოვდა.

— აქ საიდან გაჩნდი? — ჰკითხა ვახტანგმა.

თვალმახარა გოგონამ, პასუხის ნაცვლად, კვნესას უმატა.

„კიდევ კარგი, აქეთა ტოტი ჩამოუტყდა და სარებზე არ დაეგო“, გაიფიქრა ვახტანგმა, დაბნეულობამ და აღელვებამ ცოტა გაუარა და კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

ქალიშვილს ქვედატანი აეკალთავებინა და მზით დამწვარი შოკოლადისფერი ბარძაყები მოუჩანდა. როცა ვახტანგი მიუახლოვდა და წამოდგომა დაპირა, გოგონამ ქვედატანი შეისწორა და დაჭყლეტილი ატმები იქვე დაყარა. ვახტანგმა იღლიებში მსუბუქად წაავლო ხელი, ცოტა არ იყოს, შეაყრყოლა, მაგრამ რის ვაი-ვაგლახით წამოაყენა, როგორც ეტყობოდა, მარცხენა ფეხი ჰქონდა ნაღრძობი, რადგან სიარულის დროს იმანჭებოდა, კოჭლობ-კოჭლობით ქოხამდე მიიყვანა და სამფეხა სკამზე დასვა. ვახტანგს ეგონა, ცრუობს და თავს იკატუნებსო, მაგრამ შეშუპებულ კოჭს რომ დააკვირდა და გაკაწრულ იდაყვზე შემხმარი სისხლი შეამჩნია, ქოხში მახარე პაპას მიერ საიდუმლოდ შენახული ორნახადი არაყი მოძებნა, გუნებაწამხდარ გოგოს შამანი მოუწმინდა, მერე, ვითომც აქ არაფერიო, ჩუსტი გახადა, კანჭზე ხელი წაავლო, დარო ბებიას ექიმბაშობა მოიშველია, შეშინებული ძარღვები არყით ღონივრად დაუზილა, მაისური გაიძრო, შეუხვია და ქოხში ტახტზე წამოაწვინა.

ვახტანგმა ვენახის თავში გამავალ მოჩუხჩუხე რუდან სურით წყალი მოარბენინა და ქალიშვილს შესთავაზა. გოგონა წამოჯდა, ნაღრძობი ფეხი ტახტზე გაჭიმა, მარჯვენა მიწაზე დადგა, მუხლის თავებზე კაბა ჩამოიწია, ნაძალადევად გაიღიმა და წყლით გული გაიგრილა.

ვახტანგის დაკვირვებით, ქალიშვილი თექვსმეტიოდე წლისა თუ იქნებოდა. კისერზე ჩამოკიდებული შავი ქარვის მძივები მოშიშვლებულ და ათქვირებულ გულმკერდზე სცემდა, ოქროს ძეწკვზე წამოცმული ავგაროზი კი ძუძუებშუა ღარში ჩაკარგულიყო. ალიკუდა გოგონა გაღიმებისას მაყვლისფერ თვალებს ეშმაკურად აპარპალებდა. როცა დაკვირვებით აათვალ-ჩაათვალიერა, ვახტანგს გონებაში გაუელვა, რომ იგი არც ახლომახლო სოფლის მკვიდრი და არც საგარაკოდ ჩამოსული სტუმარი უნდა ყოფილიყო.

— აქ რამ მოგიყვანა? — ახლა უფრო მშვიდად ჰკითხა ატმის მოყვარულს, მაგრამ, როცა შეატყო, ქართული იერი არა ჰქონდა, იგივე კითხვა რუსულად გაუმეორა.

გოგონამ გულზე ხელი დაირტყა და რაღაცმაირი აქცენტით თქვა:

— რომა, რომა!

ვახტანგი ვერაფერს მიხვდა და თავი გაიქნია.

— მოლდავია, ციგანკა!

— ააა, ციგანკა?! — გაიკვირვა ვახტანგმა, თან თავის დაკვრით დაუდასტურა, გავიგეო და თითქოს თვითონაც უფრო უკეთ გაეგებინებდა, ხმამაღლა წამოიძახა:

— ვახტანგ, ვახტანგ!

— ადა! — ჯერ მოკლედ მოუჭრა გოგონამ, მერე კი რაღაცის ახსნას შეუდგა, მაგრამ, როგორც ბოშა ქალიშვილის აწეწკნური ენისა არა გეგებოდა რა ვაჟს, ისე ვახტანგის ქართულისა, რა თქმა უნდა, გარდა სახელისა, ადასაც არაფერი გაუგია.

როცა წიგნის კითხვით დაიღლებოდა, ვახტანგი ნეშოზე გულაღმა წამოგორდებოდა, ცაზე ღრუბლების მოძრაობას აკვირდებოდა, ოცნებას მიეცემოდა და სადღაც გადაიკარგებოდა ხოლმე, მაგრამ ახლა, მისდა უნებურად, ისე იყო აღელვებული, არ იცოდა, რა ექნა. რამდენიმე ხანს ასე უხმოდ იყვნენ. ნაწყენეფრთიანი ნემსიპარიები უჩუმრად გაისრიალებდნენ და ისრებივით დაქროდნენ, ჭიაფანდურები კი იქაურობას ბზუილით იკლებდნენ. შორიახლო ვენახებიდან ღაღლის ხრინწიანი ტახტიხი და ჩიტების გამუდმებული ყლურტული ისმოდა.

შებინდდა. უცებ ნაცნობი, ნაღვლიანი ხტვენა გაისმა:

— ბიჭო, გიო!

— რა არიო?

— იპოვნე?

— ვერა, ვერაა!

ოდნავ აგრილდა. სიომ ვახტანგი თითქოს გამოაფხიზლა. წამოდგა, ჯამს ხელი წამოავლო, კიტრი, პამიდორი და წიწაკა მოკრიფა, მიწიდან ხახვი ამოიღო, რუზე გარეცხა, ქოხის წინ ბორბონა ფოთლები გაშალა, ხალათა გააკეთა, ოხრახუში, ნიახური და რეჰანი დააჭრა, მარილი მოაყარა, ქოხიდან პური გამოიტანა, შეპარებული ობი მოაცილა, ცივი წყლით სავსე სურა გვერდით მოიდგა და ადას მუნჯურად ჭამა შესთავაზა. ქალიშვილმა არ იუარა, ფეხმორთხმით დაჯდა და სტუმართმოყვარე, კეთილი ჭაბუკის მიერ ხელდახელოდ გამზადებული პურ-მარილის გემო იგემა. ვახტანგმა პატარა ჭიქებში არაყი დაასხა, ერთი თვითონ დაიდგა, მეორე ადას გაუწოდა, ახსნით ვერაფერი აუხსნა, მაგრამ იგულისხმა, ამით მადა უფრო გაგვეხსნებაო, პაპამისივით, მაგრამ ირონიულად დაილოცა, ღმერთი შეგვეწიოსო და სულმოუთქმელად გადაკრა. ადამაც მას მიბაძა. იმწამსვე ორივეს თვალებიდან სიმწრის ცრემლი წამოუვიდა.

ულრუბლო ცაზე მთვარე გაბადრულიყო და ვარსკვლავები ჰრტიალებდნენ.

მწერებმა და ფრინველებმა დიდი ხანია დაიბუდეს, მხოლოდ ციცინათელებიღა დაფრინავდნენ ბუჩქებიდან ბუჩქებში და ხანგამოშვებით თვითმფრინავივით ანთებდნენ.

— ვახტანგ! — რაღაცნაირი ალერსიანი კილოთი, მომხიბლაობითა და უშუალობით წარმოთქვა ადამ, სასმისი დასახსმელად გაუწოდა და ვაჟს თვალებში შეაშტერდა.

ვახტანგმა სურვილი შეუსრულა და თვითონაც დაისხა. ადამ ჭიქა მიუჭახუნა, გაიღიმა, რამდენიმე ხანს ხელების მოშველიებით ილაპარაკა, ოდნავ წამოიწია, მოულოდნელად ვახტანგს ლოყაზე ნაზად ემბორა და ჭიქა ნახევრამდე დაიყვანა. ჭაბუკმა მადლობის ნიშნად თავი დაუქნია, აღარ დააყოვნა და ბოლომდე დაცალა. ჭაჭამ იძალა. ადამ სიცილ-კისკისით იქაური მყუდროება დაარღვია, ვახტანგს კი საფეთქლები ისეთნაირად უფეთქავდა და თავი ისე გაბრუებოდა, შინ წასვლა აღარც უფიქრია.

როცა კარგად დანაყრდნენ, ვახტანგმა ადას გადაყრილი ატმები აკრიფა, პატარა კალათში ჩააწყო, რუში ჩააცივა და ქალიშვილს მიართვა. ადამ ატმის დანახვაზე გულიანად გადაიხარხარა, მერე ჩაფიქრდა, ვახტანგსაც გადასდო და რამდენიმე ხანს ორივენი ისე ხითხითებდნენ, სიცილისგან კინაღამ ფერდები დაასკდათ.

ხავსე მთვარე ისეთ ზღაპრულ ჩრდილებს ფენდა მიდამოს და ვარსკვლავები იმნაირად ციმციმებდნენ ცაზე, ხმამაღალი ლაპარაკი ან სიცილი ნამდვილად არ უხდებოდა იმგვარ რომანტიკულ ღამეს და თუ ვინმეს ვინმესთვის რამე ჰქონდა გასაზიარებელი, ჯობდა, ხმაამოუღებლივ, ჩუმად, ან კიდევ ჩურჩულით მაინც ეთქვა ათქმელი.

ვინც არ უნდა იყოს, ქალი ყველგან ქალია. სახლეჩი ატმით პირი რომ ჩაიტკბარუნეს, ადამ იქაურობა მიალაგ-მოალაგა, ეგ იყო აბრუს არ იტეხდა და ყმაწვილ ქალებს რომ სჩვევიათ, უწინდებურად პამპლავაქობდა, თორემ სიარული უჭირდა და დროდადრო კოჭლობდა. ვახტანგმა არყით განახევრებულ ტუჩმოტეხილ სურას ნაჭუჩი მაგრად დაუცო, თავისი ადგილი მიუჩინა, მერე ბორბონა ფოთლებზე დაყრილი ნარჩენები შეახვია, ღობესთან მიწა მოთხარა, შიგ ჩაფლა, ფეხით დატკეპნა და უკან გამობრუნდა.

ამასობაში ადამ ტახტზე გადაფარებული ზეწრიდან ჩალაბულა გადაყარა, ბზით გატენილი ბალიში გაბერტყა, მუთაქაზე დადო და ტანთგაუხდელი დასაძინებლად მიწვა. ვახტანგი მის ფერხთით ჩამოჯდა, საათზე დაიხედა და გაუკვირდა, ამდენი დრო რომ გასულიყო: ისარი თორმეტს უახლოვდებოდა და სადაცაა შუაღამეს გადასცილდებოდა. გაყუჩებულ ქალ-ვაჟს თვალებზე რული არ ეკარებოდა. მთვარის შუქზე კანთიელად ჩანდა: ქალიშვილს აშხეპულა თვალ-წარბში ვნებიანობის ჟინი ჩადგომოდა, აბედად ქცეულ, ნდომით გატენილ ვაჟს კი ჩამოკვესაღა უნდოდა, ცეცხლი რომ გაჩაღებულიყო. ადამ უმალ იგრძნო ბიჭის გამოუცდელობა, ჯერ კისერზე ჩამოეკიდა, მერე ტუჩებში კოცნა დაუწყო, ვახტანგმაც თეორიული ცოდნა გამოიყენა, მიიზიდა, ხელები მოხვია და ცოტა ხანში უსიტყვოდ შეხმატკბილებულნი, დედიშობილები ბუნების წიაღში დაფნისისა და ქლოესავით მიეცნენ წუთიერ მაწიერ ნეტარებას...

როგორც კი მტრედისფრად ინათა, ძია მიტო ვენახისკენ გაეშურა. კარლია ქოხში, ტახტზე კითხვის ნიშანივით მოკუნტული, ტკბილად ჩაძინებული ვახტანგი რომ დაინახა, ცოტა დაწყნარდა, „ეხლანდელ ახალგაზრდებს მეტი არ მოეთხოვებათო“, თავისთვის ჩაილაპარაკა და ზვრის შემოსავლელად წავიდა.

მზე ამოვიდა. ვაზის შეწამლულ ფოთლებზე, დამკრახულ ყურძნის მტევნებზე, ღობეებთან ჩაყოლებულ ლორქლიავზე, დამჭნილ ალიბუხარსა და ოტურზე, ქაშა აბილაურზე, გვერდებშეყვითლებულ კვახებზე, ძურწა ბალახზე, ნაირფერად ყვავილებსა და ათასფერადქცეულ მიდამოზე ცვარნამი თვალისმომჭრელად აკიაფდა. ვერა მხატვარი ვერ შეძლებდა ჯადოქმნილი ბუნების ამ უზადოობის გადატანას ტილოზე.

ტახტზე წოლით გვერდებდამტვრეულ ვახტანგს გაეღვიძა, ჯერ თავი სიზმარში ეგონა, მერე ერთბაშად ყველაფერი გაახსენდა, ალალბედად გაცნობილი ქალიშვილის სახე თვალწინ დაუდგა, უცებ ზეზე წამოიჭრა, ქოხიდან გამოვიდა, იქაურობა მიათვალ-მოათვალიერა, მაგრამ ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა და მის გარდა, როგორც ეტყობოდა, ბაღ-ვენახებში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ღამით ხომ არაფერი მომელანდაო, გაიფიქრა და გული რომ დაეჯერებინა, ატმის ხისკენ გაიხიჯა. ჩამოტეხილ ტოტს ფოთლები შეჭკნობოდა. ახტაჯანა ბოშა თვალსა და ხელშუა გამქრალიყო. ვახტანგმა მხოლოდ რუზე პირის ბანისას შენიშნა, მაჯაზე საათი რომ აღარ ჰქონდა. მომხდარი ამბავი თვითონვე არ სჯეროდა. ქოხის წინ სამფეხა სკამზე იჯდა და ფიქრებში ჩაძირულიყო, თავს ძია მიტო რომ წამოადგა.

— ბიჭო, ქალაქში არ გეყოფა წიგნების კითხვაი, აქაც მაგითი თვალები რომ არ ამოილამო?

— რა ვიცი, აბა, რაკილა ერთი შევეჩვიე, — ისტიბარი აღარ გაიტეხა და დაუფიქრებლად უპასუხა ვახტანგმა.

— კაი დარაჯი ვერა ყოფილხარ მაინცა, ვიღაცას ი ატმის ტოტი რომ ჩამოუმტვრევია?!

— ჰო, მეც ვიცი.

— რაღაც გუნებაზე ვერ მეჩვენები, ხომ არავინ გაწყენინა?

— არა, ძილი დამაკლდა და ყველაფერი იმის ბრალია.

— წამო, ერთად ვისაუზმოთ, დეიდაშენსაც დაენახვე, თორემ, ლამის გული ბუდიდან ამოუვარდეს, ნეტა ი ბიჭს ხომ არაფერი შემთხვაო.

ძია მიტო და ვახტანგი მუსაიფ-მუსაიფით შინისკენ წავიდნენ.

ვახტანგმა იმავე საღამოს წყაროზე შეიტყო, რომ სოფლის მინდვრიდან აბანაკებულ ბოშებს მკითხაობით, მათხოვრობითა თუ მოტყუებით ეზოებსა და მამულებში რაც კი ხელთ მოხვედრიათ, ყველაფერი წაუღიათ და სადღაც გადახვეწილანო.

### დედულეთიდან მამულეთამდე ანუ ნიქოზიდან კეხვამდე

როცა წითელმა ბატონებმა გაუარა და დასუსტებული ვახტანგი ფეხზე დადგა, დეიდამ დისწულს გულისნადები გაანდო:

— შვილო, დეიდა გენაცვალოს, ერთი სათხოვარი მაქვს, რაზეც, არაფრის დიდებით, უარი არ უნდა მითხრა.

ვახტანგს თავისდა უნებურად გაეღიმა, ყურები დაცქვიტა და დეიდისთვის რომ არ ეწყენინებინა, სასმენად მოემზადა.

— ბატონები რომ შეგეყარა, ვენაცვალე იმათ სახელსა, ჩვენ მთავარანგელოზს შევევედრე, ოღონდ ჩემი ვახტანგი კარგად მიმყოფე, შენს კარზედაც ვილოცებ, მარიამობა დღესა პატარა სამხთოსაც გადავიხდი და მამის სალოცავსაც ფეხით ვაახლებ-მეთქი.

— შე კაი ქალო, ხომ ხედავ, ძლივს დავცლასლასებ, მამაჩემის სალოცავამდე მიღწევა არ გინდა?

— დეიდა შემოგევლოს, თავიდანვე ხომ საგულდაგულოდ გაგაფრთხილე, ისეთი რამ უნდა გთხოვო, უარის თქმა არ ეგების-მეთქი? შენხელა ჭაბუკითვინა 10-15 კილომეტრის გავლას რა დიდი რამე უნდა?!

— კიდევ კარგი, მამულეთი ცხრა მთას იქით არ არის, თორემ რა მეშველებოდა? იმ დალოცვილ მთავარანგელოზს რომ პირდებოდი, მე არაფრად ჩამაგდე, არ უნდა შემთანხმებოდი?

— აბა ადამიანის ეგრე მასხარად აგდება გაგონილა? — ღიმილით და დაყვავებით უთხრა თამარმა, — კაცი რომ სიტყვას იტყვი, მამაზეციერს კი არა, დანაპირები ძუძუმწოვარ ბავშვსაც უყოყმანოდ უნდა შეუსრულო, არადა, რა გრჯიდა, ვინ გაძალებდა?!

რაკილა თამარის გადაჭრება წარმოუდგენელი იყო, ვახტანგს არც უცდია მისი გადარწმუნება და ხმაამოუღებლივ დაეთანხმა.

ფერისცვალება დილას დეიდამ ვახტანგს მცირე საგზალი მოუმზადა, მარცხნიდან მარჯვნივ სამჯერ შემოაბრუნა. პირჯვარი გადასახა, დალოცა და გზამდე მიაცილა.

ალბათ იმ დღიდან დაბედა ღმერთმა ვახტანგს დამოუკიდებელი მოგზაურობა.

ვინაიდან კეხვი და ნიქოზი არც ერთ რუკაზე არ იხსენიებოდა, ვახტანგი იძულებული იყო „ქართლის ცხოვრებისთვის“ მიემართა:

„ნიქოზის ჩრდილოთ, დიდის ლიახვის კიდეზედ, არს მცირე ქალაქი ქცხილვანი, კეთილ-შაოვანი. მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი. გარემოს წალკოტოვან-ვენახოვანი, საზრდელით შაძღარი. ლიახუს გაღმა, აღმოსავლეთით ქცხილვანისა, ახტუდების მთა ტყიანი, და ეს მთა მიჰყვების ჩრდილოეთკენ მეჩლიბამდე“...

ვახტანგი ჯერ სალთვისის არხს აუყვა, ცხინვალი რომ გადაჭრა, ცოტა ხანს ლიახვის პირას ჩამოჯდა, მუხლი შეასვენა, დანაყრდა, ცივი წყლით გული გაიგრილა და ღვთისა და დეიდის წინაშე რომ მართალი ყოფილიყო, ტრანსპორტისკენ არც გაუხედია, გზა ფეხით განაგრძო.

„აჩაბეთს ზეით, კეხვს, არს, მთის კალთას, ციხე კეხვისა. და მთა ესე ახტუდების დასავლეთის კერძოდ, ქცხილვანიდამ და წარმოივლის ჩდილოთ, და კეხვს ზეით მოვიწროვდების კლდითა, და მერმე წარვალს დასავლით, და მიადგების პერანგის წარმოსრულს, წონისა და ფაწას შორისს. მთასა. და კუალად ქცხილვანიდამ წარვალს დასავლით, და მივალს ბეყმარამდე, ხოლო კეხვს ზეით, მოვიწროებულსა ზედა, არს ხიდი სვერისაკენ გამხვლელი, და ამ ხიდს ქუეით ხიდთა მუხრავს ლიახვი მტკიცესაცა. და გორიდან სუერამდე არიან ლიახვის იმიერ და ამიერ დაბნები ხილიან-ვენახიანნი. არამედ არს ღვინო თხელი და მომჟავო, სასმელად მშუენი“.

დეიდის ნათქვამი სიტყვები ვახტანგს ისეთნაირად ჩაჰქდომოდა თავში, აღარც ახსოვდა, ახალი წაავადმყოფარი, რომ იყო. შთაგონებამ ძალა შემატა, რწმენა ჩაუნერგა, სიმხნევე გაუათკეცა. რამდენიმე სოფელი მოკლედ გადაჭრა, სასაფლაოებზედაც შეიარა, უტყვ მოწმეთა გვარები ამოიკითხა. მარადიულ ძილს მიხცემოდნენ ქართველები, ებრაელები, ოსები...

„შემდგომად ჩინგიზ ყეენთა მოსვლისა, ბათო ყეენმან მოხრნა ოჭხეთი და მოაოხრნა, ხოლო ოვსნი შემოივლტოდნენ კავკასიათა შინა, და იწოდნენ სახელითა მათითა ხეობანი ესენი ესრეთ, ვითარცა აჩენს გუარნი მათნი, რამეთუ უწარჩინებულესნი გუარით არიან ოვსნი, და გუარნი ოვსთანი ესენი არიან: ბასიანი, ბადელიძე, ჩერქეზიძე, თაგაური, ქურთაული, სიდამონი და ჭახილიძე“.

მიხეილ ჯავახიშვილისა არ იყოს, პატარა სოფელს ან მივარდნილ კუთხეს მაშინ გაუვარდება ხოლმე სახელი, როცა იქ გამოჩენილი პიროვნება დაიბადება. ქართლში თამარაშენი სწორედ იმ ადგილთაგანია, რომლის წიაღშიც ივანე მაჩაბელი მშობლიური ენის მადლს ეზიარა, რათა შემდგომში, შექსპირის ნაწარმოებთა თარგმნისას, ძვირფასი განძი კვლავ ხალხისთვის დაებრუნებინა. გულსატკენი და შეურაცხმყოფელი იყო მხოლოდ დაქცეული სახლ-კარის, დარბეული კარმიდამოსა და გაველანებული ადგილ-მამულის ყურება, მისი ალალბედზე მიტოვება.

შუადღე გადავიდა, კეხვის მიწაზე რომ დადგა ფეხი. ვახტანგი ყველას სახეს არიდებდა, არ უნდოდა, ნათესავს ან შინაურს შეყროდა, ამიტომ, სოფლის გზაზე ცოტა ნაბიჯს აუჩქარა, ტყის ბილიკს კი ნება-ნება შეუყვა. აი, ის უკვე მამისეული სალოცავის, მომცრო ნიშის კედლებთან იდგა და თავისდა უნებურად გულში დაუფარავ სიხარულს გრძნობდა. უცებ რაღაც გაახსენდა. ჩანთიდან წყვილი სანთელი ამოიღო, მოუკიდა, დაიჩოქა, მყუდრო ადგილას დაამაგრა და თავჩაქინდრული დადგა. როცა სანთელი ბოლომდე დაიწვა, იმ ფერისცვალება დღეს, ულრან ტყეში ღვთის კართან მოსულ ერთადერთ მლოცველს, თითქოს ზურგიდან მძიმე ტვირთი ჩამოხსნესო, დასასვენებლად ერთ დიდ ლოდზე ჩამოჯდა. დეიდის დანაბარები და თავისი დანაპირები პირნათლად რომ შეასრულა, აღთქმული განხორციელებულად ჩათვალა, ზნეობრივად ამაღლდა, შინაგანად განიწმინდა და ცოტა შვებით ამოისუნთქა.

როცა ვალმოხდილი ვახტანგი ბილიკს დაუყვა, მთელი სხეულით იგრძნო, ლიტაოდ აყრილი ლატნარის, შინდნარის და ფიჭვნარის ნახვას რომ არაფერი ჯობდა, ფეხვმაგარი მუხების, ვეებერთელა ნაძვებისა და წიფლის კორომის ცქერით თვალი ტკბებოდა, გონება ისვენებდა, სული მაღლდებოდა, ფიქრი მატულობდა.

ტევრში გამეფებულმა სიმშვიდემ, სადაც მხოლოდ ფოთლების შრიალი და ნაირგვარი ფრინველების სტვენა ისმოდა, ნეტარება მოჰგვარა. მზე გადაიწვერა, სოფელში რომ ჩამობრუნდა. თავისიანებს ესტუმრა, კეხვში ჩამოსვლის ნამდვილი მიზეზი კი არავის გაუმხილა, არდადეგები მთავრდება, დედულეთს გამოვექეც და მამულეთს მოვაკითხეო.

კეხველები ფერისცვალებას უქმობდნენ და ოჯახებში პურ-მარილი ჰქონდათ გაჩაღებული. მოწიფულ ვახტანგს ღვინოს აძალებდნენ, ცდილობდნენ, მამიდაშვილ-ბიძაშვილებში ჩამოსული სტუმრისთვის როგორმე ეამებინათ, ხურდათ, ქალაქელ ბიჭს მათებურად მოელხინა. გულღია შეხვედრითა და გულუხვი მასპინძლობით მოხიბლული ვახტანგი აღტაცებას ვერ მალავდა, გრძნობა ერეოდა და. ხანდახან სადღეგრძელოს წარმოთქმისასაც კი ისეთ ამაღელვებელ ამბავს მოისმენდა ხოლმე, მალ-მალე გული უჩვილდებოდა. სამიოდ დღეში თითქმის მთელი საგვარეულო მოიარა. უკან აღარ უშვებდნენ, მოსვლა ხომ შენ მოიწადინე, წასვლა კი ჩვენი ნებააო.

კეხვის ციხის მონახულებისას თავიანთ გვარში ყველაზე დროული კაცის — ექვთიმე პაპის მონათხრობი გაიხსენა: მეფე სიმონ პირველი ოსმალებს რომ აუჯანყდა, ორგულ ვახტანგ მუხრანბატონს ამ კედლებში ამოაყოფინა თავიო. 1625 წელს, გიორგი საააკაძეს, სპარსელებთან ბრძოლის წინ, ეს ციხეც გაუმაგრებია. საუკუნეზე მეტი ხნის მერე მეფე თეიმურაზ მეორეს აუღია ციხე და თავგასული ფეოდალი გივი ამილახვარი დაუპატიმრებია. ლეკებს და სხვა მომხდურთაც მრავალგზის შებრძოლებიან ვახტანგის წინაპრები. ამიტომ წარამარა ინგრეოდა და კვლავ შენდებოდა კეხვის ციხის კოშკი, გალავანი, წყალსაცავი...

თავისუფლად და დამოუკიდებლად მოგზაურობის შემდეგ, დედულეთში მობრუნებულ ვახტანგს, მისდა უნებურად, ბევრი საფიქრალი გაუჩნდა, თავში ძალდაუტანებელი, შეუზღუდავი და თამამი აზრები მოუვიდა. ჯერ პირადი დაკვირვებით მიღებული შთაბეჭდილებები რად ღირდა: თუ ნიქოზელებს „ღვთაება“ და „მთავარანგელოზი“ ღვთისმოსაობას, სიმშვიდესა და „არა კაც ჰკლას“ ჩააგონებდნენ, კეხველებს დანგრეული ციხის კედლები სულ ერთთავად ბრძოლის, შეუპოვრობისა და შურისმაძიებლობისკენ მოუწოდებდნენ. თუ ერთი სოფლის უხუცესნი ასეთნაირად ჭკუას აგებდნენ, მეორე სოფლის ბერიკაცები და დედაბრები ამგვარად მოძღვრავდნენ თავიანთ შვილებსა და შვილთაშვილებს. ამნაირი სულისკვეთებით იზრდებოდა მომავალი თაობაც.

ასე მიჰყვებოდა ერთმანეთს დღეები, თვეები და წლები, ასე გადიოდა მონატრებული, სახურველი და ძნელად შესაღევი არდადეგები.

1980 წ.

# მედეა კახიძე

## რატომ

რატომ ამბობს სიტყვას ცალმხრივს,
ან ჯავრს ჩვენზე იყრის რაზე,
რატომ გვთათხავს ბრიყვი ხალხი
ყრილობიდან ყრილობამდე.
რატომ უნდა გადავცვალო
წყაროს წყალი მღვრიე რუში,
რატომ უნდა ვანაცვალო
ჩემს წმინდანებს სხვისა მრუში.
სხვათა ხელში შემომყურემ,
თვითონ სხვათა საპატრონომ,
ჩემეული ეზო-ყურე
რატომ უნდა გადატოროს. —
თავქეიფა, ვინმე ლოთი, —
ჩემი ბრძენი მამის შემდეგ,
ვის ცოდვებსაც ვერც კი მოვთვლი,
რატომ უნდა მარიგებდეს.
რატომ დადის ცრუ და მავნე
ჩვენს აკრძალულ გაზონებზე,
სხვათა ტანზე მოჭრილ თარგებს
რატომ უნდა გვაზომებდნენ?!
ან როდემდე ვაყმუვლებდეთ
ჩვენს ეზოში სხვისა ძაღლებს,
ან სეირის მაყურებელს
ვუტევებდეთ სისაძაგლეს.
ან როდემდე ოდა-სახლი
მივაქვავოთ უცნობ-ნაცნობს,
ბედის კვერი ჩვენი ხალხის
დროა, თავად ჩვენვე ვაცხოთ.
დროა, სულს სხვა აღარ გვხდიდეს,
დროა, ის ვინც მტრად გვასაღებს,
ანგრევს წლობით ნაწრთობ ხიდებს
და გვხდის ხალხის ყბადასაღებს.
დროა, ცრუ და ქვეშ-ქვეშ მძრომი
ღვარძლით სავსე დარბაზები,
აღარ გვთვლიდეს ქვეშევრდომად,
არ გვიტევდნენ გაბრაზებით.
დროა გულის ამოკივილს,
ჩვენს რაინდულ წესს და ჩვევებს,
აღარ ედოს ჯაჭვ-ბორკილი,
„გვეყუდნოდეს თავი ჩვენვე“.
ამ პატარა ქვეყნის მხრებმა
როგორ ზიდოს ცოდვა კრემლის,
რატომ უნდა აცხონ სხვებმა
საქართველოს ბედის კვერი.

●

ჩემი კუნძული დაწყევლილია,
გზა ჩახერგილი და წყვეტილია,
ყველა მდინარე დაწყვეტილია,
ყველა ყვავილი გაწყვეტილია.
მზით და სინათლით გადახუნძლული,
გლოვად დამჯდარა ჩემი კუნძული.
აივსო წვიმით ნისლოვანებით
ჩემი სამშობლო — მზის წლოვანების.
მაღალი ღმერთი არის მოწამე,
საკუთარ სახლში ჩვენვე გვხოცავენ.
ალბათ, ამაზე მძიმე დაცინვა,
არ არის, კაცს რომ გამოუგონო;
ძარღვებში სისხლი ისე გაცივდეს,
გესხას ფრთები და ეგდო უგონოდ,
გქონდეს მაღალი ცა და წყალ-ტბები
და გეშინოდეს თავის აწყვეტის;
გეკრძალებოდეს სუნთქვა უნილბოდ,
იყო გალიის ჩიტი უილბლო;
ათას საფიქრალ-საწუხილარით,
ყელზე წაჭერილ მარწუხ-ხვიარით,
მზეში განბანილ მიდამოებით,
გზა არ ირჩია ვინც დამონების;
ვინც მზისგან იღებს ფრენის გაკვეთილს,
ვერავინ ნახავს სასოწარკვეთილს,
რათა ათასჯერ დაჭრილ ნახმლევმა,
ათასჯერ შეძლოს თვალის ახელა.
მზით და სინათლით გადახუნძლული,
კვლავ დღეგრძელობდეს ჩემი კუნძული,
რომ კვლავ ღმერთების
ღვთიურ ნახელავს,
ჩემი სამშობლო ერქვას სახელად!

●

ბედნიერია,
განშორებას ვინც არ განიცდის,
ვისაც სამზეო ეჩვენება
თვალის მომჭრელად,
მადლობელი ვარ,
მწვანე მოლო, სისადავისთვის,
მადლობელი ვარ,
ვინც ცის თაღი ლალით მოჭედა.

ბედნიერია, ვინც მიფრინავს
დროზე სამხრეთით,
ვინც ასაფრენად
დროზე მისცა სხვას გაკვეთილი,
ვინც გვერდში მდგომის შეძახილით
ისე გამხნევდა, ცაში აყივლდა
მიწაზე სულ ხმაგაკმენდილი.
ბედნიერია,
ვინც შორი გზის შიში დაძლია,
პატარა ფრთებით,
დიდ მწვერვალებს გადაუარა,
გამოიმეტა შორი გზისთვის
თავი ხანგრძლივად,
დაბლა ხოხვაზე
სამუდამოდ ვინც თქვა უარი.
ბედნიერია, ვინც შეჰხარის
ცას, მზით ალანძულს,
ვინც თავმდაბლობით
ბალახებზე უფრო დადაბლდა,
საკუთარ თავზე ბედნიერი,
ვისაც არა სძულს,
და შეუძლია უჩურჩულოს
ზეცას ხმადაბლა.
მერცხლების გუნდი გაფრინდება
ხვალ-ზეგ სამხრეთით,
რომ ასაფრენად
კვლავაც მისცე სხვას გაკვეთილი,
მადლობელი ვარ, —
მაგ ყივილით ისე გავმხნევდი,
რომ აღარასდროს არ ვიქნები
ხმაგაკმენდილი.

●

ცა გულიდან
იწყვეტს ვარსკვლავს,
როგორც ოქროს ლილს,
განშორების მომსწრე ვარ კვლავ
და სიცოცხლე, ვიცი, აღარ ღირს.
როგორც ტყეში
დაკარგული ხარი შვინდა,
ველარ ვიღებ გეზს,
ზეცასავით პირშეკრული შევუშვილდი
სასაფლაოს სათავცემო გზებს.
ჩამქრალია არყის მწკრივი,
ცა ვერ მფუთნის მზით,
აღარც გზები გუდამაყრის,
ფანჯარასთან აღარც დედა ზის.
ზედ დაკვდომით დედის ნივთებს
დავფოფინებ, როგორც ოქროს ზოდს,
დედის კაბას
სხვათა ტანზე ჩაცმულს ვითმენ,
არაფრად რომ ედარდება ზოგს.
ლამის თავს ვერ მოვერიო,
ჯავრი ახლაც მხრავს.
გულგარეშე, როცა ქალი რომელიმე,
მეკითხება მოხუც დედის ხანს.
ახლა დედა გულზე ხელებდაკრეფილი,
ცივ მიწაში ჩაფესვილი წევს;
ასეთია რადგან ქვეყნის გაკვეთილი,
ვერ გადავალთ
ღვთისგან ნაკურთხ წესს.

●

ვთვლიდი ახლად აღმოჩენილს
მზეს, ატყორცნილს ატოციდან,
ვიდრე სიყვარული შენი
ვარსკვლავებში ამტყორცნიდა.
ვიდრე დროსთან მოკენწლავეს
ჩამქოლავდნენ სილა-ქვებით,
მე მეგონა ქვეყნად მწარე
იყო დედის სილაქები.
აღარ არის ჩემთვის უკვე
მკვდარი ჩიტი შესაცოდი,
რადგან შენს სულს
სანთელს ვუკმევ,
და ყველა გზა შენთან მოდის.
რადგან ჩრდილზე ულარიბესს,
არცრა დამრჩა გასაყოფი,
ისევ ცრემლებს თუ გავილებ,
მაგრამ ცრემლიც აღარ მყოფნის!
გადავვერცხლდი ერთიანად,
დროც დაბერდა სხვანაირად,
გული ველარ შეფრთიანდა,
სულ სხვას უკრავს სხვა დაირა.
გავასვენებ მოკლე წამებს,
სიზმრის გზებით შენსკენ ვილი,
ვით ხე — ქართან მოკენწლავე,
ყვითელ ფოთოლშერჩენილი!

●

ამ გზას,
რა ხანია მივჩვეულვარ,
ვიცი ყოველი ხე ნიშნეულად,
ვიცი, ბევრჯერ ღამე მოვა მდორე
და კვლავ შენს სიყვარულს
მომანდომებს.
შენ ჩემს სალოცავებს უღალატე,
მარტოს შემატოვე ულრან-ფლატე.
და მაგ მკლავებიდან გარდამოხსნილს
არ მწამს საამქვეყნო თვალსამოთხის.
თუმცა, დაგიქოლეს მზის სარკმელი,
მაინც ჩემს თვალებში ისარკები.
ახლა მაინც პირუჩუმრად სასჯელს იხდი
და მე ცრემლებს გიწვდი სასომიხდილს.
ვიცი, წინ გზა გიძევს სამოთხისკენ,
მისთვის უკან ველარ გამოგიხმე.
წახველ, მიატოვე მთა და ბარი,
მე კი შენთან ვის რა დავაბარო,
ან კი, ვინ თქვას ქვეყნის სიავკარგე,
ან ვინ მიმიხვდება — ვინ დავკარგე!



# ზაირა ბილიხოძე

●

უმადურობის
ცოდვა ადევს
ჯავას და ცხინვალს;
შორიდან ხმაი —
გვიმზადებენ რისხვას და ბორკილს!
ქარში ტორტმანებს
საქართველო
და შობის დილას
ეცემდავ, ეშვება ზეცით თოკი,
იუდას თოკი.

სისხლით წერს ერი
თავის მძიმე ბიოგრაფიას,
ვით წინაპარი —
ბასიანის,
ხრისის,
მარაბდის...
...თოკი ქანაობს,
სამაჩაბლოს ურვა ქარს მიაქვს,
მაგრამ არვინ ჩანს
მომნანიე
ულვთო ღალატის!...

●

დიდება ღმერთო!
სიონიდან გვიხმობს
ზარის ხმა!
თანდათან მთელი
საქართველოს
გუგუნიც ერთვის.
მაგრამ... ეს რაა...
ოშკი!
ზარზმაც!
— არ დაგავიწყდეთ!...
— გვეპოტინება
ყელგამშრალი
ტაო-კლარჯეთი!

●

წიწამურიდან
ბორეთამდე
გაწოლილ მანძილს
ქართველი კაცის
გაფანტული იმედი ჰქვია.
ადგილის დედა წუხს —
გასისხლულ მზის სუნი ასდის,
ვაი, სხეულო დალეწილო,
ვაიმე, ტყვიავ!...

წიწამურიდან ბორეთამდე
წყრომის სეტყვაა,
(ღმერთთან და ერთად! —
გვაფრთხილებენ სხალთის ზარები!),
ორი სვეტია —
ცოდვის ორი მეხთატეხაა,
— არ გაგვისამო,
ზეციერო, გემუდარებთ!

### ილია II-ს

**I.**

სურთ დაგვიგმანონ
ყველა ფანჯარა
იმედის.
რწმენის.
ოცნების.
ხსოვნის.
— მადლობა, ღმერთო.
ეს მეციხოვნე
მგრძნობელი ყოვლის
რომ მოგვივლინე!

**II.**

გზაჯვარედინი.
მარცხნივ ეშმა
ღიმილით ხვითოს.
სევდით გვიმზერს და
მარჯვნივ ჩუმად
დგას ანგელოსი.
— შევუდგეთ ქრისტეს!
— ქართველობა ჯვარცმაა თვითონ!
— ამაღლებაა!
გვმოძლვრავს მწყემსი
საქართველოსი.

**III.**

როგორც სამსჯავრო უზენაესი,
ყოვლის მიმხვედრი და განმკითხველი—
გვედრი, უფალო, გამითენე
უდიადესი
დღე!
რომ ჩემს თავზე,
გათანგულზე, ცამეტებულზე,
(გადიწრიალეს რაზეც ქარებმა),
ნუგეშად მისი დაეშვას ხელი —
ვით შეწყნარება!



# ერთი მცდარი „განმარტების" გამო

„ლიტერატურული საქართველოს" გასული წლის 23 მარტის ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი სტატია, სათაურით „გვჭირდება ამდენი მარქსიზმი?", რასაც 20 აპრილს მოჰყვა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანის პროფ. ო. გაბიძაშვილის საპასუხო წერილი „აუცილებელი განმარტება".

სამწუხაროდ, პატივცემულმა დეკანმა ყურადღება არ მიაქცია ჩვენი სტატიის ძირითად შინაარსს და კამათი გადაიტანა მეორეხარისხოვან საკითხებზე. გარდა ამისა, მან სტატია გაიგო არასწორად — პირად კრიტიკად და თავისი თანამდებობის ხელყოფად.

ჩვენს სტატიას რომ ეს ვიწრო მიზანი ჰქონოდა, მაშინ პასუხიც არ იქნებოდა საჭირო. სინამდვილეში, ჩვენ უფრო ფართო მიზანი გვქონდა და ამის შეხსენება პატივცემული დეკანისათვის აუცილებლად მივვაჩნია. მით უმეტეს, რომ მისი „განმარტების" თითქმის ყველა დებულება ან მცდარია, ან გაუგებრობისა და სინამდვილის დამახინჯების შედეგი.

ჩვენი სტატიის ძირითადი მიზანი კი იყო იმ სავალალო მდგომარეობის მხილება, რომელშიც აღმოჩნდა საზოგადოება ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გაბატონების გამო. ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის დროს კი ეს იდეოლოგია იქცა ამ რეჟიმის დამცველად, აპოლოგეტად, ხელისშემწყობად და მეხოტბედ. თავის მხრივ, ეს ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემა იცავდა და ზურგს უმაგრებდა ამ იდეოლოგიას.

განსაკუთრებით მძიმე დაღი დაასვა ამ იდეოლოგიამ შემოქმედებას, ლიტერატურას, ხელოვნებას, სადაც გაბატონდა ხელოვნურად შექმნილი მიმდინარეობა — სოციალისტური რეალიზმი. ნაწარმოები, რომელიც ოდნავ მაინც არ მიესადაგებოდა ამ მიმართულებას, მარცხისთვის იყო განწირული, ხოლო ავტორი იდევნებოდა, რაც ზოგჯერ ტრაგიკულად მთავრდებოდა.

ჩვენს სტატიაში გამოთქმული იყო აგრეთვე მოსაზრება, რომ ეს მავნე, აზროვნებისა და შემოქმედების შემზღუდავი იდეოლოგია გამოძევებული ყოფილიყო მისი უკანასკნელი თავშესაფრებიდან, როგორც შემოქმედების სფეროებიდან, ისე მეცნიერებიდან და განსაკუთრებით უმაღლესი სასწავლებლებიდან, რათა აღკვეთილიყო ჩვენი ახალგაზრდობისა და, საერთოდ, ჩვენი საზოგადოების აზრის განვითარების დამუხრუჭება და შებოჭვა.

პატივცემულმა დეკანმა მოხაზა იდეალური სურათი ჩვენს უნივერსიტეტში ფილოსოფიური დისციპლინებისა და ფილოსოფოსთა მდგომარეობის შესახებ წარსულში, სამწუხაროდ, მას „გამორჩა მხედველობიდან" ის სასტიკი რეპრესიები, რაც განიცადეს ჩვენი უნივერსიტეტის გამოჩენილმა მეცნიერებმა, ფილოსოფოსებმა და ნიჭიერმა სტუდენტობამ. გავიხსენოთ დაპატიმრება აკად. ნუცუბიძისა, დევნა აკად. ყაუხჩიშვილისა, გასახლება პროფ. მ. გოგიბერიძისა, რომელმაც შორს საქართველოდან, გადასახლებაში, სამშობლოზე ოცნებაში დალია სული; გავიხსენოთ პროფ. ს. დანელიას მძიმე მდგომარეობა, რომელსაც არ მიეცა საშუალება ახალგაზრდებისათვის გადაეცა თავისი უზარმაზარი ცოდნა ბერძნული ფილოსოფიისა, და იძულებული იყო, პრაქტიკული მეცადინეობები ეტარებინა რუსულ ენაში არარუსი სტუდენტებისათვის.

რაც შეეხება ლოგიკისა და ფილოსოფიის ისტორიის სწავლებას, ამ მხრივ, უნივერსიტეტში შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით რესპუბლიკის დანარჩენ უმაღლეს სასწავლებლებზე, სადაც თხუთმეტი ფაკულტეტიდან მხოლოდ ორ ფაკულტეტზე ისწავლება ლოგიკა და ფილოსოფიის ისტორია, რაც სრულებით არ არის დამაკმაყოფილებელი და არც შეესაბამება პატივცემული დეკანის მიერ დახატულ იდეალურ სურათს.

არაა მართებული მისი „განმარტება" ქართული ფილოსოფიის ისტორიის სწავლების მდგომარეობის შესახებ. იგი წერს: ქართული ფილოსოფიის ისტორია „ისწავლება ფილოსოფიის ისტორიის კურსის ფარგლებში". აქ პატივცემული დეკანი სიტყვას „ფარგლებში" ფართო მნიშვნელობით ხმარობს, გულისხმობს რა იმას, რომ თითქოს იკითხება სრული კურსი, სინამდვილეში კი, სხვა კურსის ფარგლებში არის ჩაწვეთებული სულ რამდენიმე, ზოგჯერ ერთი საკითხი ქართული ფილოსოფიის ისტორიიდან. ნუთუ ეს შეიძლება ჩაითვალოს ქართული ფილოსოფიის ისტორიის სწავლებად? — რა თქმა უნდა, არა.

ასევე მთლად ზუსტი არაა მისი „განმარტება" იმის შესახებ, რომ ქართული ფილოსოფიის ისტორიის კურსი იკითხება ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, თითქოს ფსიქოლოგებსაც ეკითხებათ და ფილოსოფოსებსაც. სინამდვილეში, ის ეკითხება მხოლოდ ფილოსოფიის სპეციალობის სტუდენტების ერთ ჯგუფს.

ამას გარდა, განა თვითონ არაა იმის მოწმე, რომ ოცი წლის განმავლობაში ვცდილობდი ჩამომეყალიბებინა რაიმე პატარა ჯგუფი, რომელიც მეცნიერულ მუშაობას აწარმოებდა ამ სფეროში, მაგრამ ჩემი ყველა ცდა აწყდებოდა გაუვალ კედელს და უშედეგოდ მთავრდებოდა. ამიტომ მისი „განმარტება", რომ „რაიმე გამოძევებაზე" ლაპარაკი „სრულიად უსაფუძვლოა" — მცდარია. მე ვიტყოდი, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ფილოსოფიის ისტორია არა მარტო გამოძევებულია, საერთოდ, უგულვებელყოფილიც, რაც არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნას, რადგან, ჩვენი ერის ეკონომიკური, პოლიტიკური და, საერთოდ, მეცნიერული აზრის აწმყოსა და მყობად განვითარებას უზრუნველყოფს ამ აზრის, ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა.*

მცდარია პატივცემული დეკანის „განმარტება" იმის შესახებ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმს არ ასწავლიან და არც ასწავლიდნენ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში.

სინამდვილეში, ამ დისციპლინას ასწავლიდნენ ადრეც, რასაც ადასტურებს 60-70-იან წწ. გამოცემული სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები და ქრესტომათიები. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გამოდიოდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სახელმძღვანელოები, რაც სხვა არა არის რა, თუ არა იგივე მარქსიზმი. კიდევ მეტი, უკანასკნელ ხანებამდე არსებობდა მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრები, ინსტიტუტები. უკანასკნელ ხანებამდე მარქსიზმ-ლენინიზმი ისწავლებოდა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის, უნივერსიტეტშიც, რასაც ადასტურებს ის უამრავი სახელმძღვანელო და ქრესტომათია, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის სახელწოდებით რომ გამოდიოდა, როგორც რუსულ, ისე ქართულ ენებზე. მხოლოდ სიტყვა „ფილოსოფიის" დამატება არ ნიშნავს იმას, რომ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია მარქსიზმი აღარაა — არაა მარქსისა და მისი მიმდევრების მოძღვრება. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის გვერდით, სხვა ჯგუფებში იკითხებოდა კურსები ცალ-ცალკე დიალექტიკურსა და ისტორიულ მატერიალიზმში.

პატივცემული დეკანი კი ვარაუდობს, რომ რადგან მარქსის მოძღვრება, ფილოსოფიის გარდა მოიცავს პოლიტეკონომიასა და მეცკომს, ამიტომ ცალკე აღებული მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია აღარ არის მარქსიზმი. რომ ეს ვარაუდი მცდარია, ვფიქრობთ, განმარტებას არ საჭიროებს.

ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი იცვლიდა სახელს, ის ისწავლებოდა ხან მარქსიზმ-ლენინიზმის, ხან მარქსიზმის, ხან მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, ხან მხოლოდ ლენინიზმის, ხან დიამატისა და ისტმატის, ხან მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის სახელწოდებით, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში მისი შინაარსი იყო ერთი და იგივე და ერთი კაცის მოძღვრება, „გენიალურად განვითარებული" ლენინის მიერ. ამით ვტვირთავდით სასწავლო გეგმებს, შეიძლება ითქვას, ვატყუებდით ახალგაზრდობას, ვითომ მთელ ფილოსოფიას ვასწავლიდით.

როგორც ჩანს, პატივცემულ დეკანს ებევრა ჩვენს მიერ ჩამოთვლილი მარქსისტული დისციპლინების რიცხვი. სამწუხაროდ, ჩვენი ჩამოთვლა სრული არ იყო. იგი უნდა შევსხო ისეთი დისციპლინებით, როგორიცაა მარქსისტულ-ლენინური ეთიკა, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა, მარქსისტულ-ლენინური ათეიზმი, დიალექტიკური ლოგიკა და სხვ.

პატივცემული დეკანი „განმარტავს", რომ დღეს უნივერსიტეტში აღარ იკითხება დიამატ-ისტმატი, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. თუნდაც იმავე ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, დღესაც იკითხება ზოგიერთ ჯგუფში სწორედ ეს საგნები. ის იკითხება აგრეთვე ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან ყველამ ვერ მოასწრო დროულად გადასულიყო ახალ სწავლებაზე მოსკოვიდან ბრძანების მოლოდინში.

პატივცემულ დეკანს „გამორჩა" მხედველობიდან ის, რომ დისერტაციების დაცვა უნივერსიტეტში კვლავ წარმოებს დიალექტიკურსა და ისტორიულ მატერიალიზმში, რომ დღესაც იმავე პროგრამით აბარებენ გამოცდას ასპირანტურაში და მინიმუმის ჩაბარების დროს. მაშასადამე, აქაც გამოცდები წარმოებს ისევ და ისევ მარქსიზმ-ლენინიზმში, ანუ მარქსისტულ დისციპლინებში, დიამატსა, ისტმატსა, მეცკომსა და პოლიტეკონომიაში.

განსაკუთრებით თვალში საცემია თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტის სასწავლო ცხრილი, სადაც კვლავ ფიგურირებს მარქსიზმ-ლენინიზმის არსენალიდან ამოღებული სახელწოდებები: „მარქსამდელი ფილოსოფიის ისტორია", „მარქსისტული ფილოსოფიის ისტორია", „დიალექტიკის თანამედროვე თეორიები", „მეცნიერების თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიები" და სხვ.

პატივცემული დეკანი ეძლევა ცრუ თვითდამშვიდებას და ცდილობს ჩვენც დაგვამშვიდოს, როცა გვარწმუნებს, რომ „დღეს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობენ არა დიალექტიკურსა და ისტორიულ მატერიალიზმს, არამედ ფილოსოფიის შესავალს". ჯერ ერთი, შესავალი ანუ ნაწილი არ ნიშნავს მთელს, ანუ მთელი ფილოსოფიის სწავლებას. აქ, რბილად რომ ვთქვათ, ნაწილისა და მთელის მიმართების ლოგიკის დარღვევასთან გვაქვს საქმე.

მეორე, საკმარისია ჩავხედოთ ამ „შესავლებში" და დავრწმუნდებით, რომ ისინი ისევ და ისევ ტრაფარეტული აზროვნების ტყვეობაში არიან, რის გამოც ტოვებენ საშუალებას ძველი, შაბლონური მარქსისტული კურსების საკითხავად.

პატივცემული დეკანი თავდაჯერებით აცხადებს: „ზედმეტად მივვაჩნია... მოთხოვნა, რომ... აღდგეს ფილოსოფიის ისტორიის ზოგადი კურსის სწავლება... ლოგიკის სწავლება".

ასე, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, ბატონმა დეკანმა ვეტო დაადო მეცნიერების ამ მნიშვნელოვან სფეროებს — ლოგიკას — დისციპლინას ადამიანის აზროვნების უზოგადეს კანონებზე და ფილოსოფიის ისტორიას — დისციპლინას კაცობრიობის ფილოსოფიური აზროვნებისა და მეცნიერების განვითარების შესახებ.

რაც შეეხება საზოგადოებრივ მეცნიერებას, ის ისევე, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმი, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები და ლენინიზმი, ისწავლებოდა 60-იან, 70-იან წწ. ამისათვის საჭირო იყო ბიბლიოგრაფიების გადახედვა. ბოლო ხანებში კი, მართალია, უპირატესად საშუალო სასწავლებლებში ისწავლებოდა, მაგრამ ეს რომ ჩვენთვის ცნობილია, ამას ადასტურებს ჩვენი სტატიის პირველივე ფრაზა, სადაც უმაღლესი სასწავლებლების გარდა, ნახსენებია საშუალო სასწავლებლებიც.

პატივცემული დეკანი „განმარტავს", რომ „არა მხოლოდ პროფესორ-მასწავლებლები... არამედ ფილოსოფიის სპეციალობის თვით სტუდენტებიც კი... ფილოსოფიურ თხზულებებს დედნებში კითხულობენ".

პატივცემულმა დეკანმა აქ აურია ერთმანეთში ორი მოვლენა — სტუდენტებისა და მასწავლებლების განსწავლულობა უცხო ენებში უცხოური ლიტერატურის სიუხვესთან. მისი ვარაუდით, იმ გარემოებით, რომ ჩვენში უცხო ენები იციან, შეიძლება იმის დამტკიცება, რომ უცხოური ლიტერატურა არ ქცეულა „უცხო ხილად". განა ცხადი არაა, რომ უცხო ენების ცოდნა და დედნებში კითხვა არ ადასტურებს უცხოური ლიტერატურის სიუხვეს.

ვისაც კი უმუშავია უცხო ლიტერატურაზე, დარწმუნებულა, რაოდენ ძნელია სწორედ ამ ლიტერატურის შოვნა. თვით მას რამდენი მივლინება გაუცია მოსკოვსა და ლენინგრადში უცხოური ლიტერატურის გასაცნობად; სამწუხაროდ, იქ ჩასულსაც არ ხვდება ის, ჩვენში რომ უცხოური ლიტერატურა უაღრესად მწირია. ერთი-ორი თარგმანი უცხოურიდან არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უცხო ავტორები ვთარგმნეთ, ისევე, როგორც ერთი მერცხლის მოფრენა გაზაფხულს ვერ მოიყვანს.

განსაკუთრებულ გაოცებას იწვევს პატივცემული დეკანის „განმარტება" იმის შესახებ, რომ „შეუძლებელია ლაპარაკი „რკინის ფარდის" არსებობაზე", რის გამოც ის ჩვენ პასუხისმგებლობასაც კი გვაკისრებს. სამწუხაროდ, ეს ფარდა არსებობდა და განაგრძობს არსებობას. ამის შესახებ იცოდა ყველმა საბჭოთა და თვით უცხოელმა მოქალაქემაც კი. ის „უცნობია" მხოლოდ პატივცემული დეკანისათვის. მაგრამ საკვირველია, როგორ შეიძლება არ სცოდნოდა მას საზღვარზე არსებული უამრავი საბაჟოების შესახებ, იმ უამრავი დოკუმენტაციის შესახებ, რაც სჭირდებოდა სოციალისტურ და, განსაკუთრებით, კაპიტალისტურ ქვეყნებში წამსვლელს. მართალია, ეს პროცესი ოდნავ გამარტივდა, მაგრამ სისტემა საზღვარგარეთ წასვლისა, ჭრჭრობით, იგივე დარჩა. პატივცემული დეკანი, როგორც მებრძოლი-ათეისტი, ამ მხრივ გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა, რაც, მიუწვდომელი იყო „უბრალო მოკვდავთათვის".

რაც შეეხება „ფილოსოფიის" ან „ფილოსოფიის შესავლის" სწავლებას, ვშიშობთ, რომ ამ საგნების შემოტანით, რჩება ღია კარი ისევ მარქსიზმის შემოსატანად. რადგან, ტოტალიტარიზმის პირობებში ჩვენმა ფილოსოფოსებმა ვერ შესძლეს საკუთარი ფილოსოფიური სისტემის შექმნა, რასაც დიდი დრო დასჭირდება. ხოლო, სანამ საკუთარ ფილოსოფიურ სისტემას შექმნიდნენ, მანამ გონივრული იქნება, ფილოსოფიის ისტორიისა და ლოგიკის სწავლება.

პატივცემული დეკანი ბრალს სდებს ჩვენს ახალგაზრდობას, თითქოს ის იბრძოდეს ფილოსოფიის წინააღმდეგ, სინამდვილეში, ჩვენი სტუდენტობა იბრძვის მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის წინააღმდეგ, რომელსაც შემოკლებით ფილოსოფიას უწოდებენ. ამიტომ, როდესაც პატივცემული დეკანი სტუდენტობის ბრძოლას მარქსისტული ფილოსოფიის წინააღმდეგ მიიჩნევს ბრძოლად საერთოდ ფილოსოფიის წინააღმდეგ, სინამდვილის დამახინჯებაა. ჩვენი სტუდენტობის ბრძოლა მარქსისტული ფილოსოფიის წინააღმდეგ, სამართლიანი ბრძოლაა და მას მხარი უნდა დაუჭიროს ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ჭეშმარიტება, აზრის, სიტყვის და შემოქმედების თავისუფლება.

გარდა ამისა, ვისაც აბარია ახალგაზრდობის აღზრდა, არ შეიძლება უსაფუძვლოდ უწოდებდეს ვინმეს „ფალსიფიკატორს". ეს ნიშნავს, წააქეზო ახალგაზრდობა, რომ ხვალ უფრო უხეშად ლანძღონ და დაამცირონ ადამიანები.

ვფიქრობთ, რომ დადგა დრო, როდესაც განათლების სამინისტროსაც და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობასაც უნდა ჰქონდეს უფლება, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, თუ რა ასწავლონ ან როგორ ასწავლონ ჩვენს ახალგაზრდობას და არ დაელოდონ მითითებებს „ზემოდან" ან „გარედან".

ჯერ კიდევ გვჭირდება ძალთა დაძაბვა იმისათვის, რომ კვლავ არ გაგვიბატონდეს რომელიმე ერთი იდეოლოგია, მსგავსად მარქსიზმ-ლენინიზმისა, რათა კვლავ არ შეიზღუდოს სიტყვის, აზრის, მეცნიერების თავისუფალი განვითარება.

თამარ კუკავა

* როგორც „განმარტება", ისე ჩვენი პასუხი ემყარება 1989-90 სასწავლო წლის მასალებს.



## ჩვენი მილოცვა

# თამაზ ჭილაძე—60

დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს თამაზ ჭილაძეს. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაშია ნათქვამია:

ძვირფასო, ბატონო თამაზ!

საქართველოში მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში, დაბადების 60 და ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავს.

თქვენ შემოქმედთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნით, რომელიც, ფაქტიურად, განსაზღვრავს თანამედროვე ქართული მწერლობის დონეს და ამდიდრებს მის საგანძურს.

მრავალმხრივი, ფრიად ნაყოფიერია თქვენი შემოქმედება. ერთნაირი ძალმოსილებით მოღვაწეობთ პოეზიის, პროზის, დრამატურგიისა და ესეისტიკის ჟანრში.

თქვენი პოეტური კრებულები („ღია სარკმელი“, „ივლისი“, „მზის საათი“, „მახსოვრობა...“) იმთავითვე მოექცა ქართველი მკითხველის ყურადღების ცენტრში. და ეს არ იყო შემთხვევითი ფაქტი, რადგანაც თქვენი პოეტური ხილვები, პოეტური სახეები განსაკუთრებული ძალითაა დამუხტული. თქვენი პოეტური მზერა შეუმჩნეველს არ ტოვებს არცერთ პოეტურ განწყობილებას, ნიუანსს თუ სულის ამაღლებულ მდგომარეობას. პოეტური მეტყველების ხაზგასმული ექსპრესიულობა თქვენი პოეზიის არსებით ნიშანს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეთ თანამედროვე ქართული პროზის განვითარებაში. თქვენი მოთხრობები და რომანები, ისეთები, როგორიცაა „აჰა, მიიწურა ზამთარი,“ „თეთრი კვამლი,“ „პოსეიდონის სასახლე,“ „აუზი“, „წერო,“ „მდგმურები,“ „გ...ეირნება პონის ეტლით,“ „ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე“ და სხვები დამსახურებული აღიარებით სარგებლობს. ამ ნაწარმოებებს აერთიანებს ავტორისეული პოზიცია და მსოფლმხედველობა, რომლებიც პერსონაჟთა პოზიციასა და მსოფლმხედველობის გვერდით დამოუკიდებელი ფენომენის სახით არსებობს, ძალზე გამოკვეთილია საერთო ქსოვილში. პიროვნების ჩამოყალიბების რთული პროცესი, საზოგადოებაში საკუთარი ადგილის პოვნა, ცხოვრების არსის გარკვევის ცდა — აი, ის პრობლემები, რომლებიც თქვენს რომანებსა და მოთხრობებს ერთიან რკალში აქცევს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი, როგორც დრამატურგის, მოღვაწეობა. თქვენი პიესები („მკვლელობა,“ „დავიწყებული ამბავი“, „ბუდე მეცხრე სართულზე,“ „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის,“ „ჩიტების ბაზარი“, „ნაზვის დღე,“ „ელისაბედ, ელისაბედ!“) თავისი მხატვრული ღირებულებითა და ეთიკური პრობლემატიკით უაღრესად თანამედროვე ნაწარმოებებს წარმოადგენს. სწორედ თანამედროვე ადამიანის სულიერი ცხოვრება ირეკლება პერსონაჟთა სახეებში, რომელიც ბევრ პრობლემაზე დაგვაფიქრებს და XX საუკუნის მიწურულის მოქალაქის სულის იდუმალ ხვეულებში გვახედებს.

თქვენი ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები ყოველთვის გვაზიარებდა რაღაც ახალს, მანამდე შეუმჩნეველსა და აუხსნელს. თამამი ანალიზი, თამამი დასკვნები და ახალი მოტივების დაძებნის უნარი გამოგარჩევთ მუდამ. ერთნაირი გატაცებით წერთ ლიტერატურაზე, თეატრზე, მხატვრობაზე და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ერთმანეთისაგან განუყრელად აღიქვამთ ხელოვნების ამ სფეროებს.

თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ისინი არაერთხელ აღინიშნა ლიტერატურული პრემიებით.

წლების მანძილზე ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევით. სხვადასხვა დროს მუშაობდით ჟურნალ „ცისკრის“ განყოფილების გამგედ, რუსთაველის პრემიების კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარ რედაქტორად, მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად და მუდამ ღირსეულად, ემსახურებოდით ქართულ მწერლობასა და ხელოვნებას. თქვენი ინიციატივითა და ძალისხმევით დაარსდა ბიჭვინთის დრამატურგთა სემინარი, რომელმაც არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედი გამოავლინა.

ძვირფასო თამაზ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, დღეგრძელობას და მრავალ... გისურვებთ ჭეშმარიტ შემოქმედს და ღირსეულ მოქალაქეს ჩვენი ქვეყნისას.

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა**

# პატიოსნების ღმერთს ვერთგულობთ და ვემსახურებით

ჩემო თამაზ! სრულიად განსაკუთრებულ ვითარებაში მიხდება მოგესალმოთ და მოგილოცოთ დაბადების 60 წლისთავი. ამ ხუთიოდე წლის წინ მობერილმა „განახლების ქარმა“ შვება გვაგრძნობინა და დიდი იმედებითაც აგვავსო. ეჭვიც არავის ეპარებოდა, რომ დადგა დემოკრატიულ ძალთა აღმავლობის ხანა, ერთა თვითგამორკვევის დრო. მაგრამ გამოხდა ხანი და საქართველოშიც, ისე როგორც საბჭოთა იმპერიის სხვა რესპუბლიკებში, რომელთაც მოისურვეს იმპერიის უღლის გადაგდება, როგორც ხედავთ, „სისხლის წვიმები“ წვიმს. „ცაში, ვით ტბაში, ტივტივებს ლიტვაო“, წერდით ადრე... დღეს კი... ლიტვა სისხლში ტივტივებს. ეს უკვე თავისუფლებისათვის თავგანწირული ბრძოლაა იმ პატარა ერებისა, რომლებსაც — „ერთნაირად არ გვემეტება ეს ვარსკვლავები შორიზე შორები, ვით წინაპართა სისხლის წვეთები მიწიდან სულში განაყოფნები!“ „პერესტროიკა“ იმპერიის სამსახურში ჩადგა.

მაგონდება ახალგაზრდა პოეტთა შემოქმედებისადმი მიძღვნილი თქვენი წერილის ერთი ადგილიც, ასე რომ ეხმიანება დღევანდელობას: „ახლა საქართველოში წარმატებით ილვწის პოეტების ახალი თაობა. როდესაც ეს პოეტები ბავშვები იყვნენ, მაშინ მთელ მსოფლიოში ომი მძვინვარებდა. ისინი რომ ომობანას თამაშობდნენ, მათი თამაში სინამდვილეს ჩამოგავდა, რადგან ნამდვილი ომით იყო შთაგონებული. სცოდდათ, შიოდათ და მაინც დილიდან საღამომდე დაუღლელად თამაშობდნენ — ომობდნენ, დიახ, ეს უკვე თამაში აღარ იყო. ...როდესაც დღეს ბავშვების თამაშს ვუყურებ, მიხარია, რადგან ეს ნამდვილი თამაშია და არა ბრძოლა“.

სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა ბავშვების ნამდვილი თამაში. ისინი კვლავ შეუპყრია საკუთარი ცის ქვეშ საკუთარ სახლთა გადაწვის, მამების შინ არდაბრუნების შიშს, მშობლიური მიწიდან აყრის დამამცირებელ გრძნობას და ქვეყანაში დღეს გამეფებულ ყოვლისმომცველი უმწეობის განცდას (ამჟამად ვგულისხმობ შიდა ქართლში დატრიალებულ ტრაგედიას). „რეკავენ ქარში სამრეკლოები და ნასანძრალში ყრმები ტირიან“...

ჩვენში დღეს შინაომია გაჩაღებული, ნამდვილი ომი, ომთაგან ალბათ ყველაზე მძიმე და ყველაზე შეურაცხმყოფელი, რადგანაც შენსავე ჭერქვეშ შენს მიერ შეხიზნული გებრძვის იმპერიისაგან წაქეზებული და გულმოცემული. „მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება, სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!“ დიახ, გვიადვილდება ჭირთა თმენაც, იმპერიის ხრიკებისაგან შეჭირვებაც საბოლოო დიდი მიზნისათვის — თავისუფალი საქართველოსათვის!

აი, ასეთ შემაძრწუნებელ, მაგრამ დიდებულ ჟამს მიხდება ღირსშესანიშნავი თარიღის მოლოცვა თქვენთვის, რომელიც გვეუბნებით, — „მე ვმღერი ახლა, არა მაქვს ცრემლი, რადგან წინაპრებს არ უტირიათ“, რომ „ყველაფერი ახლა იწყება“... დიახ, ახლა იწყება ის, მამულისათვის შემართება და თავგანწირვა რომ ჰქვია... „არ ყოფილა, არც იქნება ჩვენი ციხე ნაციხარი, ჩვენი სახლი ნასახლარი, ჩვენი სული ნაწიხლარი...“. არ იქნება, რადგანაც ჩვენ, ქართველთა, „სხვა ღმერთი გვყავდა პატიოსნების“! პატიოსნების სხვა ღმერთი გვყავდა, ჩემო თამაზ, და დღემდე ჩვენც იმ ღმერთს ვერთგულობთ და ვემსახურებით!

სიდინჯე, მოვლენათა ფილოსოფიური სიმაღლეებიდან ჭვრეტა (რაც ზოგჯერ სიტუაციებით დაბნეულ თვისტომთა შეწყნარებასაც გულისხმობს უეჭველად!) უდავოდ თქვენი ნატიფი სულის, არისტოკრატული ბუნებისა და სამაგალითო აღზრდის ნაყოფია!

როდესაც ახალგაზრდებმა ქართველ მწერლებს ეროვნულ მოძრაობაში ინდიფერენტიზმი გვისაყვედურეს, ერთხელ კიდევ გამაოცა იმ მიმტევებლურმა ღიმილმა, სახეზე რომ დაგეფინათ. „დანა და ტყვია და შხამის წვეთი მეტისმეტია, ოჰ, მეტისმეტი. ერთი ჩურჩულით ნათქვამი სიტყვა, ერთი გულგრილი ნათქვამიც კმარა, რომ შეამტვრიოს ამ გულის კარი დანაზე უკეთ, ტყვიაზე ჩქარა!“ „მადლობელი ვარ, უფალო, რადგან არ მომაკელი ცეცხლი და კუპრი“! — ესეც თქვენ ბრძანეთ.

დიდხანს, დიდხანს იცოცხლეთ, რომ თქვენი ნიჭი კვლავ მოახმაროთ საქართველოს, რომელმაც, აჰა, „აღისრბოლა ვითარცა არწივმან“ ჭილყვავთა გუნდში „შთასაბრიალებლად!“

**ანა კალანდაძე**

# ფიქრი, რომელიც არ ბერდება

თამაზ ჭილაძეს — პოეტს, დრამატურგს, პროზაიკოსს, შესანიშნავ ადამიანს — ვულოცავ კეთილად ჩავლილ 60 წელიწადს. ერთი და იგივე გზა ხან რა მოკლე და ხანაც რა მომქანცველი გეჩვენება, მაგრამ მთავარი მაინც ფიქრია, შენს საქმეს რომ დაახარჯავ კაცო, ფიქრი, რომელიც არ ბერდება და არასოდეს არა გავს სხვისას.

მხიბლავს თამაზის და ოთარის ძმობა — ორი ძლიერი პიროვნება, ორი განსხვავებული შემოქმედი და ერთმანეთის ისეთი განუყოფელი ნაწილი, რომ ერთზე საუბრისას მეორე აუცილებლად გაგახსენდება.

მე ბევრი სასიამოვნო წუთი მახსოვს თამაზთან ერთად მუშაობის. გავიხსენებ თუნდაც „თავფარავნელის ბალადას“.

თეატრალურ ინსტიტუტში სტუდენტებთან რამდენჯერ ამიღია „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“ და იმდენი მიმუშავია, თითქოს რამდენჯერმე დავდგი კიდეც ეს პიესა.

არ ვიცი, რატომ არ, თუ ვერ დავდგი „მკვლელობა“. ძალიან მომწონს, ბევრჯერ ვიფიქრე მასზე, მაგრამ ვერასოდეს ვერ ვპოულობ პასუხს კითხვაზე — რატომ? არ ვიცი...

თანამედროვე ქართველ დრამატურგთაგან თამაზ ჭილაძე, ალბათ ყველაზე ახლოსაა ჩემს ბუნებასთან, თავისი სულით. ხშირად მიტრიალებს წარმოსახვაში მისი მოთხრობები, რომლებიც საოცრად დრამატურგიულნი არიან.

მახსოვს, რა დიდი სიამოვნებით ვეხმარებოდი გიზო ჟორდანიას, როცა იგი რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე „აკვარიუმს“ დგამდა.

რატომღაც მგონია, რომ ჩვენი — დრამატურგისა და რეჟისორის შეხვედრა მაინც მოხდება. ეს ჩემი სურვილია.

მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა თამაზ ჭილაძეზე, როგორიც მე ის დრამატურგთა სემინარზე ვნახე.

არაფერია იმაზე იოლი, ახალგაზრდა კაცს უთხრა, შენი პიესა კარგია, ან ცუდიაო. უფრო ძნელია, მოჰკიდო ხელი და ფრთხილად გაატარო იმ ურთულეს გზაზე, ეროვნული დრამატურგია რომ ჰქვია.

ჩვენი თეატრების რეპერტუარებში მოზღვავებული ახალი ტალღა, რომელიც მჭერა, მალე თვისობრივად ახალ სახეს მიიღებს, პირველ ბიძგს იმ სემინარებიდან იღებს, რომელიც თამაზ ჭილაძის პირმშოა.

კიდევ ერთხელ ვულოცავ თამაზს ამ თარიღს, საუკეთესო სურვილებით.

**მიხეილ თუმანიშვილი.**

# გმადლობთ, ოსტატო!

1981 წელი... აქედან მოყოლებული დღემდე არსებობს ბიჭვინთის დრამატურგთა რესპუბლიკური სემინარი. მისი სულისჩამდგმელი და უცვლელი ხელმძღვანელი ბატონი თამაზ ჭილაძე გახლავთ. ამ ათი წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ გადაფასდა, მაგრამ საბედნიეროდ არიან პიროვნებები, რომლებიც პატიოსნად ემსახურებიან თავის საქმეს და წარსულს უშიშრად უსწორებენ თვალს, რადგან ზნობრივი და მარადიული ჭეშმარიტებისადმი ერთგულებით წარმართავენ თავიანთ ცხოვრებას. ასეთ ბედნიერ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნის თამაზ ჭილაძე.

ჩვენში ბევრი კეთილი საქმე წამოწყებულა, მაგრამ ხშირად ჩანასახშივე ჩამკვდარა, ეს სემინარი კი, რომელიც მრავალთაგან სრულიად სამართლიანად თამაზ ჭილაძის სემინარად მოიხსენიება, უკვე ათ წელს მიითვლის.

ამ წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია:

გაჩნდა დრამატურგთა ახალი სახელები, გამრავალფეროვნდა რესპუბლიკის თეატრების რეპერტუარი, გამომცემლობა „მერანთან“ დაარსდა ალმანახი „დრამატურგია“. პრინციპულმა დევიზმა — „დრამატურგია ლიტერატურაა“ —(სამწუხაროდ ამას ჩვენში ხმამაღალი მტკიცება სჭირდებოდა) თავისი არსებითი როლი შეასრულა.

ყველა ამ სიკეთეს გამოჩენილი დრამატურგის სახელი არ ეყოფოდა. ბატონ თამაზში შერწყმულია მეტრის, ლიდერისა და ოსტატის თვისებები, რომლებიც ეყრდნობა მრავალმხრივ ერუდიციასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

საოცრად მომხიბლავია და მრავლისმომცველი მისი იმპროვიზებული საუბრები სემინარის მსვლელობის დროს. სამაგალითოა ურთიერთობა უმცროს კოლეგებთან. მისმა პრინციპულმა დამოკიდებულებამ საქმისადმი არა მარტო პროფესიული დონე შესძინა სემინარს (სადაც კოლეგებს შორის კრიტიკული დამოკიდებულება საწყენად არ აღიქმება), არამედ შექმნა მეგობრული განწყობილება, რომელიც გადაიზარდა ღირსეულ ურთიერთობებში.

ყოველივე ამისათვის დიდი მადლობა, ბატონო თამაზ!

გვიხარია თქვენი სიმხნევე, გულგაუტეხელობა, შემოქმედებითი მიღწევები.

ღმერთმა თქვენნაირი მამულიშვილები უმრავლოს საქართველოს.

**ახალგაზრდა დრამატურგთა ბიჭვინთის სემინარის მონაწილენი**

# მისი პოეტური სამყარო

მინდა მადლობა გადავუხადო გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“, რომ მომცა საშუალება, გამოვთქვა ჩემი სიყვარული, მეგობრის ღირსშესანიშნავი თარიღის დღეს.

თამაზ ჭილაძეს ვუსურვებ დღეგრძელობას და სულიერ სიმტკიცეს ჩვენს მძიმე დროში (ეს უკვე ტრივიალური გახდა — ყველაფერს დროს ვაბრალებთ, მაგრამ არც მთლად ტყუილი უნდა იყოს). ადრე ჩვენ უფრო ხშირად ვხვდებოდით და გაუმეორებელი, წარმტაცი დღეები გვაქვს ერთად გატარებული. იმ პოეტურ სამყაროში, რომელშიც ცხოვრობენ, უყვართ, დროს ატარებენ, იტანჯებიან, სცოდავენ, იმედით თუ უიმედოდ შესცქერიან მომავალს მისი ნაწარმოების გმირები, ბევრია შემჩნეული და განცდილი მაშინ, როდესაც ახალგაზრდები ვიყავით და ბევრი რამ ჩვენი წარმოდგენებიდან ყალიბდებოდა მხოლოდ.

იმ თავბრუდამხვევ კალეიდოსკოპში, რომელსაც თანამედროვე სულიერი ცხოვრება წარმოადგენს დომინირებული ტენდენცია, თუ შეიძლება ითქვას, წამყვანი თემა, პიროვნების, კულტურის კრიზისულობაა. ეს ბადებს უიმედობას, კატასტროფული წინასწარმეტყველების, ნიჰილიზმის, საყოველთაო ნგრევისა და დაშლის განწყობილებებს, თამაზ ჭილაძე შემოქმედთა იმ ნაწილს წარმოადგენს, ვინც ცდილობს გზის გაკვლევას, ფასეულობათა შენარჩუნებას, ჩვენი ძველი კულტურის გადარჩენას. ამ მისიას იგი ასრულებს იშვიათი სულიერი გრაციით. მის ნაწარმოებებს ვერ დაარქმევ ოპტიმისტურს, ყოველ შემთხვევაში საბჭოურ ყაიდაზე. მას სხვა საწყისები აქვს: ქართული ლიტერატურა და კულტურა, მისი დრამატული ისტორია, საყოველთაო კულტურული ფასეულობანი, თანამედროვე ძიებანი მსოფლმხედველურ თუ ფორმის სფეროში. აი არასრული ჩამონათვალი იმ ფუძეებისა, საიდანაც დაიბადა მისი პოეტური სამყარო, მისი წუხილი, მღელვარება და რაც მთავარია, სიყვარული საწინდარი და პირობა ყოველივე მნიშვნელოვანის და ამაღლებულისა.

ზურაბ ნიჟარაძე

# მწერლის ცხოვრების წესი

რასაკვირველია, ჩემს თავს უფლებას არ მივცემ ანალიზი გავუკეთო ჩვენი სახელოვანი პროზაიკოსის, პოეტის, დრამატურგის, პუბლიცისტის თამაზ ჭილაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ადგილი მივუჩინო მის შემოქმედებას. მკვლევარებისათვის მიმინდვია ეს დიდი და საპატიო საქმე.

დღეს 60 წლის თამაზ ჭილაძეს მინდა მადლობა მოვახსენო მისი პირნათელი, ნაყოფიერი, საზოგადოებრივი ყურადღებით აღბეჭდილი, ჭეშმარიტად მწერლური მოღვაწეობისათვის.

თამაზ ჭილაძე მთლიანი, კეთილშობილი, ღრმად განათლებული პიროვნებაა, ფართო გაქანების მოღვაწეა, ერუდიტია. ამ თვისებების გამო იგი განეკუთვნება ერისათვის ძვირფასი, სამაგალითო ადამიანების ვიწრო წრეს.

თამაზ ჭილაძემ ღირსეულად იარა ჩვენი ცხოვრების მრუდე გზებზე. მას არასოდეს უღალატია მაღალი ზნეობრივი თუ პროფესიული კრიტერიუმებისათვის, თავისი რომანტიკული იდეალებისათვის, რისთვისაც ღრმა პატივისცემას იმსახურებს.

თამაზ ჭილაძე ჭეშმარიტი პატრიოტია და ნამდვილი ინტელიგენტი. ამას ცხადყოფს ის დიდი ეროვნული სულისმიერი ტკივილი, რითაც გამსჭვალულია მისი ცხოვრების წესი, მოვლენებისადმი დამოკიდებულება, მწერლური მრწამსი, მგზნებარე პუბლიცისტური მოღვაწეობა...

დღეს 60 წლის თამაზ ჭილაძეს ამ ტკივილისათვის მინდა მადლობა მოვახსენო და დავულოცო მომავალი ცხოვრების გზა.

გია ყანჩელი

# გულისწუხილიანი სიმართლე

თამაზ ჭილაძეს ამ დღეებში დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. ეს საიუბილეო თარიღი მხოლოდ ახლობლებისა და მეგობრებისათვის კი არა, ვფიქრობ არ ვცდები, მისი შემოქმედების მოყვარულთა და პატივისმცემელთათვისაც დიდად მნიშვნელოვანია, ასე მრავლად რომ ჰყავს ჩვენშიც და საქართველოს ფარგლებს გარეთაც. მწერალი ვალმოხდილი, პირნათელი ხვდება თავისი ასაკობრივი სიმწიფის თარიღს, რაკი ერთგულადაც ემსახურა თავის ერს, მის კულტურას, სულიერებას და თანაც, რაც განსაკუთრებით დასაფასებელია, მიუხედავად საბჭოური მძიმე, დამთრგუნველი ვითარებისა, არასოდეს უღალატნია, თუნდაც იოტისოდენად, საკუთარი გულისთქმისათვის, ჭეშმარიტი მწერლის მოწოდებისათვის, მართლისმთქმელობისათვის.

თამაზ ჭილაძე 50-იანი წლების ძლიერ შემოქმედებით ტალღას მოჰყვა ქართულ მწერლობაში, უფრო ზუსტად, კი არ მოჰყვა, თავად იყო ამ ტალღის ერთერთი ამზვირთებელთაგანი. თავის თანამოძმეებთან, „ცისკრელებთან“ ერთად, მანაც შეუწყო ხელი ქართული მწერლობის გამოფხიზლებას, რომელიც იმ დროისთვის უფრო ხან თვლემდა და ხანაც თვალაჟუჟუნებული მისჩერებოდა ცხოვრების მდინარებას.

თამაზ ჭილაძე მკითხველებთან კონტაქტს მხოლოდ ნაწერით ამყარებს და ამას სჯერდება. მე არ მახსოვს თამაზ ჭილაძის მონაწილეობა იმ ხშირ შეხვედრებში, მკითხველებთან რომ იმართება, ან მისი გამოსვლა ტელევიზიით, რასაც სხვები აქტიურად და წარმატებით იყენებენ. იგი თითქოს განმარტოებულია, მაგრამ ეს განმარტოება მოჩვენებითია. უბრალოდ, თამაზ ჭილაძის ცხოვრების წესი ჩუმი და საქმიანია, მისი ურთიერთობა სხვებთან მხოლოდ სიტყვის მეშვეობით ხდება. ასეთია იგი მაშინაც კი, როცა საქმე უშუალოდ მწერლობას კი არა, საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეხება. მას კი დიდი ამაგი მიუძღვის ლიტერატურულ და თეატრალურ საზოგადოებებზე, შემოქმედებით ახალგაზრდობაზე, იგი ცნობილია თავისი რედაქტორული გამოცდილებითა და ნიჭითაც. და მაინც, ამას ყველაფერს იგი ჩუმად, უხმაუროდ, ნაყოფიერად აკეთებს და აკეთებს. თამაზ ჭილაძეს კიდევ ერთი და სამწუხაროდ იშვიათი განსაზღვრება ეთქმის, იგი თავისი შემოქმედებითაც და ცხოვრების წესითაც ინტელიგენტია. ამ სიტყვის ნამდვილი, ჭეშმარიტი მნიშვნელობითაც და იმ მაღალი მოვალეობითაც, რასაც იგი ადამიანს აკისრებს.

როცა 60-80-იანი წლების მწერლობის სიახლეებზე ვლაპარაკობთ, ერთერთ ამოსავალ საფუძვლად სწორედ თამაზ ჭილაძის შემოქმედებაც გვესახება. აქ გამოჩნდა ნათლად, ხელშესახებად ურბანისტული სული და მისი ერთი მთავარი ტენდენცია ადამიანის გაუცხოების ტერმინით რომაა ცნობილი, ფსიქოლოგიური ანალიზის მოჭარბება, მორალურ-ეთიკური პრობლემატიკით გატაცება, „პატარა ადამიანის“ ბედ-იღბლით დაინტერესება და ბევრი სხვა რამ, რაც ასე შესამჩნევად მოეძალა თანამედროვე მსოფლიო პროგრესულ მწერლობას ამ საკითხთა აქტუალობის წყალობით. ყოველივე ეს ქართულ მწერლობაში მკვეთრად და ძლიერად თამაზ ჭილაძის შემოქმედებაში გამოიხატა. ამან ერთგვარად განსაზღვრა მისი სტილის თავისებურებაც, რასაც დაემატა ღრმად ორიგინალური მხატვრული აზროვნება და ხელწერა მწერლისა.

თამაზ ჭილაძეს არ უყვარს მკითხველისათვის შეღავათების მიცემა და ამიტომაც მისი მოთხრობებიც, რომანებიც და პიესებიც ძნელი, მძიმე საკითხავია. ამ გარემოებას კიდევ უფრო საგრძნობსა ხდის ისიც, რომ მწერალს არც მნიშვნელოვანი ამბის მოყოლა უყვარს, როცა სიუჟეტის განვითარება თავისთავად იპყრობს მკითხველის ყურადღებას. მისთვის ძირითადი და მთავარი ადამიანის სულიერი მდგომარეობის მხატვრული ფიქსაციაა, მისი შინაგანი, უხილავი განცდების რკვევაა.

მე მგონი, თამაზ ჭილაძის ნაწარმოებებში ჩანს, გამოსჭვივის სიტყვასთან რა ჭიდილით იწრთობიან ისინი, აქ ისეთი სიზუსტით მიგნებულ ფსიქოლოგიურ ნიუანსებთან გვაქვს ხშირად საქმე, რომ ამის ჯერ მიგნებას, მერე კი მართლად, დამაჯერებლად გადმოცემას და სრულად გახსნას, ნიჭთან ერთად, დიდი გულმოდგინებაც სჭირდება. ამას ისიც ემატება, რომ მარტო სათქმელი კი არ არის უჩვეულო და რთული, მისი გამოხატვის ფორმებიც ხშირად გართულებული აქვს ავტორს და, ცხადია, ეს მხოლოდ მის პროფესიულ ოსტატობაზე კი არ მეტყველებს, არამედ სიძნელეების დაძლევის ჟინზეც.

ეს სიძნელეები თვითმიზნური არ არის. თამაზ ჭილაძე ამ ძნელ გზას იმიტომ კი არ ირჩევს, რომ თვითონაც გაირთულოს ცხოვრება და მკითხველსაც გაურთულოს. არა, თავისი გმირების ხასიათების გასახსნელად რაკილა იგი ნაკლებად იშველიებს მოქმედებას, ამბის განვითარებას, ამიტომ ხშირად მიმართავს მეტაფორულ აზროვნებას, სიმბოლიკას, ასოციაციებს, გახსენებებს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებს, რომელთაც დიდი დატვირთვა ეძლევათ და სადაც ადამიანის სულის მოძრაობის ნიუანსები ძალდაუტანებლად, შეფარულად არის მინიშნებული, სადაც მეტად საჭირო, აუცილებელ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ამოვიკითხავთ და ასე ნელნელა, თანდათან წვრილ მძივებად აიკინძება დიდი და მთავარი სათქმელი.

მწერალი არასოდეს ცდილობს თუნდაც უვნებლად მოგვატყუოს, არ გვიყრის საკენკს, რომ თავისი მარცვალიც შემოგვაპაროს, არასოდეს გვიიოლებს ამოცანას. მას ღრმად სწამს, რომ მეტად სერიოზულ საკითხებზე გვესაუბრება და ჩვენც ასევე უნდა გვქონდეს უნარი სერიოზულად ვუგდოთ ყური, ან უნდა გამოვიმუშაოთ ეს უნარი, თუ გვინდა ჩვენივე, მკითხველების, აზროვნების თუ განცდის დონე ამაღლდეს და გამძაფრდეს.

აი, ასეთი მიზანდასახულებაცა და ხასიათიც განაპირობებს იმას, რომ თამაზ ჭილაძის შემოქმედებას ე. წ. „ინტელექტუალურს“ ვუწოდებთ. ასეთ მწერალს კი ყველაზე მეტად მოეთხოვება ის საყოველთაო სავალდებულო რამ, რასაც ზომიერების გრძნობა ჰქვია, რადგან ამისი ოდნავი დარღვევაც კი იწვევს სირთულეების ბუნდოვანებაში გადაზრდას, როცა აღარც მკითხველის დაკვირვება შველის საქმეს და სათქმელი გაუგებარი რჩება. თამაზ ჭილაძეს გააჩნია ეს ზომიერების გრძნობა. უფრო სწორად, იგი ალბათ დიდი და დაძაბული შრომის წყალობითაც ახერხებს ამ გრძნობის შენარჩუნებას.

თამაზ ჭილაძის მთელი შემოქმედება, შეიძლება ითქვას, ვარიაციებია მარტოობის თემაზე. ეს მოტივი თუ თემა ყოველ მის ნაწარმოებში, რა ჟანრისაც არ უნდა იყოს იგი, მეტნაკლები სიძლიერით, მაგრამ მუდამ მნიშვნელოვნად ჟღერს. „და თითქოს სადღაც უცხო სადგურზე ჩამოვედი და სულ მარტო დავრჩი“. — ეს სტრიქონები თამაზ ჭილაძის ერთი ადრინდელი უსათაურო ლექსიდანაა და ეს განწყობილება დღემდე მოჰყვება მის ლექსს თუ მოთხრობას, პიესას თუ რომანს.

თამაზ ჭილაძის მოთხრობებისა და რომანების გმირები მეტწილად ქალაქელი ახალგაზრდები არიან. როგორც ჩანს, ამ გარემოს უკეთ იცნობს მწერალი და ის პრობლემებიც, რაც მას აინტერესებს უფრო მეტად ქალაქური ყოფისათვის არის დამახასიათებელი. ახალგაზრდობისადმი ესოდენ დიდი, უპირატესი ყურადღება იოლი ასახსნელია, მწერალს და მასთან ერთად ჩვენ ყველას სწორედაც ხვალინდელი დღე გვაინტერესებს, გვაწუხებს კითხვა: საით მივდივართ, რა თაობა ეზრდება მამულს?

თამაზ ჭილაძის ლიტერატურული სამყარო ჟანრობრივი მრავალფეროვნების გამო არ არის დანაწევრებული, ერთმანეთისაგან განცალკევებული და გათიშული, თუმცა, თითოეული ჟანრის მეტნაკლები ავტონომიურობა როდი იქნებოდა გასაკვირი. მის შემოქმედებაში ყველა სათქმელი არამცთუ ერთი მთავარი მიზნისაკენ არის მიმართული, არამედ სათქმელის გამოხატვის მანერით, ფორმისეული ნიშნებითაც კი ნაკლებად ემიჯნებიან, ნაკლებად ეთიშებიან ერთმანეთს ჟანრები — პიესა რომანს, რომანი ესსეს, ესსე მოთხრობას, მოთხრობა ლექსს.

„წავალ, მოვნახავ იმ მარტოსულს, ჩემსავით საწყალს, ჩემი მწუხარე სიმღერების მიმაქვს ნამტვრევი...“ თამაზ ჭილაძის ეს პოეტური სტრიქონები მთელი მისი შემოქმედების ეპიგრაფად გამოდგება. ეს მთავარი სათქმელი და განწყობილება, რაც პროზასთან დაკავშირებით ითქვა, მწერლის დრამატურგიაზეც ვრცელდება. თამაზ ჭილაძე უიმედობის გრძნობას არ უნერგავს არც თავის გმირებს და მით უფრო არც თავის მკითხველებს, მაგრამ არც უმსუბუქებს განცდებს. იგი სწორედ ტკივილებზე მიგვაქცევინებს ყურადღებას, რომ ამით ჩვენ სულიერი განწმენდის სურვილი მოგვაძალოს, ჰუმანისტური სულისკვეთება გაგვიმძაფროს, ზნეობრივი სრულყოფილებისაკენ მოგვიწოდოს.

უმეტესწილად თამაზ ჭილაძის გმირები თუ პერსონაჟები თითქოს ჩვეულებრივი ბიოგრაფიის, მაგრამ ამასთანავე დამსხვრეული, ყოველ შემთხვევაში აწეწილი, უიღბლო ბედის ადამიანები არიან. ისინი, უკეთეს შემთხვევაში, ეძებენ გამოსავალს მდგომარეობიდან, აწუხებთ ის ყოფა, რომელშიც უხდებათ ცხოვრება, ის სიცივე, რაც მათ ირგვლივ დასადგურებულა, ხშირად ჩაუქნევიათ მათ ყველაფერზე ხელი და ისე მისდევენ დროთა მსვლელობას, როგორც წყალუხვ და მდორე მდინარეს კუნძი თუ მორი. ასეა მის პროზაშიც და ასეა მის დრამატურგიაშიც, რომელიც ფრიად საგულისხმო მოვლენაა არა მარტო მწერლის შემოქმედების ფარგლებში, არამედ მთელ თანამედროვე ქართულ მწერლობაში.

თამაზ ჭილაძის კალამს არაერთი პიესა ეკუთვნის და არცერთ მათგანს არ დაუტოვებია არც მკითხველი და არც თეატრალური საზოგადოება გულგრილად, მაგრამ ყველაზე დიდი წარმატება ალბათ მაინც ორ მათგანს ხვდა: „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“ და „ბედი მეცხრე სართულზე“. ეს პიესები ბევრმა თეატრმა მიიღო საკუთარ რეპერტუარში, მაგრამ ყველაზე პრესტიჟული მაინც ის იყო, რომ პირველი დაიდგა რუსთაველის სახელობის თეატრში და თანაც სწორედ იმ დროს, როცა რობერტ სტურუას სპექტაკლების წყალობით თეატრს საქვეყნოდ გაუვარდა სახელი, მეორე კი საუკეთესოდ განხორციელდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე. ამ პიესების წარმატება სავსებით კანონზომიერი იყო, რადგან სწორედ აქა ჩანს ყველაზე უკეთაც და თვალსაჩინოდაც თამაზ ჭილაძე თავისი პრობლემებითაც და თავისი მანერითაც.

კიდევ ერთი რამ მაინც აუცილებლად უნდა ითქვას თამაზ ჭილაძის დრამატურგიასთან დაკავშირებით. მწერალმა პიესებს უპირველესად ლიტერატურული ღირებულება დააკისრა. იქნებ ვინმეს გაუკვირდეს დრამატურგის ამგვარი პოზიციის რაღაც განსაკუთრებულ დამსახურებად გამოცხადება, აკი ამ ჟანრის მნიშვნელობა ძველთაგანვე ცნობილი იყო, საგრძნობ უპირატესობასაც კი ანიჭებდნენ სხვა ჟანრებთან, ჩვენს დროში საქმე ცოტა სხვანაირად წარიმართა. კინოსა და თეატრის ინდუსტრიამ ნელ-ნელა და დაბეჯითებით გადაიყვანა თავის საარსებო პირველწყარო, ლიტერატურული საფუძველი ნახევარფაბრიკატების მდგომარეობაში. ამ უკანასკნელს თავისთავადი ღირებულება თითქოს აღარ გააჩნია და იგი მხოლოდ თეატრის ან კინოს გადასამუშავებელ მასალად ქცეულა, სამწუხაროდ, ეს ტენდენცია სულ უფრო და უფრო მძლავრობს. ამან გამოიწვია [illegible] ვისი აქსიომატურობის [illegible] თქოსდა უცნაური, მაგრამ მეტად დროული მოწოდება „დრამატურგია მწერლობაა“, რისთვისაც მებრძოლ მწერალთა შორის თამაზ ჭილაძე ერთ-ერთი აქტიური ფიგურათაგანია.

თანამედროვე ქართული პოეზიის ძალა და მშვენიერება მის მრავალხმიანობაშია. ისე როგორც პოლიფონიურ ქართულ სიმღერაში ყოველი ხმა გუნდსაც ერწყმის და ცალკეც ისმის, აქაც, ყოველი ჭეშმარიტი პოეტური ნიჭი ამ [illegible] თავ განზომილებით განისაზღვრება და ფასდება. თამაზ ჭილაძის პოეტური ხმა კიდეც გამოირჩევა, ანუ გამოცალკევებულია დღევანდელ ქართულ პოეზიაში და [illegible] დეც ავსებს მას არა მარტო თავისი განუმეორებელი ტემბრით, ინტონაციით, ფერადოვნებით, არამედ გრძნობითა და განწყობილებითაც. იგი მთელი თავისი პოეტური შთაგონებით ქართულ ხალხურ და კლასიკურ ლექსთან დაკავშირებული, მისით არის ნასაზრდოები, მაგრამ, სხვებისაგან განსხვავებით, თამაზ ჭილაძეს ძალზე იშვიათად მოეძებნება ისეთი ლექსი, რომელიც ამ შინაგანი სისხლით ნათესაობას უშუალოდ, პირდაპირ, გარეგნულად ამჟღავნებდეს.

„როდესაც სული დაიწყებს კ[illegible]ვილს, ენძელასავით ჩუმი და მ[illegible]რცხვი — აი, ეს არის, ეს ნი[illegible]ნავს ტკივილს, თორემ რა არის ტკივილი ხორცის“.

თამაზ ჭილაძის პოეზია დღესაც გამორჩეულია თავისი სიფაქიზით, სინატიფით, ხმადაბალი ინტონაციით, ჭეშმარიტი ლირიზმით, თავის დროზე, 50-იანი წლების დასასრულს და 60-იანის დასაწყისში თითქმის დაუჯერებელიც იყო ამგვარი პოეტური სამყაროს არამცთუ არსებობა, უბრალოდ შესაძლებლობაც, იმდენად შეჩვეული იყო თვალიც და ყურიც წლების მანძილზე მოძალებულ პოეტურ პათეტიკას, ზიზილ-პიპილოებს, გულსგარე ნათქვამ სიტყვას. ამიტომაც მოახდინა თავიდანვე თამაზ ჭილაძის (და მისი თაობის პოეტების) ლექსებმა დიდი შთაბეჭდილება. მაგრამ ეს შთაბეჭდილება რომ მხოლოდ ახალი პოეტური სამყაროს ხილვით [illegible] იყო გამოწვეული, რომ ამ სამყაროს უჩვეულობის გარდა სხვა უფრო [illegible] მყარი მხატვრული ღირებულებები გააჩნდა, ეს წლებმა დაამტკიცა.

დაბოლოს, მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა თამაზ ჭილაძის ესსეებსა და წერილებზე, სულ ორიოდ სიტყვა, რადგან ამ მასალამ თუ შეგიტყუა და ჩაგითრია, ასე იოლად ვერ დააღწევ კა[illegible] თავს და სათქმელიც გაგიგრძელდება, ვინაიდან თამაზ ჭილაძის თვალსაწიერი თავისუფლად ნავარდობს ეროვნულ ისტორიულ სი[illegible]ღრმეებშიც და გეოგრაფიულ სივრცეებშიც, ესსეისტური სტილი [illegible] თავისუფლებს ავტორს ანალიზის აკადემიური სიხისტისაგან, მაგრამ თამაზ ჭილაძე ბევრად უფრო მომთხოვნია საკუთარი თავისადმი. მან, შეიძლება ითქვას, ბევრწილად ახლებურად წაიკითხა ქართული მწერლობის ისტორიის უთვალსაჩინოესი ნაწარმოებები, თვით „შუშანიკის წამებაც“ და „ვეფხისტყაოსანიც“. კი.

თამაზ ჭილაძის ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოებს თუ კრებულებს დაწაფებული მკითხველი ღრმად საინტერესო და ემოციურ სამყაროს ეზიარება და ეს უკვალოდ არ ჩაივლის, მითუმეტეს თუ კი ჩვენ წინასწარ შემზადებული აღმოვჩნდებით მასში ჩადებული ჰუმანისტური სულისკვეთების გასაზიარებლად.

როგორც წესი, იუბილარს ნობათს მიართმევენ ხოლმე. თამაზ ჭილაძემ აქეთ გაგვიკეთა მის მკითხველებს საჩუქარი, ორი მცირე რომანი დაამთავრა. სწორედ ასეთი საიუბილეო თარიღებ[illegible] ემრავლოს თამაზ ჭილაძესაც და ჩვენს სხვა გამოჩენილ მწერლებსაც.

გურამ გვერდწითელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „სიმართლე მწყურია, სიმართლე მშია...“

## თეიმურაზ დოიაშვილი

●

ჯანსულ ჩარკვიანის ლექსებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ხშირად ისინი არაა ნასაზრდოები კონკრეტული ხილვით ან შთაბეჭდილებით. პოეტი მის მიერ მიგნებულს, მიხეულს კი არ წარმოგვიხატავს, არამედ ზოგად აზრსა თუ გრძნობას გადმოგვცემს ზოგადივე სახე-სიტყვებით.

დავაკვირდეთ ერთ სტროფს ლექსიდან „ალექსანდრე ყაზბეგს“:

გადავათავებ ველებსა,
თოვლში ჩავდგები წელამდე,
ეგრე გავპირავ ცელებსა,
მთასა და ბარსა ცელავდეს.

ზოგადი აზრი ამ სტრიქონებისა გასაგებია — ლექსის ლირიკული გმირი უძნელეს პირობებშიც მზადაა მსახურებისა და ერთგულებისათვის („თოვლში ჩავდგები წელამდე, ეგრე გავპირავ ცელებსა...“). მაგრამ თოვლში ცელების გაპირვა?! მკითხველი, რომელიც, პოეტისაგან განსხვავებით, წაკითხულს წარმოსახვაში დააკონკრეტებს, ალბათ, გულწრფელად იკითხავს: რა აუცილებელია თოვლში ცელების გაპირვა, ჯერ ხომ ზამთარია და თიბვის დროც შორსაა?!

ლექსის შექმნისას ჯ. ჩარკვიანი სიტყვებსა და მათ პოეტურ შარავანდს ზედმეტად რომ ენდობა და რეალობას ნაკლებად უწევს ანგარიშს, კარგად ჩანს შემდეგ სტრიქონებშიც:

ვაჰმე, ცოტნე დადიანო,
ვინა ჩივის გვირგვინს დაფნის,
სანთლადაც ვერ ჩამოვქენით,
ტანზე წაცხებული თაფლი.

თაფლი სანთლად რომ ვერ ჩამოიქნა, ამის გამო სინანული („ვაჰმე“) ტყუილი თავგამეტებაა, რადგან თაფლის ჩამოქნა სანთლად ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ. თაფლის სანთელი უშუალოდ თაფლისგან კი არ მზადდება, არამედ ცვილისაგან, რისგანაც ფიჭა შედგება.

პოეტმა მიმართა ჩვენი ისტორიის ისეთ ამაღლებულ და გმირულ ფაქტს, როგორიცაა ცოტნე დადიანის თავდადება, გამოიყენა წმინდა სიტყვა „სანთელიც“ — ორივეს თანდაყოლილი ემოციური შარავანდი ახლავს — მაგრამ არ გაითვალისწინა ზემოთ ნახსენები რეალური „დეტალი“, რამაც, ფაქტობრივად, გააუქმა შემოთავაზებული მეტაფორა და, შესაბამისად, მასთან დაკავშირებული სინანულის განცდაც.

ჯ. ჩარკვიანი ნაკლებად ზრუნავს იმაზე, რომ შედარების სტრუქტურული ელემენტები — „სახე“ და „საგანი“ აზრობრივად თუ ემოციურად დაკავშირებული იყოს, რომ წარმოსახულ მსგავსებას რეალობაც განამტკიცებდეს. გავსინჯოთ ფრაგმენტი ლექსისა „ორმოცდაორის საშინელ ლანდებს“:

ვისაც უყვარდა სიმაღლე,
სივრცე,
ყველა მშვენიერს, ყველა
მშვენიერს,
როგორც არაყი, სიცოცხლე
მისცეს,
მერე ფსკერამდე დააცლევინეს.

ამ სტრიქონებს მოსდევს ტაეპი-კომენტარი: „ამხელა ტანჯვას როგორ გაუძლეს“...

არყის ფსკერამდე დაცლა არ შეიძლება სიკვდილსა და სიცოცხლეს შეადარო, მერე კი განაცხადო: „ამხელა ტანჯვას როგორ გაუძლესო...“ ეს პათეტიკური შეძახილი სიკვდილ-სიცოცხლის ტრაგედიას კი შეეფერება, მაგრამ რა ამისთანა ტანჯვაა არყის შესმა?! ასეთი უხერხულობა იმიტომ იქმნება, რომ შედარების კომპონენტები არაზუსტადაა შერჩეული.

ვნახოთ სინამდვილისადმი, საგანთა რეალური მიმართებებისადმი უყურადღებობის კიდევ ერთი ნიმუში:

თეთრი ფიფქები მღერიან ტყეში
და ტყის სიჩუმე მთვარისკენ
მიაქვთ.

თითქოს სადავო არაფერია, მაგრამ თუ დავუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ უგულებელყოფილია რეალობა: ფიფქები ციდან ᲔᲨᲕᲔᲑᲘᲐᲜ მიწაზე და არა პირიქით, ამიტომ მათ არ შეუძლიათ ᲖᲔᲕᲘᲗ, მთვარისკენ ᲬᲐᲘᲦᲝᲜ ტყის სიჩუმე.

ზოგჯერ რეალური ვითარების გაუთვალისწინებლობის გამო ჯ. ჩარკვიანის გარეგნულად ეფექტური სახე ახლოით განჩხრეკისას კომიკურ იერს იძენს. ვნახოთ ფინალი ლექსისა „არწივი“:

მე დაჭრილ არწივს თვალებში
ვკოცნი,
მერე ფრთებს ვუშლი და მხრებს
ვატოლებ.

ლამაზია, არა? ალბათ, პოეტურიც! მაგრამ ერთი წუთით „თარგმნეთ“ ეს სტრიქონები რეალობის ენაზე და უმალ იაზრებთ, რომ პოეტის მიერ დახატული სურათი ყალბია — დაჭრილი არწივი ეგრე ადვილად მოსათვინიერებელ-მოსაფერებელი არაა, ხოლო თუ იმასაც წარმოვიდგენთ, რა დღეში ჩავარდება ის, ვინც დაჭრილ ფრინველთა მეფეს ფრთების გაშლას და თვალების ამოკოცნას მოუნდომებს... გაგვეცინება. დიახ, გაგვეცინება, რადგან, საბედნიეროდ, ეს ლექსში ხდება და არა სინამდვილეში.

საერთოდ, პოეტის „ორნიტოლოგიური“ და „ანიმალისტური“ პასაჟები, ფაქიზად რომ ვთქვათ, მეტ დაკვირვებას და სიზუსტეს საჭიროებს. ერთგან ჯ. ჩარკვიანი წერს: „გაეკიდება ნაცრისფერ ქარებს ფრთამოტეხილი, მშიერი ყვავი“.

„ქარებს“ დადევნება „ფრთამოტეხილსა“ და „მშიერს“ კი არა, ფრთასალსა და მაძღარ ყვავსაც გაუჭირდება! ქარსგაკიდებული, ფრთამოტეხილი ყვავი ირონიულ განწყობილებას ბადებს, რაც არანაირად არ შეესაბამება ლექსის ტონალობას — იგი უდროოდ დალუპულ გურამ თიკანაძეს ეძღვნება.

მე მინახავს ვეფხვი გაუცინარი,
საპერანგე მისი, ცისა ნაჭერი, —

ერთგვარი სიამაყით წერს ჯ. ჩარკვიანი ლექსში „ღვინისფერი მდინარე“.

კი, ბატონო, ვეფხვს შეიძლება ცის ნაჭერი პერანგად ჩავაცვათ, მაგრამ „გაუცინარი ვეფხვი“?! პოეტს სიამაყის საბაბი მაშინ ექნებოდა, ᲒᲐᲪᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ვეფხვი რომ ენახა, თორემ გაუცინარი, ანუ „სერიოზული“ ვეფხვი ყველას გვინახავს! თუ ავტორი ასეთ ჩვეულებრივ ვეფხვზე გვესაუბრება, მაშინ რა საჭიროა ეპითეტი „გაუცინარი“?

ზემოთ დამოწმებული ფრაგმენტი ასე გრძელდება: „მოდის, მოდის, ღვინისფერი მდინარე, ბრწყინვალეი, თეთრი, გინა სახიო“.

„ღვინისფერი მდინარე“ გალაქტიონის სახეა: „მოდიოდი ველად, როგორც ღვინისფერი მდინარე“. ხოლო თუ მდინარე ღვინისფერია, ის ᲗᲔᲗᲠᲘ ველარ იქნება („ᲦᲕᲘᲜᲘᲡᲤᲔᲠᲘ — რაც ფერით წითელ ღვინოს მოგვაგონებს, — მოშავო წითელი“, — გვაუწყებს ქეგლ).

ალოგიკურობა, რის ნიმუშებადაც ცალკეული ფრაგმენტები და მხატვრული სახეები მოვიყვანეთ, უცხო არ არის ჯ. ჩარკვიანის მთლიანი ლექსებისთვისაც. ჩვენ აქ მხოლოდ ორ ლექსს განვიხილავთ, რომლებიც შეტანილია რჩეულში „მზე თიხაში“. ეს ის რჩეულია, პოეტს განსაკუთრებული სიმკაცრით რომ შეურჩევია, სამოცი თაბახიდან სამოცჯერ გაზომ-აწონვით ამოუკრეფია ლექსები და პატარა წიგნად შეუკრავს.

ვნახოთ ლექსი „განშორება“:

შენ ნუ გგონია,
რამეს ვდარდობ,
რამეს მივტირი,
ნურც იმას ფიქრობ,
უზენაესს რამეს შევუთქვამ, —
მე მიჭირს
შენთან განშორება,
თორემ სიკვდილი,
სიკვდილი რაა —
სულის გაყრა
ცოდვილ სხეულთან.

ამ პატარა ლექსის სემანტიკური და ემოციური ცენტრია ფრაზა — „მე ᲛᲘᲭᲘᲠᲡ შენთან განშორება“. პოეტის მინიშნებით, ეს ისეთი მძაფრი და ტკივილიანი განცდაა, რომ მასთან შედარებით სიკვდილიც კი არაფერია. ალბათ მოწიწება გვმართებს ასეთი განცდის წინაშე, რომ არა პირველი სტრიქონები, სადაც სრულიად საპირისპირო რამაა ნათქვამი — არც ვდარდობ, არც ვტირი და არც ღმერთს ვევედრებიო. რომელს დაუჯეროს მკითხველმა? ნუთუ იძულებითი განშორება („მე მიჭირს შენთან განშორება...“) წარმოსადგენია დარდის, ცრემლის, ვედრების გარეშე?

ახლა დავაკვირდეთ ცნობილ ლექსს „მეცხრე“, ილიას „ბაზალეთის ტბით“ რომაა შთაგონებული. იგი ასე იწყება:

ცხრა სიგრძითა და ცხრა განით
ქართველი გახლავთ ცხრაგვარი...
აქედან, რვა ჰგავს ერთმანეთს,
რვავე გაჭრილი ვაშლივით.

ალოგიზმი უკვე აქ, ექსპოზიციაშივეა — თუ რვა ქართველი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს, მაშინ ქართველი ᲪᲮᲠᲐᲒᲕᲐᲠᲘ კი არა, ᲝᲠᲒᲕᲐᲠᲘ ყოფილა.

შემდეგ, თუ „რვა ჰგავს ერთმანეთს... გაჭრილი ვაშლივით“, რა საჭიროა, ან რით ავხსნათ თითოეულის ინდივიდუალური და მკვეთრად ურთიერთგანსხვავებული დახასიათება, რასაც ლექსის დიდი ნაწილი ეძღვნება:

ერთი, — დაღლილი ქართველი,
მეორე კიდევ — პრანჭია,
მესამე, — თუმცა ჯანმრთელი,
შემკრთალი, როგორც ბაჭია.
მეოთხე, არასმქონები,
მაინც ლოთი და ხმაურა,
მეხუთე, ცხოვრობს გონებით,
ებრძვის აკაკის ლამურას...
და ა. შ.

ორიდან ერთი: ქართველები ან გაჭრილი ვაშლივით არ ჰგვანან ერთმანეთს, ან პოეტი აშკარად ცდება, როდესაც გვიმტკიცებს: „რვა ჰგავს ერთმანეთს, რვავე გაჭრილი ვაშლივით“-ო. ცალ-ცალკე ორივე ეს მტკიცება შეიძლება სამართლიანი იყოს, ორივე ერთდროულად კი — არავითარ შემთხვევაში.

●

„ჩემი ლექსები გაუკაფავი“, — ასე ახასიათებს ჯ. ჩარკვიანი ერთ ადრეულ ნაწარმოებში თავის ქმნილებებს. მისი პოეტური შემოქმედება, მართლაც ისეა დამძიმებული სიტყვამრავლობით, ალოგიკური, არაზუსტი სახეებით, რომ აშკარად საჭიროებს გამოხშირვას, რათა არ ჩაქრეს ის ციური ნაპერწკალი, პოეტის გულში რომ ღვივის.

ჯ. ჩარკვიანის მრავალი ლექსი კონკრეტული სინამდვილიდან და კონკრეტული შთაბეჭდილებებიდან რომ არ არის ამოზრდილი, ვფიქრობ, ამაში დავრწმუნდით. ახლა ვნახოთ, როგორ ქმნის პოეტი მხატვრულ სახეებში ᲛᲝᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲡᲔᲛᲐᲜᲢᲘᲙᲐᲡ, როდესაც სახეს თითქოს რაღაც შინაარსი აქვს, მაგრამ სინამდვილეში არაფერს ნიშნავს, სახე-ეფემერაა:

„თუ შენს ᲡᲣᲚᲡ ᲛᲣᲮᲚᲘ არასოდეს ᲐᲠ ᲛᲝᲣᲮᲠᲘᲐ“, „აუვსია ჭიქები ᲒᲣᲚᲨᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚ ᲨᲐᲛᲞᲐᲜᲣᲠᲡ“, „თან ᲬᲐᲠᲘᲚᲔᲡ მუზის ᲙᲕᲔᲠᲗᲮᲘ, გაზლაპრებულ ᲩᲚᲘᲥᲔᲑᲘᲗ“, „ჩემამდე შენს ᲢᲧᲔᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲔᲡᲮᲐ“ — აი, ტიპიური ნიმუშები ჯ. ჩარკვიანის ტროპული მეტყველებისა. მაგალითების ჩამრავლება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

როგორ უნდა შესუსტდეს რეალობის აღქმა და პოეტური გემოვნება, რომ ხაზგასმული სიტყვები მხატვრულ სახეებად მივიჩნიოთ! რას ნიშნავს და როგორ წარმოვიდგინოთ „სულის მუხლი“; ჩლიქებით, თუნდაც კუდიანის ჩლიქებით, წაღებული მუზის კვერთხი; გულში გახსნილი შამპანურით ავსებული ჭიქები და ტყე, რომელიც თვალებს ისხამს?!

„ტყემ მოისხა ფოთოლი“ — „ჩემამდე შენს ტყეს თვალი არ ესხა“. ზღვარი ძევს ლექსით ლექსამდე!

ცნობილია, მეტაფორა საშუალებაა სიტყვის შესაძლებლობათა გაფართოებისა პოეტის მიერ მანამდე მიუკვლეველი, დაუფიქსირებელი განცდის თუ შეგრძნებების გადმოსაცემად. რაკი ჯ. ჩარკვიანის პოეზიისთვის ასეთი განცდები და შეგრძნებები, არსებითად, უცხოა, მისი ტროპული მეტყველება, როგორც წესი, ფსევდომეტაფორულია: „შიშის ეშვი“, „ჭეშმარიტების ჭერი“, „ღიმილის ჭერი“, „ღიმილის აბი“, — ეს ის საშენი მასალაა, რომელიც ლექსში ეფემერულ მხატვრულ სახეებს ქმნის. მაგალითად:

„მარწყვებით ვკვებავ პატარა ლოდინს“, „მე ჩემი ქვეყნის ფიქრი ავჩალე“, „ამიხედრე ყანა წაქცეული“, „ვაჰ, გუნებაში როგორ ვერომე. ჩემი იჭვების ნიამორებით“, „ძირს გაუშლიათ ხალიჩა, მისი ჩუქურთმის სამკალი“ და სხვა მრავალი.

მზე ბრუნავს ტვინში,
როგორც მიწა მზის ირგვლივ
ბრუნავს, —

წერს ერთ ლექსში პოეტი. ჩვენს წინაშეა შედარება, მაგრამ შედარების კომპონენტებს შორის კონტაქტი ვერ მყარდება. ცხადია, ვერც დამყარდება, ჯერ ერთი იმის გამო, რომ დედამიწის მზის ირგვლივ ბრუნვა და მზის ტვინში ბრუნვა სრულიად განსხვავებული ყაიდის ბრუნვებია (რაიმეს გარშემო ბრუნვა და რაიმეში ბრუნვა სხვადასხვა რამაა). შემდეგ, დედამიწის მზის ირგვლივ ბრუნვა ნორმალური, ბუნებრივი მოვლენაა. ტვინში მზის დატრიალება კი რაღაც კატასტროფას უნდა მოასწავებდეს, ამიტომ ისინი ერთმანეთთან შესადარებლად ვერ გამოდგება. მოკლედ, მზე ტვინში ვერაფრით ისე ვერ იბრუნებს, როგორც დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო. გარდა ამისა, პროპორციების დარღვევის გამო, პოეტის მიერ გაუთვალისწინებელი კომიკური ეფექტიც წარმოიქმნება: ერთის მხრივ, მზე, რომლის გარშემოც დედამიწა ბრუნავს და, მეორეს მხრივ, ტვინი, რომელშიც მზე ბრუნავს — რაღა დარჩება ასეთ დროს ტვინისაგან?!

ჩვენ არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ ჯ. ჩარკვიანის პოეტურ სახეთა მიღმა ხშირად არ დგას კონკრეტული ხილვა, მაგრამ მოდით დავაკვირდეთ ამ სტრიქონებს:

აყვავებული ატამივით მოსჩანს
ნოსირი,
მშვენიერია, როგორც ქალი,
ძაძით მოსილი.

შთაბეჭდილება ისეთია, რომ ეს ორმაგი შედარების გზით შექმნილი სახე სწორედ რომ კონკრეტული ხილვით უნდა იყოს შთავონებული. მაგრამ სინამდვილეში ასე არაა.

დამოწმებულ სტრიქონებში ურთიერთგამომრიცხველი ფერითი გამები მიემართება შედარების ობიექტს — სოფელ ნოსირს: ᲐᲢᲛᲘᲡ ᲮᲔᲡᲐᲕᲘᲗ ᲐᲧᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ სოფელი როგორ შეიძლება იმავდროულად ᲫᲐᲫᲘᲗ მოსილ ქალს გავდეს?! (აყვავებული ატმის ხე — ღია ვარდისფერი, ძაძა — შავი). აქ არც ემოციათა მსგავსებაზე შეიძლება ლაპარაკი, რადგან ესოდენ განსხვავებულ სახეებს (აყვავებული ატამი, ძაძით მოსილი ქალი), ბუნებრივია, ასევე განსხვავებული ემოციები ახლავს.

ამრიგად, ეს შედარება ფორმალური ხასიათისაა, მას მსგავსება კი არ უდევს საფუძვლად, არამედ... განსხვავება, ე. ი. ანტიშედარებაა.

ჯ. ჩარკვიანის ლექსებში ორიგინალური და მოულოდნელი სახეებიც არის. დიახ, ორიგინალური, მოულოდნელი და... გაუგებარი.

„შენი ᲛᲙᲔᲠᲓᲘᲕᲘᲗ ცა იყო ᲛᲬᲕᲐᲜᲔ“ — წერს პოეტი ერთგან. „შენი წვიმებით მინდა დათრობა და შენი ᲛᲙᲔᲠᲓᲘᲡᲤᲔᲠᲘ ჭიქებით“ — ამბობს სხვაგან.

„მწვანე მკერდი“ მოულოდნელია, „მკერდისფერი“ — ორიგინალური, მაგრამ გაუგებარია, რა ფერისაა ჭიქები, ან როგორ გავიგოთ „მკერდივით... მწვანე“? (იქნებ სინტაგმად უნდა მივიჩნიოთ არა „მკერდივით... მწვანე“, არამედ „მკერდივით ცა“? მაგრამ „მკერდივით ცა“ არანაკლებ ბუნდოვანი შედარებაა).

ლექსში „მარტი“ ჯ. ჩარკვიანი ამ ჭირვეული თვის ასეთ დახასიათებას გვთავაზობს: „ისე ფერადფერადი, ისე მოულოდნელი და შიგნიდან მღერადი, და შიგნიდან როდენი“.

მარტი ფერად-ფერადია, იქნებ მღერადიც იყოს, მაგრამ მარტი — როდენი?! თანაც „შიგნიდან“ (?!) როდენი? ეს, მართლაც, ისე უცნაურია, „ისე მოულოდნელი“, როგორც ის, რომ ᲐᲛᲝᲠᲫᲐᲚᲘ „ᲛᲝᲪᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲒᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲐ“ (ლექსი „ამორძალი“).

ახლა ერთი რაოდენობრივ განზომილებაში გადაწყვეტილი სახეც ვნახოთ და ამით დავამთავროთ სახეობრიობაზე საუბარი: „ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით, — ათასი ფუთი...“

გახსოვთ გახმაურებული სათაური „ათასი ფუთი ბრალდება“? აქ კი — „ათასი ფუთი... ყვირილი“. გამეორებაა? არა, — რაოდენობრივი ტრანსფორმაცია, რადგან გაგრძელება ასეთია: „...ათასი ფუთი, ასიათასი, მილიონი“.

და ბოლოს, მკითხველებს ვთხოვ ამოხსნან ისეთი „ტროპი-გამოცანები“, რომელთაც მე თავი ვერ გავართვი: „შენთან ერთად, ვდგავართ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲗᲐᲜ“, „ღვთისმშობელო, დაფნა და ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲓᲘ, ჯვარზე უშორესი, მაცხოვარი მოდის“, „თოფიდან მოვდივარ, ბადიდან მოვდივარ, ᲣᲠᲛᲘᲡ ᲗᲕᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲩᲕᲘᲡ ᲙᲣᲓᲐᲛᲓᲔ...“

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო“ № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს საეჭვოდ ვხდიდე ჯანსულ ჩარკვიანის პოეტურ ნიჭიერებას. არამც და არამც! ამას არც არავინ დაიჯერებს! ოღონდ, ჩემი აზრით, მან სწორად ვერ შეარჩია თავისი ამპლუა. როგორც მისი შემოქმედების გაცნობა ცხადყოფს, იგი წარმატების მიღწევას ძირითადად წმინდა ლირიკული და პუბლიცისტური მოტივების დამუშავებით ცდილობს, მაგრამ არც ერთი ეს სფერო მისი პოეტური ბუნების შესაფერი არ ჩანს. ლირიკაზე უკვე ვილაპარაკეთ. ახლა რაც შეეხება პუბლიცისტიკას.

ჯ. ჩარკვიანი პოემაში „კოლხეთისაკენ, ბიჭებო!“ წერს:

მიწა კი არა, ლექსიც დატორეს,
დამრჩა ლირიკა, როგორც
მისტიკა
და ძრავასავით, ექსკავატორებს
ჩავუდგი ჩემი პუბლიცისტიკა.

პირდაპირ უნდა ითქვას, ჯ. ჩარკვიანის პუბლიცისტიკა უმეტეს შემთხვევაში წმინდა წყლის კონიუნქტურაა, ასეთი ყაიდისა:

დროა მზისა და მიწის გალობის,
რადგან სიცოცხლეს ჩვენსას მზე
ჰქვია,
ადექი ფეხზე, ჩემო თაობავ,
ეს სამართალიც შენი ნერგია,
შენი პარტიის,
შენი მთავრობის
დიდო სიცოცხლევ და ენერგიავ.

ან კიდევ:

უკვე მომავლის სხივით
ვიზრდები,
მეგობარს, როგორც ტყუპის
ცალს ვუხმობ,
და მოწოდებას
კომუნისტების,
ვით კომუნისტი
ისე ვპასუხობ.

ერთი ნიმუშიც:

თვალი მიაპყრო ჩამავალ
ნათელს,
კავკასიონიც კრემლისკენ
სწორდა...
და ერთი გვქონდა იმედი,
ნატვრა,
რადგანაც ერთი მამული
გვქონდა.

ჩემი ფიქრით, ჯ. ჩარკვიანის პოეტური ნიჭისათვის ყველაზე შესაფერისი ასპარეზი სატირულ-ირონიული პოეზიაა, მას კი, როგორც ვთქვი, გული უფრო წმინდა ლირიკისა და პუბლიცისტური პოეზიისაკენ მიუწევს. ეს კი დანანია, რადგან სატირიკოსის ტალანტი იშვიათი ტალანტია და კარგი იქნება, თუ პოეტი ამ სფეროში უფრო ინტენსიურად იმუშავებს.

ვნახოთ პოეტური სატირის კარგი ნიმუში, ჯ. ჩარკვიანის ლექსი „უმადური“:

მე შენ აგილე, როგორც ნახერხი,
არარაობას შემქმნელად გექმენ,
ვიწვალე ბევრი და მოვახერხე,
თვალებდაპყეტილ თოჯინად
შეგქმენ.

ვხი ვალმოხდილი, ველი
სიბერეს,
გაზაფხულია და ხეხილს ვამყნი,
შენ აღარ ხუმრობ, შენ გაიბერე
და ახლა ნახერხს თვალებში
მაყრი.

ეს ჟანრი თავის ფუნქციას განსაკუთრებული ძალით მაშინ ასრულებს, როდესაც საზოგადო ჭირს ეხება და საერთო საფიქრალს აღძრავს. ასეთი ლექსის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, ჯ. ჩარკვიანის „პირისპირ მაიაკოვსკისთან.“ მაგრამ ჯ. ჩარკვიანის ზოგიერთ სატირულ-ირონიულ ლექსს ძალიან ვიწრო სარბიელი აქვს და ცალკეულ, ხშირად ფართო მკითხველისთვის უცნობ პიროვნებათა განქიქებას ისახავს მიზნად. ეს, ცხადია, აკნინებს მათ ღირებულებას, მაგრამ უფრო უხიამო ისაა, რომ პოეტი ხანდახან კორექტულობის ფარგლებს სცილდება. მაგალითად, ლექსში „ცუდ კაცს“ ვკითხულობთ:

მკვდარ მეგობარს დაემალები,
ისეთი პირი გიჩანს, ვერანო,
ვერანოს რითმაც კარგად ვიცი,
მაგრამ გავურითმე მერანი.

„ვერანოს რითმას“ მკითხველი ადვილად ამოიცნობს; მაგრამ პოეზიისთვის, თუნდაც სატირული ლირიკისთვის, არასაკადრისია ვითომ შეფარული, მაგრამ აშკარა გინება.

კიდევ ერთი მაგალითი. ლექსი „პასუხი ანონიმს“ ქალს ეძღვნება და ასე მთავრდება:

გოგმანებდე, როგორც მწყერი,
ღმერთი გყავდეს მოწყალედ,
იქნებ, კარგო, როცა მწყევლი,
ძუძუები მლოცავენ.

ის, რაც ბოლო ორ ტაეპშია ნათქვამი, ხალხმა დედას დაუკავშირა, ამიტომ მისი გამოყენება ავად ასისინებული დიაცის მისამართით, თანაც ეროტიკული შეფერილობით, უბრალოდ, მკრეხელობაა.

●

„სიმართლე მწყურია, სიმართლე მშია...“ — ამბობს ერთ ლექსში ჯანსულ ჩარკვიანი.

პოეტის ცხოვრებაში დგება სიმწიფის ხანა, როდესაც ჩნდება მძაფრი შინაგანი წყურვილი საკუთარ თავთან განმარტოებისა, სიმართლისთვის თვალის გასწორებისა. უკან იხევს წუთისოფლის ვნებანი და ამაოება, დიდებაზე ოცნება და ყოველივე სინდისის სასწორზე იწონება.

ჩემი აზრით, ჯ. ჩარკვიანის ბოლო პერიოდის ლირიკაში ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ლექსი „ორმოცი წელიც...“, სადაც პოეტი საკუთარ შემოქმედებას დღევანდელობის ორომტრიალში კი არ აღიქვამს, არამედ მომავალი თაობის თვალით აფასებს:

გასაოცარი რა მოგახსენოთ,
გასაოცარი რა უნდა მოხდეს,
ყელამდე მზით და მთვარით
სავსენი
მიწაზე მოვა თაობა ოდეს.

გაიფანტება ეჭვის ბურუსი,
ნილაბი მხოლოდ შერჩება
სცენას,
ყველა საკუთარ გადახურულში
იპოვის ღიმილს, იმედს და
რწმენას.

იქნება, მხოლოდ ასე იქნება
და რაც იქნება, მოგვადგა კარზე,
ვერ გაუძლებენ ჩვენი წიგნები
იმ სიჭაბუკის პირუთვნელ
აზრებს...

ჭეშმარიტად: ულმობელი და მიუკერძოებელი დრო ამჯერადაც ყველას და ყველაფერს თავის ნამდვილ სახელს დაარქმევს!

●

რედაქციისაგან: თ. დოიაშვილის ამ წერილში ბევრი რამ საკამათოა, ზოგიერთი პოეტური კონტექსტი სუბიექტურადაა დანახული და გაშუქებული. თუმცა ამჯერად კომენტარისაგან თავს ვიკავებთ, ვინაიდან ვფიქრობთ, რომ გაზეთის უახლოეს ნომრებში დაიბეჭდება განსხვავებული მოსაზრებანიც.

# მწერლის საუბრები




გურამ გეგეშიძის წიგნი „სიტყვები,“ (მერანი, 1990) უმთავრესად ინტერვიუებსა და დიალოგებს ეყრდნობა. თუმცა მათ გარდა ლიტერატურული წერილებიცაა შეტანილი, მაგრამ ნათელია, რომ წიგნის აღნაგობას სწორედ დიალოგები განსაზღვრავს და წერილები — დავით აღმაშენებელსა თუ ილია ჭავჭავაძეზე, დღევანდელ საზოგადოებრივ-ეროვნულ ყოფასა თუ მერაბ კოსტავაზე, ალექსანდრე ყუთათელსა თუ გურამ რჩეულიშვილზე... — მხოლოდ ერთგვარად ავსებს.

მწერლის ეს საუბრები ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემებზე —ალსავსე ცოცხალი, ექსპრესიული, პირუთვნელი მსჯელობებითა და დაკვირვებებით — ბოლო წლებში ხშირად ქვეყნდებოდა ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და კარგია, რომ მალევე შეიკრა ერთ წიგნად.

საერთოდ, ლიტერატურული დიალოგი — რაც კრიტიკული ჟანრის ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახეობაა და მკაფიოდაც გამოკვეთილი ამერიკულსა და ევროპულ მწერლობაში — ჩვენთან ბოლო წლებამდე მაინცდამაინც ძალიან არ ყოფილა გავრცელებული და ამ ყაიდის თხზულებანი დიდი ხანი არ არის, განსაკუთრებით შესამჩნევი რომ გახდა. ბუნებრივიცაა: როცა კრიტიკას ერთადერთი დანიშნულება ჰქონდა — ჟანდარმის მოვალეობის შესრულება — და უგულებელყოფილი გახლდათ კრიტიკული აზროვნების ყოველგვარი წესი, ჩვევა და კანონი, მის ყოველ სახეობათა განვითარება, რანაირადღა იქნებოდა შესაძლებელი. ხოლო აზრის შემხუთავი მარწუხები ოდნავ მოეშვა თუ არა, ჩვენმა მწერლობამ ძალდაუტანებლად დაისაჭიროვა კრიტიკული ჟანრის მრავალფეროვნებაც. და ლიტერატურული საუბრების კანტიკუნტად გამოჩენილი ნიმუშები და ამ სახეობის მკრთალად გამოკვეთილი ნაკადი ასე თანდათან გახდა შესამჩნევი.

დიალოგი, თავისი ორიგინალური ფორმის წყალობით, უდავოდ ამრავალფეროვნებს სალიტერატურო ცხოვრებას; ამასთან, ქმნის ჩინებულ საშუალებას ისეთ შეხედულებათა გამოთქმისა, რაც მწერალს აფიქრებს და აწუხებს, ოღონდ წერილის თემად ვერ უქცევია, ანდა უბრალოდ ვეღარ ასდის ამდენი წერილის დაწერას, აქ კი მოკლე მსჯელობაში მოაქცევს და იოლად შეუძლია სხვადასხვა მოვლენებსაც გადაწვდეს; საუბრისას შესაძლოა მოულოდნელად წამოიჭრას საგულისხმო თემები და საკითხები; დიალოგის დროს ძალაუნებურად ქრება ის ერთგვარი უხერხულობაც, რასაც საკუთარ პიროვნებასა და შემოქმედებაზე საუბარი იწვევს: არადა, ამგვარი დაკვირვებანი — რაოდენ სუბიექტურიც უნდა ჩანდეს, მთავარია გულწრფელობა არ აკლდეს — დიალოგს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს... და კიდევ — საუბარს ყოველთვის ახალისებს კამათი, აზრთა პირუთვნელი ჭიდილი.

ერთი სიტყვით: რახან არსებობს ლიტერატურულ-კრიტიკული ჟანრის ეს ფორმა, ბუნებრივადაც უნდა ვითარდებოდეს.

ოთხმოციანი წლების დასაწყისში უილიამ ფოლკნერის მრავალრიცხოვან საუბართაგან ერთი ნაწილის თარგმნასა და ცალკე წიგნად გამოცემას, სხვა ყველაფერთან ერთად, ის მიზანიც ჰქონდა, რომ უშუალოდ შეხწოდა ლიტერატურული დიალოგის განვითარებას, მისი აუცილებლობის აღიარებას ჩვენში; მითუმეტეს, რომ ამერიკელი მწერლის იშვიათი პიროვნული თვისებების წყალობით მის საუბრებში რელიეფურად და თვალსაჩინოდ იკვეთება ამ ლიტერატურული ფორმის ღირსებანი და შესაძლებლობანი. აქ ფოლკნერი გამოირჩა როგორც თანამედროვე ეპოქის მწერალი, ხოლო რაც შეეხება პლატონის დიალოგებს (გულმოდგინედ რომ ითარგმნება 60-იანი წლების დასაწყისიდან), ეს ის კლასიკური სკოლაა, რომლის შეუსწავლელადაც ბევრი რამ დააკლდება ჩვენს ლიტერატურულ საუბრებს.

რახან დიალოგის მნიშვნელობა თანდათან ასეთი აშკარა შეიქნა, ნიშანდობლივია, რომ ჩვენშიც გამოჩნდა კრებულები, რაც მხოლოდ დიალოგებისაგან შედგება, ხოლო გაზეთებსა და ჟურნალებში (განსაკუთრებით „მნათობი“, აგრეთვე „ციხკარი“, „კრიტიკა,“ „ლიტერატურული საქართველო“, „თბილისი“...) მიზანდასახულად გამოქვეყნებული ლიტერატურული საუბრები, ესთეტიკური თუ პუბლიცისტური ყაიდისა, უთუოდ ახალ-ახალი კრებულების საწინდარია. და გურამ გეგეშიძის „სიტყვები“ ბუნებრივად ჩაერთო ამ პროცესში და მისი ერთი ჩინებული ნიმუშია. როგორც ჩანს, მწერლის ლიტერატურული თუ პიროვნული ინტერესებისათვის მარჯვე და შესაფერისი აღმოჩნდა დიალოგის ფორმა და ასეთი გატაცებით იმიტომაც აჰყვა. არც ისაა შემთხვევითი, რომ სულ ახლახან მისი კიდევ ერთი საუბარი გამოქვეყნდა გაზეთ „ქართველ ერში“ (1991, № 4).

„სიტყვები“ კიდევ ერთ საგულისხმო შტრიხს წარმოაჩენს თვალსაჩინო მწერლის შემოქმედებითი პორტრეტისას და მოიცავს ყველა იმ საზოგადოებრივ პრობლემას, რაც ასე მღელვარედ სდევდა თან ჩვენს ბოლოდროინდელ, მართლაც ურთულეს ცხოვრებას, ოღონდ მისთვის საქართველო, პირველ ყოვლისა, ქართული კულტურაა და ყოველ საზოგადოებრივ მოვლენას ამ თვალთახედვით ჭვრეტს და აფასებს, თუ რამდენად სასიკეთოა ჩვენი კულტურისათვის. გურამ გეგეშიძის მსჯელობა პოლემიკურად განსაკუთრებით მძაფრდება, როცა სიტყვა ჩამოვარდება მწერლობის ღვაწლზე ტოტალიტარული რეჟიმის ეპოქაში, და რადგანაც უსამართლო და ზერელე დამოკიდებულებამ ეს ღვაწლი ლამის მთლად გააბიაბრუოს, იძულებული ხდება დაბეჯითებით გაიმეოროს ის ჭეშმარიტებანი, რომ: „... მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები მთელი ცხოვრება თან სდევს და აყალიბებს ეროვნულ მსოფლშეგრძნებას. სწორედ დღევანდელი ქართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელთა დამსახურებაცაა, რომ ეროვნული ღირსების გრძნობა არ მომკვდარა ქართველ ხალხში“; ან: „მართალია, საბჭოთა სისტემა მწერლობას ყოველნაირად ებრძოდა და ავიწროებდა, საშინელი იდეოლოგიური წნეხის ქვეშ ჰყავდა მოქცეული და გასაქანს არ აძლევდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სისტემა გამოდიოდა გამარჯვებული და არა მწერლობა;“ ანდა: „თავისი აზრის გამოსახატავად მწერალს თუ უნდა მითოლოგიას მიმართავს, თუ უნდა ისტორიას და თუ უნდა იგავს. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ საქართველო საერთოდ არ არის ნახსენები, მაგრამ განა იგი არ ემსახურება ქართველი ხალხის სულიერ ამაღლებას? ან ვაჟა თუ „გველისმჭამელს“ და „ბახტრიონს“ წერდა ეს სინამდვილიდან გაქცევაა, რადგან ერთი მითოლოგიური ხასიათის თხზულებაა, ხოლო მეორე — ისტორიულისა? ამ ლოგიკით არც აკაკის „ბაში-აჩუკი“ და „თორნიკე ერისთავი“ ასრულებს დანიშნულებას, რადგან მასში რუსეთის იმპერია და მისი ნამესტნიკი არ არის გაკრიტიკებული. როგორ შეიძლება ასეთი კრიტერიუმებით მიუდგე მწერლობას?“ — სხვაგვარად მსჯელობა უთუოდ გაუმართლებელია: მწერლობას თავისი შინაგანი კანონები, შეფასების საკუთარი კრიტერიუმები აქვს და იქ ძალდატანებით ჩარევა არ შეიძლება.

საგულისხმოა, რომ მთელს წიგნში ტრიალებს გურამ რჩეულიშვილის ლანდი, გარდა მისდამი მიძღვნილი ესეებისა, დიალოგებშიც ხან აქ, ხან იქ გამოკრთება ეს სახელი, ავტორისათვის მეტად მახლობელი და დაუვიწყარი სახება როგორც ბიოგრაფიულად, ასევე შემოქმედებითი ინტერესებით. რასაკვირველია, სულაც არ არის აუცილებელი წიგნში რომელიმე პიროვნების ლანდი ასე ტრიალებდეს, მაგრამ როცა ამგვარ შემთხვევებს წავაწყდებით, ვგრძნობთ, თუ როგორ თავისებურ ხიბლს, ანიჭებს ეს გარემოება წიგნს.

ლიტერატურული წერილებიდან საგანგებოდ უნდა გამოირჩეს ესეი ალექსანდრე ქუთათელზე, რადგანაც ამ წერილში გახსენებულია სალიტერატურო კრიტიკისაგან უსამართლოდ მივიწყებული რომანი „პირისპირ“: გახსენებული და ჩინებულად დასაბუთებულიც მისი მხატვრული ღირსებანი და, აგრეთვე, ისტორიულ-დოკუმენტური მნიშვნელობა. გ. გეგეშიძის მტკიცებით, ამ რომანში ზესანიშნავადაა აღდგენილი ეპოქის სული, საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი მაშინდელი საქართველოს (10-იანი წლების მიწურული და 20-იანის დასაწყისი) ყველა ფენა, ინტელიგენცია, გლეხები, მუშები, ბურჟუაზია, არისტოკრატია, სხვადასხვა პარტიები და ეს ყოველივე ფსიქოლოგიური სიღრმით და დოკუმენტური სიზუსტითაა დახატული; ხოლო ისტორიზმი მისი ხანგრძლივი არსებობის საწინდრად მიაჩნია. ესეის წაკითხვა სარწმუნოს ხდის იმ აზრს, რომ „... საქართველოს დამოუკიდებლობის ის ტრაგიკული ოთხი წელი, რომელიც დიდხანს დარჩება ჩვენი ისტორიის მწარე გაკვეთილად, არც ერთ ქართულ წიგნში არ არის ისე სრულად, სავსედ, ზედმიწევნით ზუსტად და ფერადოვნად აღწერილი, როგორც ალექსანდრე ქუთათელის ამ შესანიშნავ რომანში.“

მთელს წერილს თავისებურად ალამაზებს ბავშვობისდროინდელი მძაფრი შთაბეჭდილებანი, როცა გ. გეგეშიძისთვის ოჯახური გარემოცვის წყალობით — ნაამბობითა და ფოტოსურათებით — მახლობელი გახდა დამოუკიდებლობის წლები, საერთოდ, XIX საუკუნის ბოლოსა და XX-ის დასაწყისის საქართველოს ცხოვრება. ამ ფონზე მკაფიოდ წარმოჩნდება, თუ რატომ არის მწერლისთვის ბავშვობიდანვე საყვარელი და მახლობელი რომანი „პირისპირ“ და მასში წარმოსახული სამყარო. სხვათა შორის, ეს ის შთაბეჭდილებანია, რასაც ძირითადად ეყრდნობა თვითონ გურამ გეგეშიძის რომანები, „ხმა მღაღადებლისა“ და „სისხლის წვიმები“ და ამ მხრივაც უთუოდ საინტერესოა...

„სიტყვები“ — წრფელი და უშელავათო დამოკიდებულებით და ნათლად გამოკვეთილი ორიენტირებით (სიმბოლურად დავით აღმაშენებელი და ილია ჭავჭავაძე რომ განასახიერებენ) — უპირველესად ლიტერატურული ცდაა იმ შეხედულებათა განსამტკიცებლად, რაც ამძაფრებს და მიზანმიმართულს ხდის ეროვნული კატასტროფის არიდებისა და ჭეშმარიტ სულიერ ფასეულობათა გადარჩენისაკენ ლტოლვას.

**ვაჟა მიქელაძე**

# ხმალი, ხმალი არ ჩააგო!

(დასასრული)

განსაც აფართოებს ტარიელ ჭანტურიაზე „გავლით“ ქართველ ხალხზეც „გავიდა“!

„ჭეშმარიტად, განა სადმე იქნება ჩვენსხთანა ბედნიერი ერი?“ — ახკვნის ის!

ამის გარდაც, ილია ჭავჭავაძის ამ დიდი სარკაზმითა და ირონიით აღსავსე სტრიქონს, ბატონი თ. კუბლაშვილი ბრჭყალების გარეშე ხმარობს!

მაგრამ, რაკი ამ საქვეყნოდ გახმაურებულ ფრაზას ყველა „ვცნობთ,“ მისი ამ სახით მოტანა მკრეხელობა არაა!

მკრეხელობა სხვა რამეა! — კერძოდ ის, რომ თ. კუბლაშვილს ჭერ არ დაუმსახურებია იმის უფლება, ქართველ ხალხს ილია ჭავჭავაძის ენით ელაპარაკოს!

რაკი მან ეს ერთხელ გაბედა, ახლა რომ ადგეს და ხვალ გვითხრას, — „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!“ — ასეთი საქციელი დამწყები მასწავლებლისგან ივარგებს?!

სამწუხაროდ, ბატონი თ. კუბლაშვილი ასევე აბუჩად იგდებს ტ. ჭანტურიას იმ მშვენიერ ფრაზას, რომელსაც თავად პოეტი მეტაფორის მნიშვნელობით ხმარობს:

„უიარაღო საქართველო ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე უმდიდრესი არსენალის პატრონი ზოგიერთი აგრესორი“.

ვისაც ეს არ ჯერა, გადაშალეთ ტ. ჭანტურიას ზემოთ აღნიშნული წიგნის ესა და ეს გვერდი! — გვამუნათებს ბატონი თენგიზი.

როცა ეს „დავალება“ შევუსრულეთ, მერე თავიდან დაგვსაქმა!

„ახლა. გამოვიყენოთ ბატონ ტარიელ ჭანტურიას... დასაბუთების მეთოდი და „ჩვენს ზეპირსიტყვიერებასაც ჩავკრათ თვალი...“

თენგიზ ბატონო, ხომ ამდენი თხოვნა აგისრულეთ, ახლა ერთი სათხოვარი მეც მაქვს და, ვიდრე „ჩვენს ზეპირსიტყვიერებას ჩავკრავდეთ თვალს“, მიქენით სიკეთე და, თქვენც, როგორც უზენაესი საბჭოს წევრმა, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ბატონ ზვიად გამსახურდიას ჟურნალ „შპიგელისათვის“ მიცემულ ინტერვიუში „ჩაკარით თვალი“!

აი, იქ, რა დიდებულად წერია!

„დამოუკიდებლობისათვის უიარაღო ბრძოლა უძლეველია“!

პირფერობით არ მომდის! — ეს ერთ-ერთი ულამაზესი და უძლიერესი ფრაზაა, რაც ამ თემაზე მე წამიკითხავს!

ბატონო თენგიზ, თქვენგან განსხვავებით, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ იარაღმა კი არა, —

„დღეს მხოლოდ ზნეობამ და სულიერმა სიმტკიცემ შეიძლება შესძრას მსოფლიო“-ო!

ერთი სიტყვით, რის დამტკიცებასაც მე მთელი წერილი მოვანდომე, — მთელი ის აზრი! — ამ ორიოდ ფრაზაშია გაცხადებული!...

●

დამიჯერეთ, ბატონო თენგიზ, რომ მართალი კაცი უიარაღოდაც ძლიერია!

აი, თუნდაც ეს შემთხვევა რად ღირს! — რაკი ვიცოდი, მართალი ვიყავი, „შეიარაღებულ“ კაცსაც არ შევეპუეთ!

მაგრამ თუ თქვენ მაინც იარაღის იმედად ხართ, კი ბატონო! — აგერ თქვენი ხმალი და... ჩემი კისერი!

ბრძოლის შედეგზე პასუხს არ ვაგებ!...

# „იქ-ჩემთან“



აჭარის თემა ქართულ კინემატოგრაფიაში თეთრი ლაქაა. თითოოროლა მხატვრული კინოფილმი, რომელიც აჭარაშია გადაღებული, ქართული კინოს საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტის ფონზე, ერთობ ცოტაა. მაგრამ უფრო დასანანი ისაა, რომ ამ ფილმთაგან, ვერც ერთი სანახევროდაც ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე და ვერ აჩვენა ამ კუთხის ვერც სული და თუგინდ ვერც კოლორიტი. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა დოკუმენტურ კინოში. ამ ხარვეზის შევსება მოიწადინა ახალგაზრდა რეჟისორმა, ამ კუთხის შვილმა — ზაზა ხალვაშმა. მან თავისივე სცენარით გადაიღო საინტერესო კინოფილმი — „იქ — ჩემთან“, რომელიც სწორედ აჭარის თემისადმია მიძღვნილი. ამ ფილმის ღირსებებს უკეთ კინომცოდნეები შეაფასებენ, მე კი ვეცდები შევაფასო კინომოყვარულის პოზიციიდან.

ფილმი აჭარის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ოჯახის მძიმე ცხოვრებას ასახავს. იმ ეიფორიის ფონზე, რითაც სულ ახლო წარსულში სუნთქავდა „სანუკვარი მიზნისაკენ“ მიმავალი ჩვენი საზოგადოება, ამ ფილმმა მაყურებელთა ერთი ნაწილი შეიძლება დააეჭვოს კიდეც: „ნუთუ დღესაც ასეთ მძიმე პირობებში ცხოვრობს ხალხი?“. სულ ახლო წარსულში ოფიციოზისთვის „ხალხთა ფართო მასები“ შესანიშნავად ცხოვრობდა. სინამდვილეში კი მართლაც შესანიშნავად ცხოვრობდნენ ერთეულები, უმრავლესობა კი უმძიმესი ცხოვრების უღელს ეწეოდა. ამ მხრივ აჭარა გამონაკლისი ვერ იქნებოდა. ზ. ხალვაშის ფილმში ეს მომენტი კარგადაა წარმოჩენილი.

რეჟისორმა მონახა ის გასაღები, რამაც, ჩვენი აზრით, ფილმის საბოლოო წარმატება განაპირობა. რა უჭირს ყველაზე მეტად ამ შემთხვევაში მთიანი აჭარის მკვიდრს? მიწა! მიწის ნაკლებობა ერთი მხრივ და გამრავლების მაღალი დონე მეორე მხრივ (რაც ასე სჭირდება დღეს საქართველოს!), ახალახალ სიძნელეებს წარმოშობს.

მართალია ზ. ხალვაშის ფილმი აჭარის თემას ეძღვნება, მაგრამ თუ არა მახვილი თვალი, ფილმში ნიშანდობლივი არაფერია, რაშიც მხოლოდ აჭარის პრობლემატიკის დანახვა შეიძლება. სურათში დაყენებული პრობლემები ქართული და ჩვეულებრივ ადამიანურია. ამასთან დაკავშირებით, მოვიყვანთ ერთ ეპიზოდს ფილმიდან: ოჯახის ხუთ ძმათაგანს, უფროსს, ცალკე გამოყოფა უნდა, რისთვისაც საჭიროა მიწა. მიწა კი, როგორც მოგეხსენებათ, სახელმწიფოს კუთვნილებაა და, თუ არ გამოგიყოფს, ვერ მიიღებ. ჰოდა, დადის უფროსი ძმა სხვადასხვა ინსტანციებში მიწის მისაღებად, ამისათვის ქრთამის გაღებაზეც თანახმაა, მაგრამ ამაოდ. ეს ეპიზოდი (ინსტანციებში სიარული) ისე შთამბეჭდავადაა ფილმში წარმოდგენილი, რომ თითქოსდა მთელი საბჭოთა სინამდვილეა ხელისგულზე დადებული: ბიუროკრატთა გაყინული სახეები, საოცარი უსულგულობა, უკეთეს შემთხვევაში — ფუჭი დაპირებანი... მაგრამ საკმარისი იყო ძმებსა და მის ახლობლებს პატარა ქოხის მსგავსი სახლი აეშენებინათ, მაშინვე თავი იჩინა საბჭოთა „კანონის“ ძალამ და ადმინისტრაციულ-ბიუროკრატული აპარატი ექვეთა ხუხულას დასანგრევად.

ფილმში ყოველ მნიშვნელოვან მომენტში გაიელვებს სოფლის ექიმბაშის (ვუწოდოთ პირობითად ასე) სახე, ვისი მუდმივი მიმართვაც „რაფერ ხარ, რაფერ?“ რეფრენივით გასდევს ფილმს და თითქოსდა გაფრთხილებად ისმის, ყურადღებას ძაბავს და პასუხისმგებლობას ავალებს შემხვედრს.

რეჟისორმა მარჯვედ შეარჩია პრობლემა, რომელიც ასე აწუხებს მთიანი აჭარის მცხოვრებთ. აჩვენა ამ პრობლემით გამოწვეული გაჭირვებანი და გადაიტანა ისინი კინოს ენაზე. მაგრამ ყველაფერი ეს წარმოადგინა როგორც საერთოდ ქართველი კაცის გაჭირვება.

ფილმის სასაუბრო ენა ჩვეულებრივი, ყოველდღიური ქართულია, რომელიც ასე დამახასიათებელია ზემო აჭარის მკვიდრთა მეტყველებისათვის. მაგრამ, ამავე დროს, ავტორი ზომიერად იყენებს ტიპიური აჭარული კილოსათვის დამახასიათებელ გამოთქმებსაც, რითაც ნაწარმოებმა მოიგო. ამ მხრივ რეჟისორის ჩანაფიქრის სრულად განხორციელება დიდად განაპირობა იმან, რომ კინოფილმში მთავარ როლებში დაკავებულნი არიან პროფესიონალი მსახიობები (ნ. კობერიძე, ლ. მესხი, ნ. შენგელია, გ. ახვლედიანი, გ. ბართაია, ბ. ინწკირველი, ზ. სტურუა, გ. ჩუგუაშვილი, ზ. ცინცქლაძე). ყველა მათგანი კარგად ართმევს თავს თავის მოვალეობას, მაგრამ მაინც მინდა გამოვყო მსახიობი გივი ჩუგუაშვილი. ქართველ მაყურებელს მისი წარდგენა არ სჭირდება. ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ მსახიობმა საოცარი შინაგანი განცდითა და სითბოთი განასახიერა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „გამოსული“ მძღოლის სახე, რომლებსაც დღეს ასე მრავლად შეხვდება კაცი საქართველოს გზებზე.

მინდა, მოკრძალებით შევნიშნო, რომ გადაჭარბებული ჩანს გამუდმებული გრუხუნი ფილმში, რაც ზვავისა თუ მეწყერის საშიშროებას გვაუწყებს. ფილმის დასასრულს კი ხელოვნურად მოგვეჩვენა მრავალრიცხოვანი ოჯახის მისვლა სხალთის ეკლესიის ეზოში (ზვავის ჩამოწოლის შიშით). ყოველ შემთხვევაში, შეიძლებოდა ამ ეპიზოდის უფრო სხვა კუთხით წარმოჩენა.

ზ. ხალვაშის ფილმი „იქ — ჩემთან“ ჩვენს სატკივარზე გადაღებული დამაფიქრებელი ნაწარმოებია, რომელშიც პირველად ქართულ კინემატოგრაფიაში სწორად იქნა წარმოდგენილი აჭარის პრობლემები. დასაწყისისათვის კი ეს ცოტას არ ნიშნავს.

**მიხეილ მახარაძე**

სურათებზე: კადრები ფილმიდან





ამჟამად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში მიმდინარეობს სხვადასხვა დროს რეპრესირებულ მოქალაქეთა ერთი ჯგუფის (250 კაცის შემადგენლობით) აქცია, რომლის ძირითადი მოთხოვნაა, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ სასწრაფოდ შეიქმნას საგამომძიებლო-სარეაბილიტაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში შევლენ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და ტელევიზიის თითო წარმომადგენელი.

# „ფუდ ენდ შაინ“

... კალიფორნიული ოცნების სამზარეულო, საჭმელ-სასმელი მისისიპის გავლით თუ კარიბის აუზში, კოლუმბიური ყავა, ფრანგული ღვინოები, ხვალინდელი დღის სამზარეულო, რაც დღეს უკვე მისაწვდომია ამერიკელთათვის, ტრადიციული და ახლებური სერვისი, ის საჭმელები, რაც არგებს გონებას და საჭმელები — რაც გახალისებს, კონიაკი „ჰენესი“, პუერტო-რიკოს სასმელები... და ა. შ. და ა. შ. ცნობილი ამერიკული ჟურნალის ფურცლებზე რაღას არ წაიკითხავთ საჭმელებსა და სასმელებზე, სათაურადაც ეს სიტყვებია შერჩეული — საჭმელ-სასმელი. ამ ჟურნალის 1990 წლის ოქტომბრის ნომერში მკითხველი გაეცნობა პაულა ვულფერტის ვრცელ წერილს ქართულ ლხინზე, აქვეა რეცეპტები, თუ როგორ მზადდება: ბადრიჯანი ნიგვზით, ხინკალი, ხაჭაპური, ჩიხირთმა, ისპანახის ფხალი, აჭარული მწვანე ლობიო, პრასის ფხალი, ნიგვზისა და ბროწეულის საწებელა, ბაჟე, სვანური კუბდარი, ჩაქაფული, ტყემალი ომბალოთი... პამელა ვულფერტს საქართველოს ყველა კუთხეში უმოგზაურია, ბევრ პურმარილს შესწრებია, აღფრთოვანებულა და საგულდაგულოდ ჩაუწერია ყველაფერი. იგი ავტორია აგრეთვე წიგნებისა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების სასმელ-საჭმელებზე.

ჟურნალში ბევრი რამ არის საინტერესო, კერძოდ — მოგზაურობა და სუფრის ადათ-წესები: მალაიზიაში, ლიხტენშტაინში, ბაჰამის კუნძულებზე, ნორვეგიაში, სან მარინოში, ანდორაში, ჩინეთში, დანიაში, საბერძნეთში... იმაზე, რომ ოქროში გაფილტრული ყავა უფრო გემრიელია და ამიტომ არის, რომ ამერიკელებს ევროპული ყავა უფრო მოსწონთ... და სხვა.

ჟურნალის მთავარი რედაქტორია კეროლ ლელი, ვისი წერილიც ეძღვნება პამელა ვულფერტს და მის საქართველოში მოგზაურობას; ფოტოები — ჯერი სიმპსონისა.

## ქართულ-ევროპული ინსტიტუტი

პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტი აცხადებს ყოველწლიურ კონკურსს ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად (10000 ფრ. ფრანკი).

I.

ა) ქართულ ან რომელიმე ევროპულ ენაზე დაწერილ გამოუქვეყნებელ ლიტერატურულ, პუბლიცისტურ, ისტორიოსოფიურ ხასიათის ორიგინალურ გამოკვლევაში.

ბ) ქართული ან დასავლეთ ევროპული ლიტერატურის თარგმანში.

II.

პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტი აცხადებს ახალგაზრდა (35 წლამდე) ჰუმანიტართა ყოველწლიურ კონკურსს გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის, ახალგაზრდობის დიდი მოამაგის, მერაბ მამარდაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად (5000 ფრ. ფრანკი) ფილოსოფიაში, კულტუროლოგიასა და ფილოლოგიაში (ნაშრომებს უნდა ახლდეს თარგმანი ფრანგულ ან ინგლისურ ენაზე).

ნაშრომების ინსტიტუტში წარდგენის ვადაა 1991 წლის 1 სექტემბერი.

ხელნაწერები უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Institut Géorgien-Européen
Comité de sélection du prix
5, Rue Chasseloup-Laubat
75015 Paris France

საქართველოს მწერალთა კავშირი და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია თანაუგრძნობენ მწერლებს გენო, რენე და ზაურ კალანდიებს მამის

**ვლადიმერ კალანდიას**

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე.

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ შილაძე.

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი ანდრო ბედუკაძე



რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-59
პასუხისმგებელი მდივნის — 99-87-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65. 95-36-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

„LITERATURULI SAKARTVELO“
THE NEWSPAPER
OF WRITERS OF THE
REPUBLIC OF GEORGIA

გამოდის პარასკეობით

ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14.